ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ოქტომბერი **ორშაბათი** 2013

№242 (14 158) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბატიშვილის ამერიკული ტრიუმფი

პირველი ადგილი და 50 ქულა



12

# შერმადიანი მოგება ბასკეთში



## შერმადინმა და სანიკიძემ ბილბაო დაამარცხეს

12



### მნარე იყო პოლანდია, ახლა ვნახოთ შოტლანდია

დღეს საქართველო U21 - შოტლანდია U21

2

### ჯანყი ჯორჯიაში

რა ხდება ვიტ ჯორჯიაში?

არასასიამოვნო ამბავი

2



### ზეიმი და ტრაგედია

მუნდიალზე გასვლამ კოლუმბიაში 5 ადამიანი შეიწირა

5

## რატომ ვარ მოღალატე?



### გიორგი ილურიძე განმარტავს

სად არის სიმართლე?

3



## თემურ ქეცბაია: თუ ესპანეთს მოვუგებთ...

ABC: საქართველოს ნაკრები მოსაგებად ითამაშებს

3

# ჯანყი ჯორჯიაში?

არასასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ თბილისის „ვიტ ჯორჯიაზე" - ფინანსური პრობლემების გამო გუნდი დაშლის პირასაა მისულიო. უკვე მესამე დღეა, ვიტელები სავარჯიშოდ აღარ გადიან. შევეხმიანეთ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს და ეს ამბავი დაგვიდასტურეს, თუმცა ისიც გვითხრეს - იქნებ, სიტუაცია სასიკეთოდ შემოტრიალდეს და ინტერვიუსგან ჯერ თავს შევიკავებთო.

დავუკავშირდით „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ ზურაბ ბერიძესაც, რომელმაც გვითხრა - გუნდი ვარჯიშს 15 ოქტომბრიდან განაახლებსო. მოხერხდება კი ამ დროისთვის ფინანსური პრობლემების მოგვარება?

„ვიტ ჯორჯია" ერთ დროს საქართველოში მართლაც გამორჩეული კლუბი და გუნდი იყო. რთულია ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო კლუბის არსებობა. მყარი ფინანსური შესაძლებლობების გარდა, კლუბის ფუნქციონირება ძლიერ ნერვებსა და შრომატევად სამუშაოს მოითხოვს.

დღეს „ვიტ ჯორჯიას" უჭირს, თუმცა მიმდინარე სეზონში არაერთი კარგი მატჩი ითამაშა, ბოლოს რუსთავის „მეტალურგი" სულაც 5:2 დაამარცხა, მაგრამ... ფინანსური პრობლემები ამით ვერ გვარდება.

გუნდიდან წავიდა ბერიძის თანაშემწე რამაზ სვანაძე, ახლა კი ფეხბურთელებს სურთ წასვლა - მათ უკან ოჯახები დგას.

„ვიტ ჯორჯია" ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, ქვეყნის თასიც მოიგო და სუპერთასიც, არაერთი წარმატებული ტრანსფერიც განახორციელა, ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას დახმარებით ხელოვნური მოედანი დააგო „მცხეთა პარკზე", საკუთარი ხარჯებით კი ტრიბუნას გაუკეთა რეკონსტრუქცია.

თუ გადავავლებთ თვალს ქართული კლუბების ისტორიას დამოუკიდებლობის დღიდან, აღმოჩნდება, რომ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე ის ბიზნესმენია, ვინც ყველაზე დიდხანს ხარჯავს ფულს საფეხბურთო კლუბში. ასეთ ხალხს სახელმწიფოსგან ხელშეწყობა სჭირდება, თუმცა აქამდე ამისთვის, ფაქტობრივად, არაფერი კეთდებოდა. ახალი ხელისუფლება გვპირდება, რომ საკლუბო ფეხბურთს 2014/15 წლების სეზონისთვის მიეხედება, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა. გამოდის, რომ მანამდე ფეხბურთელებმა და კლუბებმა როგორმე თავი უნდა გაიტანონ.

„ვიტ ჯორჯია" არის კლუბი საკუთარი ხელწერით. რუხაძემ ბევრი სწორი ნაბიჯი გადადგა კლუბის განვითარებისთვის, ოღონდაც, როცა უკუგება დიდხანს არ ჩანს, კლუბის შენახვა (მაღალ დონეზე) თითქმის შეუძლებელი ხდება. „ვიტ ჯორჯია", ისევე როგორც მეტი წილი კერძო ქართული კლუბებისა, სოციალური პროექტია.

თავის დროზე, სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ხელშეწყობა რომ არ იყო, „ამერის" შენახვაზე ხელი ჩაიქნია მისმა ხელმძღვანელობამ, არადა, „ამერი" უკვე შემდგარი კლუბი იყო, ორჯერ მოიგო საქართველოს თასი, რაზეც მილიონობით ლარი დაიხარჯა.

იმედია, „ვიტ ჯორჯია" მძიმე პერიოდს გადალახავს და 2014/15 წლების სეზონამდე როგორმე გაძლებს.

დავით თავართქილაძე

U21. ევრო 2015. შესარჩევი ეტაპი. III ჯგუფი

# ფსიქოლოგის ფაქტორი

**დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შოტლანდიას ეთამაშება და ჰოლანდიასთან 0:6-ის შემდეგ სწრაფი რეაბილიტაციის შანსი ეძლევა.**

ევროპის ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების მედიაში ასაკობრივი ნაკრებების მატჩებს დიდი ყურადღება არ ეთმობა, სანამ ისინი ფინალურ ეტაპამდე არ მიაღწევენ. ჩვენთან სხვა სინამდვილეა - ახალგაზრდული ნაკრები ის იმედია, რამაც მალე მაყურებელი უნდა მიიყვანოს სტადიონზე. ეს კი მაშინ უნდა მოხდეს, როცა ეს ახალგაზრდები ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები გახდებიან. 21-წლამდელთა ნაკრებში ზოგი უკვე დასტატებული ფეხბურთელია, ზოგიც ანი უნდა დაწინაურდეს - ასეა ყველგან, ინდივიდუალურია ფეხბურთელის ზრდის ტემპი.

ახალგაზრდულ ნაკრებს ასაკობრივ გუნდს აღარ ეძახიან - ასეთია თანამედროვე ფეხბურთის ტენდენცია, რადგან 21-წლამდელთა გუნდის ბევრი ფეხბურთელი უკვე პროფესიულ დონეზე თამაშობს.

ისეც მომხდარა, ფეხბურთელს ახალგაზრდულ ნაკრებში რომ არ უთამაშია და მერელა გამხდარა მეგავარსკვლავი. ჩვენთანაც იყო მსგავსი რამ - **გიორგი ქინქლაძეს** და **შოთა არველაძეს** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არ გაუვლიათ გზა ეროვნულ გუნდამდე.

საქართველოს დღევანდელი ახალგაზრდული ნაკრები კარგი გუნდი ჩანს, ოღონდაც, ჰოლანდიასთან 0:6 ისეთია, მალევე რომ ითხოვს საქმის გამოსწორებას. თუ დღეს ჩვენმა 21-წლამდელებმა შოტლანდიას მოუგეს, ჯგუფიდან გასვლის შანსი ისევ შერჩებათ.

რომ არა საინტერესო კონტინგენტი, **ალექსანდრე ჩივაძე** ამ გუნდის გაწვრთნას არ დათანხმდებოდა - ასეთია ვარაუდი. ჩივაძემ იცის ფეხბურთელის ფასი, აქვს კარგი გემოვნება, თუმცა ახალგაზრდული ნაკრები რომ ჩაიბარა, მანამდე არცთუ მცირე პაუზა ჰქონდა სამწვრთნელო კარიერაში, დინამიკა კი მწვრთნელისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ჩივაძის გუნდს ბოლო შანსი აქვს - თუ ფეხი დაუცდა, ჯგუფიდან გასვლის ოცნებას უნდა დაემშვიდობოს.

საინტერესოა, ფსიქოლოგიურად როგორ მოამზადა ჩივაძემ გუნდი დღევანდელი თამაშისთვის. ეს ის შემთხვევაა, როცა მწვრთნელის, როგორც ფსიქოლოგის, როლი განსაკუთრებულია. 0:6-ის მერე ფეხბურთელებს პირველ რიგში ფსიქოლოგიური წნეხი რომ აქვთ მოსახსნელი, ამის მიხვედრა ძალიან ადვილია.

**გიორგი ილურიძე** კი ისევ გამოაკლდება ახალგაზრდულ ნაკრებს. ჯერ ითქვა, რომ მას ტრავმა ჰქოდა, მერე გვითხრეს, რომ სამუშაო ვიზის საკითხი ჰქონდა მოსაგვარებელი ხორვატიაში და 10 ოქტომბერს ჰოლანდიასთან მატჩისთვის ვერა, მაგრამ 14 ოქტომბერს შოტლანდიასთან ნაკრებში იქნებაო. გუშინ კი წერტილი დაესვა ყველაფერს - ილურიძე შოტლანდიასთანაც არ იქნება.

არ ვიცი, რა პროცედურებთან არის დაკავშირებული სამუშაო ვიზის აღება თუ გახანგრძლივება ხორვატიაში, მაგრამ რაღაც უცნაურ შემთხვევასთან რომ გვაქვს საქმე, ფაქტია. ილურიძე ის ფეხბურთელია, მოედანზე ცეცხლის დანთება რომ შეუძლია. კარგი მონაცემები რომ აქვს, გორის „დილას" ევრომატჩებშიც დაამტკიცა. მან უკვე გაჭრა ფანჯარა ევროპაში, „ჰაიდუკის" ფეხბურთელია და თუ ხორვატიაშიც გამოიჩენს თავს, უკეთესი ქვეყნის უკეთეს გუნდშიც მოხვდება. ამ საქმეში კი მას ნაკრების ფეხბურთელის სტატუსიც დაეხმარება. კარგი ტრანსფერი ისეთი თემაა, მარტივად რომ არ გამოდის. ანუ აქ ორმხრივ ინტერესთან გვაქვს საქმე - ნაკრებს კარგი ფეხბურთელი სჭირდება, ფეხბურთელს კი ნაკრები - კარგი ტრანსფერისთვის.

ილურიძის გარდა, ახალგაზრდულ ნაკრებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, **ნიკა ძალამიძე**, **თორნიკე ოქრიაშვილი**, **ირაკლი ქობალია** და **ჯანო ანანიძეც** გამოაკლდნენ. ჰოლანდიასთან მიღებული წითელი ბარათის გამო დღეს **ნიკა კვეკვესკირიც** ვერ ითამაშებს, ტრავმის გამო გამოირიცხა მარჯვენა მცველის, **არჩილ ტვილდიანის** მოედანზე გასვლაც.

ჩივაძე და მისი გუნდი რთულ მდგომარეობაში არიან. საქმეც ეგ იქნება, თუ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს ყველაფერს სათავისოდ შეატრიალებს...

**III ჯგუფი**

**14 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| საქართველო-შოტლანდია | 15:00 |
| სლოვაკეთი-ლუქსემბურგი | 21:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| 2. შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-3 | 6 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-14 | 0 |

**მომდევნო მატჩები**

**14 ნოემბერი**

შოტლანდია-საქართველო
სლოვაკეთი-ჰოლანდია

დავით თავართქილაძე



საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს რეაბილიტაცია მართებს — ფრიდონ გეგეშიძის ფოტო




ვალერი ყაზაიშვილი

## ვალერი ყაზაიშვილი:

# მაყურებელი უნდა შემოვატრიალოთ!

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჰოლანდიასთან სამარცხვინოდ წააგო - 0:6. ამ ანგარიშით საკუთარ მოედანზე ფარერები, ანდორა და სან მარინოც აღარ მარცხდებიან. რაც უნდა ძლიერი იყოს მოწინააღმდეგე, ჩვენი გუნდის ასეთ მარცხს ვერავინ შეეგუება.

ფეხბურთელები იმდენად დათრგუნულები არიან, ლაპარაკი არ სურთ. არნემის „ვიტესის" ნახევარმცველი ვალერი ყაზაიშვილი ამ თემაზე მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ყაზაიშვილმა ჰოლანდიური „ვიტესის" ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი. ერედივიზიონში ჩატარებული 9 ტურიდან 20 წლის შემტევ ნახევარმცველს ერთიც არ გამოუტოვებია, აქედან, 8-ჯერ სასტარტო შემადგენლობაში იყო და აქტივში 2 გოლიც აქვს.

**- ალექსანდრე ჩივაძემ ახალგაზრდულ გუნდში ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებიც გამოიძახა და ჰოლანდიასთან ბრძოლას მაინც ველოდით...**

- ნაგებას არ ველოდით, მოგება გვსურდა და ამისთვის ვემზადებოდით. მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა. არც მინდა ამაზე ლაპარაკი, იმდენად ცუდი გასახსენებელია ის თამაში.

**- ამის შემდეგ ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოსვლა და შოტლანდიასთან ბრძოლა ძნელი იქნება.**

- სტრესიდან გამოსვლა როგორმე უნდა მოვახერხოთ, მოგებაზე ვიფიქროთ და ყველანაირად ვეცადოთ, მაყურებელი კვლავ ჩვენკენ შემოვატრიალოთ. ეს კი მხოლოდ შეცდომების გამოსწორებით იქნება შესაძლებელი. მეტი მობილიზება და დაკვირვება გვმართებს.

**- მგონი, ასეთ მარცხს ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდით...**

- ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი... გთხოვთ, რა, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ, ძალიან უსიამოვნო თემაა.

**- პირადად თქვენთვის საკლუბო კარიერა წარმატებულად აეწყო და „ვიტესის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრეთ ადგილი. არადა, შარშან დუბლებს ვერ გასცდით.**

- ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ 20 წლის ასაკში ჰოლანდიის უმაღლესი დივიზიონის გუნდის ძირითად შემადგენლობაში რომ ვთამაშობ.

**- თქვენი აზრით, რა გახდა ამის მიზეზი?**

- მეორე წელია, რაც „ვიტესში" ვარ, გუნდსაც შევეჩვიე და ჰოლანდიელთა მოთხოვნებსაც. ეტყობა, ვარჯიშების დროსაც კარგად წარმოვაჩინე თავი. ცხადია, ამ ორ წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე, გამძლეობაშიც მოვუმატე და ფიზიკურადაც კარგად ვარ. ერთი სიტყვით, იქაურ მოთხოვნებს ფეხი ავუწყვე.

**- ჰოლანდიური თუ ისწავლეთ?**

- ჯერ ვერა, თუმცა თანაგუნდელებთან ურთიერთობა არ მიჭირს.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის სიმართლე?



## გიორგი ილურიძე

# რატომ ვარ მოღალატე?

### იმიტომ, რომ ფედერაციის საიტზე გაუგებრობა მოხდა და შეცდომით დაწერეს, ნაკრებზე უარი თქვაო?

პირველი ეროვნული ნაკრები რომ ჩამოყალიბდა, ძმებ არველაძეებზე ჭორაობდნენ, ყველას ნაკრებში თამაში სურსო. მართლაც, სამივეს ხშირად იძახებდნენ და ათამაშებდნენ. ეროვნულ გუნდში გამოუძახებლობის გამო კი ზაზა ჯანაშია და კიდევ რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი უკმაყოფილებას გამოხატავდა.

90-იან წლებში ეროვნულ გუნდში თამაში პრესტიჟის საქმე იყო, თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მაისურის მორგება საამაყოდ მიიჩნეოდა. იმ დროს ქვეყანაც იმედიანად იყო და ფეხბურთიც.

არველაძეების ამბავი ანეკდოტად ჩანს იმის ფონზე, რაც ახლა ხდება. ფეხბურთელების ნაწილი ნაკრებში ჩამოსვლაზე უარს ამბობს. ყველას აქვს მოტივი, ჩამოუსვლელობის მიზეზსაც კარგად ასაბუთებს, მაგრამ ფაქტია - მათი უმრავლესობის ალარ გვჯერა. გულშემატკივარს ნაკლებად აინტერესებს, ვის რა პრობლემა აქვს (თუ აქვს) თემურ ქეცბაიასთან - ამაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის ინტერესია, რომლის ღირსებასაც საუკეთესოები უნდა იცავდნენ.

ამ ტალღაში მოჰყვა გიორგი ილურიძეც და სულაც არ არის გასაკვირი, გულშემატკივარი მის ჩამოუსვლელობასაც ეჭვით რომ უყურებს. გორის „დილიდან" სპლიტის „ჰაიდუკში" გადასული შემტევი ჯერ საფრანგეთ-ფინეთთან ეროვნული გუნდის შეკრებაზე არ გამოცხადდა ტრავმის მომიზეზებით, ახლა კი - ახალგაზრდულ ნაკრებს ჰოლანდიასთან ვერ დაეხმარა და არც შოტლანდიასთან ითამაშებს.

რა ხდება სინამდვილეში? ამის შესახებ ახალგაზრდული ნაკრების მენეჯერმა ლევან რამიშვილმა საინტერესო რამ გვითხრა: „ილურიძეს ყველამ თავი დაანებოს. ის მომხდართან არაფერ შუაშია. როცა დავუკავშირდით, გვითხრა, რომ ტრავმა ჰქონდა. მერე კი სპლიტის „ჰაიდუკის" ხელმძღვანელობა დაგვიკავშირდა და გვთხოვა, არ გამოიძახოთო. საქმე ისაა, რომ გიორგის ამჟამად მხოლოდ ხორვატიაში გადაადგილების უფლება აქვს, მაგრამ თუ ქვეყანას დატოვებს, ახალი ვიზის გაკეთება დასჭირდება და გუნდს, შესაძლოა, მინიმუმ ერთი თვე ვერ დაეხმაროს. ამის არგათვალისწინება ფეხბურთელის გაწირვას ნიშნავდა და ხორვატების თხოვნას დავთანხმდით".

მომხდარით თავად ილურიძეც შეწუხებულია. მას ხორვატიაში დავუკავშირდით:

- ვამჩნევ, რომ გულშემატკივრებს ნაკრებისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე აბსოლუტურად მცდარი შეხედულება ჩამოუყალიბდათ. ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა და თუ ვილაც ფიქრობს, რომ შეკრებაზე ჩამოსვლა არ მსურს და ამის გამო რაღაც მიზეზებს ვიგონებ, ძალიან ცდება - იმ ფეხბურთელს რა ვუთხარი, ნაკრებზე უარს რომ იტყვის. თავად ვარ გულდაწყვეტილი, ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების სიაში რომ ვერ მოვხვდი.

**- ვერ მოხვდით? აბა, ჩამოსვლაზე უარი თქვაო?**

- უარს როგორ ვიტყოდი? საერთოდ, ყველას ვთხოვ, ჯერ ვითარებაში გაერკვეს და ისე გამაკრიტიკოს. ეტყობა, გაუგებრობა „ლელოსთან" ინტერვიუში ნათქვამმა გამოიწვია - 5 ოქტომბერს „სპლიტის" წინააღმდეგ თამაშიც საეჭვოა, მაგრამ თუ მოვმჯობინდი და გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ-მეთქი. მართლა უკეთ გავხდი და მესმის, რომ

> **ახლაც ძალიან მინდოდა თამაში, უარი ნამდვილად არ მითქვამს. დღეში სამჯერ თერაპიას ვიტარებდი. ხალხს ჩემს საწინააღმდეგოდ ნუ განაწყობენ! ბოდიში მოიხადონ! მე ტყუილებით არ ვიზრდებოდი და არ მიცხოვრია.**

უკვირთ - რატომ ალარ ჩამოდისო. „სპლიტთან" მატჩის შემდეგ „ჰაიდუკის" ადმინისტრაციაში მითხრეს - საქართველოში წასვლის შემთხვევაში, ხორვატიაში დასაბრუნებლად სამუშაო ვიზის ხელახლა აღება მოგიხდება, რასაც ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა.

**- ეს ფედერაციას არ აცნობეთ?**

- „ჰაიდუკის" ხელმძღვანელობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქმის კურსში რომ ჩააყენა და ჩემი დატოვება სთხოვა, ესეც მოგვიანებით მითხრეს. დაახლოებით მსგავსი კანონია რუსეთში და ამის გამო, სანაკრებო მატჩების შემდეგ პრობლემა ბევრ ქართველ ფეხბურთელს შექმნია. თუ არ მეშლება, ასე მოუვიდათ მარცვალაძესა და გოგუას და კლუბში ერთი თვის შემდეგ დაბრუნდნენ. მე რა ვქნა, აქაური კანონები შევცვალო?

**- ხორვატიაში რის საფუძველზე თამაშობთ? სამუშაო ვიზა გაქვთ თუ არა?**

- მე და ჰარის ბუკვას შენგენის ვიზა გვიმთავრდებოდა და როცა განაცხადში უნდა შევეყვანეთ, პოლიციაში გამოვცხადდით და რაღაც ცნობაზე ხელი მოგვაწერინეს. ზაგრების „დინამოსთან" რომ მეთამაშა, მანამდეც კიდევ ერთხელ მიმიყვანეს. დამიმტკიცონ, რომ სამუშაო ვიზის გარეშე თამაში არ შემიძლია. შეიძლება, ერთ თვეში ავილო ვიზა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ხვალვე მომცენ. მე ვაჩქარებდი, ნაკრებში გამომიძახებენ-მეთქი. და მე არ მინდოდა ნაკრებში თამაში?

**- მაგრამ მათიც გვესმის, ვინც ასე ფიქრობს. ბოლო დროს მოთამაშეთა არჩამოსვლა წესად იქცა.**

- მეც მესმის, მაგრამ კონკრეტული მიზეზი მაქვს, ამ უსაფუძვლო ბრალდებებს კი ძალიან განვიცდი. საფრანგეთ-ფინეთთან მატჩების წინაც ლაპარაკობდნენ - რაღაცებს იგონებსო. არ ახსოვთ, „რაპიდთან" მეორე ტაიმში სირბილი რომ ალარ შემეძლო და გასიებული კოჭით ვითამაშე? ამას ხომ ათასობით გულშემატკივარი უყურებდა?

> **ჰაიდუკის ხელმძღვანელობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქმის კურსში რომ ჩააყენა და ჩემი დატოვება სთხოვა, ესეც მოგვიანებით მითხრეს.**

**- „რაპიდთან" მატჩის შემდეგ ფეხი მართლაც მძიმე დღეში გქონდათ.**

- ექიმმა ორკვირიანი დასვენება მირჩია. ფეხსაცმელს ვერ ვიცვამდი და მალე მომჯობინებას ვნატრულობდი. უცებ ვხედავ, ფორუმებზე ვილაც გაუთვითცნობიერებელი ხალხი წერს - ილურიძე მოღალატეა. რატომ ვარ მოღალატე? იმიტომ, რომ ფედერაციის საიტზე გაუგებრობა მოხდა და შეცდომით დაწერეს, ნაკრებზე უარი თქვაო? ასე ხელაღებით ადამიანზე ყველაფრის დაბრალება როგორ შეიძლება? არადა, ამ დროს ნაკრებში გამოუძახებლობას ვდარდობდი. ახლაც ძალიან მინდოდა თამაში, უარი ნამდვილად არ მითქვამს. დღეში სამჯერ თერაპიას ვიტარებდი. ხალხს ჩემს საწინააღმდეგოდ ნუ განაწყობენ! ბოდიში მოიხადონ! მე ტყუილებით არ ვიზრდებოდი და არ მიცხოვრია.

**- „ბეშიქთაშთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშეთ...**

- კი, 10 ოქტომბერს სპლიტში ვითამაშეთ და 1:2 წავაგეთ. პირადად მე 5 საგოლე მომენტი შევქმენი, მაგრამ ვერ გავიტანე. სტვენით კი არ ამიკლეს, შეცვლისას მთელი სტადიონი ადგა და ტაშს მიკრავდა. ასეთი რამ არ მინახავს.

**- როგორც გავიგეთ, ნაკრების ახალწვეული ავთანდილ ებრალიძე თქვენი ბავშვობის დროინდელი მეგობარი და თანაგუნდელი ყოფილა.**

- „ნორჩ დინამოში" მთელი 7 წელი ერთად ვთამაშობდით. ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო, მარჯვენა და მარცხენა ფლანგებიდან თამაშს ამწვავებდა და საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ თავდამსხმელად ითვლებოდა. ვუსურვებ, რომ მაღალი დონის ფეხბურთელი გახდეს. გია ხიტირთან ვთამაშობდით და არ ვტრაბახობ - გამორჩეულებად გვთვლიდნენ ავთოს, „დილას" ნახევარმცველ გეგა დიასამიძესა და მე. მახსოვს, კიევის „დინამოს" ბაზაზე ტურნირი ჩატარდა და ჩვენი სამეულის გამო, უკრაინელებს მთელი გუნდის დატოვება სურდათ.

**მერაბ მამულაშვილი**

ესპანეთი-საქართველო უცხოურ მედიაში

## თემურ ქეცბაია

# სიტყვებით ვერ აღვწერ, რა შეიძლება ვიგრძნო, თუ ესპანეთს მოვუგებთ

15 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებს 2014 წლის მუნდიალის უკანასკნელი შესარჩევი მატჩი ელის, ალბასეტეში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ესპანეთს შეხვდება, რომელსაც მხოლოდ ქულა აშორებს ბრაზილიის საგზურთან.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** სააგენტო „როიტერთან" საუბარში აღნიშნა, რომ ესპანეთის ეს ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა:

*„მხოლოდ იმიტომ არა, რომ ამ გუნდმა 2010 წლის მუნდიალი და ევრო 2012 მოიგო, ეს გუნდი ბოლო ექვსი წელიწადია, ყოველ თამაშში ამტკიცებს, რომ საუკეთესოა. იგებს ყველაფერს და აჩვენებს მაღალი ხარისხის ფეხბურთს. ჩვენ ყველას გამარჯვება გვსურს, თუმცა მეტოქიდან გამომდინარე, ფრეც შესანიშნავი შედეგი იქნება. სიტყვებით ვერ აღვწერ, რა შეიძლება ვიგრძნო, ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონების დამარცხება რომ შევძლოთ".*

ქეცბაიამ დაახასიათა **ანდრეს ინიესტაც**, რომელიც საქართველოსთან ითამაშებს. ამ ფეხბურთელზე ყურადღებას იმიტომ ამახვილებენ, რომ ის ალბასეტეს სიახლოვეს, ქალაქ ფუენტეალბილიაში დაიბადა.

*„ის იმ სამ ფეხბურთელს შორისაა, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოში საუკეთესოები. მოხარული ვარ და ამაყი, რომ საქართველოს ნაკრები მისი სახელობის ბაზაზე ემზადება ესპანეთთან შეხვედრისთვის".*

ქეცბაიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს ჩემპიონატი სუსტია და ბევრი ფეხბურთელი კარიერას უცხოეთში აგრძელებს:

*„ასე რომ, კარგი იქნებოდა, თუ ქართველები სათამაშოდ ესპანეთში წამოვიდოდნენ. პრიმერაში თუ არა სეგუნდა დივიზიონში მაინც. ჩვენ 6 მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გვაკლია ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო, მათი შემცვლელები კარგები არიან, მაგრამ ახალგაზრდები".*

### ABC: საქართველოს ნაკრები მოსაგებად ითამაშებს

ესპანეთ-საქართველოს ხვალინდელ მატჩს სპეციალურ სტატიას უძღვნის ABC.es. გამოცემის მტკიცებით, ეს მატჩი ერთი-ორად მნიშვნელოვანია ესპანეთისთვის, რადგან სწორედ ამ შეხვედრაში უნდა მიიღოს „ფურია როხამ" მუნდიალის საგზური. შეგახსენებთ, რომ ამისთვის **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს ფრეც ჰყოფნის.

*„ამ შეხვედრას კასტილია-ლა მანჩის ქალაქისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ალბასეტე უკვე ცხოვრობს ამ თამაშით. 15-ში „კარლოს ბელმონტე", რომელიც 17 500 მაყურებელს იტევს, ალბათ ბოლომდე შეივსება. ქალაქის მცხოვრებლებს სურთ თვალი შეავლონ მუნდიალისა და ევროპის ჩემპიონატის ტიტულებს, რომლებსაც მატჩის წინ გამოფენენ, ასევე იყვნენ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრენი, რომელსაც საერთაშორისო გამოხმაურებაც ექნება - ეჭვიც არავის ეპარება, რომ სამშაბათს ესპანეთის ნაკრები ბრაზილიის საგზურს მოიპოვებს. საქართველოს ნაკრები ალბასეტეში ცხოვრობს და „სიუდად დეპორტივა ანდრეს ინიესტაზე" ვარჯიშობს. ეს გუნდი სულაც არ აპირებს დანებებას და მოგებისთვის იბრძოლებს", - წერს საიტი.*

ამასობაში, ბელარუსის ნაკრების დამარცხების (2:1) შემდეგ დელ ბოსკე სამშაბათის მატჩსაც შეეხო. ესპანეთის ნაკრების თავკაცს მეკარეზე ჰკითხეს:

*„ბელარუსთან ვალდესი ვარჩიეთ, რადგან კასილიასმა წინა თვეში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა. საქართველოსთან მატჩში ვინ ითამაშებს, ჯერ არ გადამიწყვეტია, სამშაბათს ნახავთ", - განაცხადა დელ ბოსკემ, რომელიც ფეხბურთელებს მოუწოდებს, არ მოდუნდნენ:*

*„მიზანი ჯერ მიღწეული არ არის და სამშაბათს ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. ესეც რთული მატჩი იქნება".*

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ლეგიონის უქმეები

# მჭედლიძემ ემპოლის ვერ უშველა

### ნავალოვსკი და გოგუა კარგი თამაშით გამოარჩიეს

**სანაკრებო პაუზის გამო, მხოლოდ რამდენიმე ლეგიონერს მოუწია თამაში. იტალიაში სერია B-ს მე-9 ტურის მატჩები გაიმართა, ხოლო რუსეთის I დივიზიონში - მე-18 ტურის.**

შაბათს „ემპოლი" „რეჯინას" ესტუმრა და 1:2 დაამარცხა. **ლევან მჭედლიძე** მოედანზე 70-ე წუთზე შევიდა **პუჩარელის** ნაცვლად, მაგრამ გუნდს ვერაფრით შეეწია. **ირაკლი შეყილაძე** „ემპოლის" განაცხადში არ იყო. ქართველთა გუნდი 17 ქულით მეორე ადგილზეა.

რუსეთის I დივიზიონში „სკა-ენერგიამ" შინ 2:1 დაამარცხა „ბალტიკა". მასპინძელთა რიგებში **გიორგი ნავალოვსკიმ** 90 წუთი ითამაშა, **გოგიტა გოგუა** კი 86-ე წუთზე შეცვალეს. სტუმართა კარს **გიორგი შელია** იცავდა. ნავალოვსკიც და გოგუაც კარგი თამაშით გამოარჩიეს.

„ალანია" ქართველების გარეშე (**მარცვალაძე** და **ხოჯავა** ტრავმირებულები არიან) ეწვია „შინიკს" და 0:1 დამარცხდა. ამით ოსურმა კლუბმა ლიდერობა სარანსკის „მორდოვიას" გადააბარა, რომელმაც შინ 1:0 მოუგო მოსკოვის „ტორპედოს". ახლადგამომცხვარი ლიდერის შემადგენლობაში ბუნებრივია, არ ყოფილა **აკაკი ხუბუტია** - ის ესპანეთშია ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

ნალჩიკში ადგილობრივი „სპარტაკი" 0:0 დაუზავდა ტულის „არსენალს". **დავით სირაძემ** მასპინძელთა რიგებში 71-ე წუთამდე ითამაშა, ხოლო **გუჯა რუხაია** სათადარიგო იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ლიგა

# საპოვნელა: ნაპოვნი სპონსორი და იმედები

## ანუ სამაგალითო ამბავი იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობენ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები

12 ოქტომბერს პირველი ლიგის მეშვიდე ტურში „საპოვნელამ" ერთ-ერთი ფავორიტი „გაგრა" საშინაო არენაზე 2:1 დაამარცხა. 6 ტურის შემდეგ 5 გამარჯვებითა და 15 ქულით თერჯოლელები ლიდერ ფოთის „კოლხეთს" გაუთანაბრდნენ. **ლევან შავგულიძემ** უკვე მე-6 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში „გაგრას" თავდამსხმელ **აბაიომი ოვონიკოკოსა** და კოლხების შემტევ **დათა სიჭინავას** დაეწია.

თერჯოლელთა დაწინაურება სეზონის ერთ-ერთი მოულოდნელობაა. გუნდი ხომ პირველ ლიგაში ათწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. არადა, იყო დრო, „საპოვნელა" უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, მაგრამ თერჯოლაში ლამის ყველა სფეროს აქტივობა შამპანურის ქარხანაზე იყო დამოკიდებული, რომელიც აღარ მუშაობს და გუნდმაც ჩაილურის წყალი დალია.

*„შარშან რეგიონალლიგაში მესამე ადგილზე გავედით, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ „საპოვნელა" პირველ ლიგაში დაუშვა, რადგან გუნდს მოწესრიგებული სტადიონი, გასახდელები, საშხაპეები, ლოჟა და ნორმალური მოედანი აქვს, რაც პირველი ლიგის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ჩვენი მთავარი მწვრთნელი „ზესტაფონის" ყოფილი ფეხბურთელი მირიან გეწაძეა, მეკარეებს კი თამაზ ოდიკაძე ავარჯიშებს. ჩვენთან არიან იაგო და იაკობ დეისაძეები, „სევასტოპოლში" ნათამაშები საყრდენი სანდრო შუღლაძე. ერთი სიტყვით, „საპოვნელა" ბრძოლისუნარიან გუნდად ჩამოყალიბდა. მიმდინარე სეზონი ადგილობრივი ბიუჯეტის იმედად დავიწყეთ - რაიონის მუნიციპალიტეტისა და თერჯოლის დეპუტატის ძალისხმევით გუნდს 200 ათასი ლარი გამოუყვეს. სწორედ ამ დროს დაგვიდგნენ გვერდში რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები - მამა-შვილი დავით და გიორგი სუთიძეები. ისინი თერჯოლაში „საპოვნელას" პირველ საშინაო შეხვედრას დაესწრნენ. იცოდნენ, რომ წლების განმავლობაში აქ ფეხბურთი ჩამკვდარი იყო. გასულ წელს გუნდი რეგიონალლიგაში გამოდიოდა. ამის მიუხედავად, სტადიონი შეივსო და საფეხბურთო გარემო იმდენად მოეწონათ, „საპოვნელას" თანადგომა გადაწყვიტეს. მოიყვანეს შვიდი ფეხბურთელი, რომელსაც ხელფასს საკუთარი ჯიბიდან უხდიან. ეს რომ არა, ამას კლუბის ბიუჯეტი ნამდვილად ვერ განწვდებოდა",* - ამბობს თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი შავგულიძე.



გიორგი სუთიძე

**გიორგი სუთიძე** „საპოვნელაში" მისვლის მიზეზებს განმარტავს: *„კომერციულზე მეტად, საკუთარი რაიონის თანადგომის სურვილი გვამოძრავებს. გუნდზე რაიონის ხელმძღვანელებს დაველაპარაკეთ და შეძლებისდაგვარად, „საპოვნელას" თანადგომა გადავწყვიტეთ. ახლა მის ხარჯებს მუნიციპალიტეტთან ერთად ვინაწილებთ. სტადიონის გვერდით მიწის ნაკვეთი შევიძინეთ, სადაც ხელოვნურსაფარიანი სავარჯიშო მოედნის მოწყობას ვაპირებთ. შევუკვეთეთ ავტობუსი, შეკრებისა და კვების პრობლემა მოგვარდა, შევიძინეთ „სალერის" ეკიპირება. მაგრამ ჯერ იურიდიული საკითხები გვარდება და „საპოვნელას" ამის შემდეგ უფრო უკეთ მივხედავთ. იანვრიდან კი გაძლიერებას შევეცდებით. ჩვენი მიზანი მინიმუმ სამეულში მოხვედრაა, მომავალი წლიდან კი - უმაღლეს ლიგაში გადასვლა და რაიონში ფეხბურთის აღორძინება. თერჯოლაში ხალხს ფეხბურთი მოენატრა, რაზეც საშინაო შეხვედრებისას გავსებული ტრიბუნები მეტყველებს და ჩვენც გვსურს, რომ რაიონმა ქართულ ფეხბურთში თავისი სიტყვა თქვას".*

**მერაბ მამულაშვილი**

# გამოცდილი ოთხეული სასკოში

პირველი ლიგის „სასკოში" ცვლილებებია. გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - **გიორგი ხიზანიშვილი**. „სასკომ" მიმდინარე სეზონი კარგად ვერ დაიწყო, თუმცა ცვლილებების შემდეგ კლუბში იმედი აქვთ, რომ მალე გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილისთვის იბრძოლებს.

„სასკოში" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, უმაღლესში რომ აქვს ნათამაშები, ახლახან კი ოთხი მართლაც ძალზე გამოცდილი ფეხბურთელიც დაიმატა: 32 წლის **ედიკ საჯაია**, 32 წლის **ლექსო ინწკირველი**, 28 წლის **ზაალ ელიავა** და 33 წლის **დავით დილმელაშვილი**.

მოკლედ, „სასკოს" უკვე საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს და, ალბათ, პირველი ლიგის ერთ-ერთი მოწინავე გუნდიც გახდება.

**დავით თავართქილაძე**

### VII ტური

**A ზონა**

| | |
|---|---|
| ალგეთი-ჩხერიმელა | 2:1 |
| საპოვნელა-გაგრა | 2:1 |
| კოლხეთი (ფ)-შუქურა | 0:1 |
| მერცხალი-ადელი | 1:2 |
| სქური-იმერეთი | 1:0 |
| მეშახტე-დინამო 2 (თბ) | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 6 | 5 | 0 | 1 | 12-2 | 15 |
| 2. საპოვნელა | 6 | 5 | 0 | 1 | 12-2 | 15 |
| 3. ალგეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 11-4 | 15 |
| 4. შუქურა | 6 | 4 | 1 | 1 | 15-6 | 13 |
| 5. მეშახტე | 6 | 4 | 1 | 1 | 14-5 | 13 |
| 6. გაგრა | 7 | 3 | 3 | 1 | 15-8 | 12 |
| 7. სქური | 7 | 3 | 0 | 4 | 7-11 | 9 |
| 8. დინამო 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 9. ჩხერიმელა | 6 | 2 | 1 | 3 | 6-13 | 7 |
| 10. კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-9 | 6 |
| 11. იმერეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-11 | 5 |
| 12. ადელი | 7 | 1 | 0 | 6 | 6-20 | 3 |
| 13. მერცხალი | 7 | 0 | 1 | 6 | 6-17 | 1 |

**B ზონა**

| | |
|---|---|
| სამგურალი-ლოკომოტივი | 2:1 |
| დინამო (ბთ)-სტუ | 3:0 |
| ბეთლემი-საბურთალო | 2:1 |
| მაჭახელა-სულორი | 1:0 |
| ბახმარო-კოლხეთი (ხ) | 1:1 |
| ჭიათურა-დილა 2 | 1:0 |
| სასკო-სამტრედია | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 7 | 6 | 0 | 1 | 15-4 | 18 |
| 2 სამტრედია | 7 | 5 | 1 | 1 | 11-4 | 16 |
| 3. დინამო (ბთ) | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 4. ჭიათურა | 7 | 5 | 0 | 2 | 13-10 | 15 |
| 5. სამგურალი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-11 | 13 |
| 6. ლოკომოტივი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-10 | 10 |
| 7. საბურთალო | 6 | 3 | 0 | 3 | 10-9 | 9 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 7 | 2 | 2 | 3 | 9-13 | 8 |
| 9. ბეთლემი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-8 | 7 |
| 10. სტუ | 7 | 2 | 1 | 4 | 13-15 | 7 |
| 11. სასკო | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 12. დილა 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 6-15 | 5 |
| 13. სულორი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-12 | 4 |
| 14. ბახმარო | 7 | 0 | 3 | 4 | 5-13 | 3 |

ამხანაგური მატჩი

# იმერული ტესტი თითო გოლით

კლუბებისთვის სანაკრებო პაუზა გრძელდება და გუშინ „ზესტაფონმა" საკუთარ ბაზაზე საჩხერის „ჩიხურა" ისტუმრა. ამხანაგური შეხვედრა 1:1 დასრულდა. „ზესტაფონი" 26-ე წუთზე დაწინაურდა **ავთანდილ ენდელაძის** გოლით, „ჩიხურამ" კი ანგარიში მატჩის მიწურულს გაათანაბრა - შორეული, ეფექტური დარტყმით **ვაჟა ლომაშვილი** გამოირჩა.

ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური 20 ოქტომბერს გაიმართება - „ზესტაფონი" „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს, „ჩიხურა" კი თბილისის „დინამოს" ესტუმრება.

**დავით თავართქილაძე**

საკონტროლო მატჩი

# იაშვილის მასტერკლასი

**აზერბაიჯანის ჩემპიონი, თანამეგობრობის თასის გამარჯვებული, აზერბაიჯანის ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი - აი, ასეთია ბაქოს „ინტერის" ქართველი თავკაცის კახა ცხადაძის იქაური მონაგარი ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში. აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ უკვე მეორე წელიწადია კახა ცხადაძეს კიდევ ერთი ქართველი სპეციალისტი ეხმარება: 1981 წლის თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი ზაურ სვანაძე. ისიც უკვე გაუწყეთ, რომ სანაკრებო პაუზების დროს ბაქოს „ინტერი" შეკრებას საქართველოში ხშირად გადის-ხოლმე და ასე იყო ახლაც: ქართველი მწვრთნელების დამოძღვრილი გუნდი ხუთი დღის განმავლობაში თბილისში ემზადებოდა და საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" მოედნებზე ვარჯიშობდა.**



ალექსანდრე იაშვილი (ბურთით) ამხანაგურ მატჩშიც გამორჩეული იყო

„ინტერი" აზერბაიჯანში გუშინ გაემგზავრა, მანამდე კი ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა: 11 ოქტომბერს დუბლშემადგენლობამ ცხინვალის „სპარტაკს" 2:0 მოუგო, მეორე დღეს კი ძირითადი შემადგენლობა რუსთავის „მეტალურგს" დაუპირისპირდა. აღსანიშნავია, რომ „ინტერი"-"მეტალურგის" ამ სპარინგმატჩს დაახლოებით 200 გულშემატკივარი ესწრებოდა და საგურამოს საფეხბურთო სპორტკომპლექსის მოედანზე ჩატარებული შეხვედრა საინტერესოც გამოდგა.

ვიდრე ამ საკონტროლო მატჩის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ მეტოქეებს არაოპტიმალური შემადგენლობებით მოუწიათ მოედანზე გამოსვლა; „ინტერს" აკლდა საქართველოს ნაკრებში გამოძახებული **ბაჩანა ცხადაძე**, აზერბაიჯანის ნაკრების ფეხბურთელები (**ვაგიფ ჯავადოვი, რუსლან ამირჯანოვი, სალახატ აგაევი**), აგრეთვე აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების ორი მოთამაშე (**აბდულა აბაციევი, ილგარ ალეკპეროვი**).

ამათ გარდა, კვლავაც ვერ ითამაშა თბილისის „დინამოს" ყოფილმა ფეხბურთელმა **მიკელ ალვარომ**: 30 წლის ბასკი ნახევარმცველი მძიმე ტრავმის მერე კვლავაც სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

არანაკლები საკადრო პრობლემა ჰქონდა „მეტალურგის" მთავარ მწვრთნელს **გელა სანაიასაც**: სხვადასხვა სახის ტრავმის გამო ამ საკონტროლო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს **ლევან კორღალიძემ, დავით კირკიტაძემ, გიორგი ბერიაშვილმა, გიორგი ქავთარაძემ, ლევან კაკუბავამ** და **გიორგი გავაშელიშვილმა**.

მატჩის საწყისი წუთები „ინტერის" უპირატესობით წარიმართა და ბაქოელთა გუნდის მაკედონიელ ლეგიონერ **ილჩო ნაუმოსკის** დებიუტშივე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ რეალური მომენტი ვერ გამოიყენა; ამის შემდეგ „ინტერის" ქართველმა ლეგიონერმა **ალექსანდრე იაშვილმა** გაიბრწყინა, თუმცა მის ჩინებულ რეიდს **ასიფ მამედოვმა** ლოგიკური გაგრძელება ვერ მოუძებნა.

მამედოვმა შეცდომა მალევე გამოასწორა, როცა „მეტალურგის" მცველების უხეში შეცდომის შემდეგ ბურთი, ფაქტობრივად, ცარიელ კარში შეაგორა. ამ სწრაფი გოლის მერე თამაში ცოტა „დაწყნარდა", თანაც ძლიერმა ქარმაც დალი დაასვა შეხვედრას და პირველ ტაიმში განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა. თუმცა, „მეტალურგს" ერთ ეპიზოდში შეეძლო ანგარიში გაეთანაბრებინა: **დავით ჩირგაძისა** და **ივან ბენიტესის** საჰაერო ორთაბრძოლისას „ინტერის" არგენტინელ ლეგიონერს ბურთი „აეჭრა" და სტუმრები ძელმა იხსნა, დამატებაზე კი **ბექა ტულუშმა** დაასწრო ყველას, მაგრამ მახვილი კუთხიდან ზუსტად ვერ დაარტყა.

დავით ჩირგაძე „მეტალურგის" ახალწვეულია და აქამდე დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა, მანამდე კი ტანმაღალი ფორვარდი წლების განმავლობაში აშშ-ს გუნდში, „ნიუ იორკ რედ ბულში" ირიცხებოდა. ჩირგაძის გარდა ამ მატჩში კიდევ ერთი „ახალი სახე" ვიხილეთ: „გაგრას" და თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე, 27 წლის **კოკა სეფიაშვილი**, რომლის „მეტალურგში" ჩარიცხვის საკითხიც უახლოეს დღეებში გადაწყდება.

მეორე ტაიმი სანახაობრივად ბევრად უკეთესი გამოდგა და ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი 20 წუთის განმავლობაში „მეტალურგი" მეტოქეზე ბევრად აქტიურად გამოიყურებოდა. თუმცა, „ინტერის" დაცვის ხაზი საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი **ლაშა სალუქვაძესა** და **ბრიუს აბდულაიეს**, ხოლო „მეტალურგის" ფეხბურთელთა რამდენიმე შორეული დარტყმის ალება **გიორგი ლომაიას** (რომელიც იმ დღეს კაპიტნის სამკლავურით ვიხილეთ) ნამდვილად არ გასჭირვებია.

ამასობაში ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თავის გამოჩენის საშუალება სხვა ფეხბურთელებსაც მისცა, თუმცა, მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთის შემდეგ მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და „ინტერის" უპირატესობა თვალსაჩინო გახდა.

სასარგებლოდ მოქმედებდა საყრდენი ნახევარმცველი, პარაგვაელი **დევიდ კოლი** (ადრე იტალიურ „ჩეზენაში" გამოდიოდა), ფლანგებზე აქტიურობდნენ **არიფ დაშდამიროვი** და **მატია შპიჩიჩი**, თუმცა, ამ საკონტროლო მატჩში ერთი ფეხბურთელი მაინც ყველასგან გამორჩეული გახლდათ! 35 წლის **ალექსანდრე იაშვილზე** მოგახსენებთ, თავისი მაღალი ოსტატობა არაერთხელ რომ გამოამჟღავნა როგორც თავის საუკეთესო წლებში, „იაშკა" ახლაც მოულლელად მოქმედებდა და თავისი ზეენერგიული თამაშით პარტნიორებიც აიყოლია. ქართველმა ვეტერანმა ერთ ეპიზოდში მართლაც ზღაპრული პასი მისცა შეცვლაზე შემოსულ **აზერ სალახლის**, მაგრამ ახალგაზრდა მცველი ასეთ „მეფურ საჩუქარს", ეტყობა, არ ელოდა და რეალური მომენტიც ვერ გამოიყენა.

ამას გარდა, იაშვილი ორჯერ თვითონაც დაემუქრა „მეტალურგის" კარს: ერთ ეპიზოდში ჩინებული რეიდი განახორციელა, მაგრამ დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოუვიდა; მეორედ კი ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. თუმცა, იაშვილი მოედნიდან უგოლოდ მაინც არ გასულა: „ინტერმა" სწრაფი და მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშა და **არიფ დაშდამიროვის** ფლანგური გარღვევის შემდეგ აზერბაიჯანული გუნდის ქართველმა ლეგიონერმა ახლო მანძილიდან ბურთი კარში შეაგორა - 2:0!

აი, ასე დამთავრდა ორივე გუნდისათვის, უდავოდ, სასარგებლო სპარინგმატჩი, რომელშიც „ინტერმა" და „მეტალურგმა" ასეთი შემადგენლობებით ისპარეზეს:

**ინტერი: ლომაია - სალუქვაძე, აბდულაიე, ბენიტესი - დაშდამიროვი, დ. კოლი, ბაირამოვი (46. ნაზირი/70. ნამავენდი), შპიჩიჩი (74. სალახლი) - მამედოვი (50. ზარგაროვი), იაშვილი (87. ს. კოლი) - ნაუმოსკი (64. მანსუროვი)**

**მეტალურგი: ბედიაშვილი (46. სეფიაშვილი) - ჯაფარიძე (63. ექვთიმიშვილი), ორბელაძე (46. მაისაშვილი), მახვილაძე, თ. კაკულია (75. სუხიაშვილი) - ვასაძე (68. დობროვოლსკი), რაზმაძე (43. გურ. გურეშიძე) - ტულუში, ფიფია, გეწაძე (74. ხაბელაშვილი) - ჩირგაძე (46. სიხარულიძე).**

**გია ტუხაშვილი**

საგურამო-თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XVII ტური

# ყველაფერი გარკვეულია

**ეკვადორი–ურუგვაი 1:0**

გოლი: 1:0 ჯეფერსონ მონტერო (30)

**ეკვადორი (4-4-2):** ა. დომინგესი - რეასკო, გაგა, ერასო, ვ. აიოვი - ა. ვალენსია, ნობოა, ს. კასტილიო, ჯეფერსონ მონტერო (82. რ. იბარა) - ე. ვალენსია (71. ხოაო როხასი - 90. ბოლანიოსი), ფ. კაისედო

**ურუგვაი (3-4-1-2):** მუსლერა - ხ. ხიმენესი, გოდინი, ლუგანო - მაქსი პერეირა (65. ფორლანი), გარგანო (72. ა. სილვა), არევალო რიოსი, ფუსილე - კ. როდრიგესი (78. გ. რამირესი) - სუარესი, კავანი

**კოლუმბია–ჩილე 3:3**

**გოლები:** 0:1 ვიდალი (19-პენ), 0:2 ა. სანჩესი (22), 0:3 ა. სანჩესი (29), 1:3 ტეო გუტიერესი (69), 2:3 ფალკაო (75-პენ), 3:3 ფალკაო (84-პენ)

**კოლუმბია (4-4-2):** ოსპინა - ს. მედინა (46. გუარინი), ლ. პერეა, იეპესი, არმერო - კუადრადო, კ. სანჩესი (67. ბაკა), აგილარი (46. მ. ტორესი), ჯ. როდრიგესი - ტეო გუტიერესი, ფალკაო

**ჩილე (3-4-1-2):** ბრავო - მ. გონსალესი, მედელი, გ. ხარა - ისლა (53. ხოსე როხასი), კარმონა, ვიდალი, მენა - ვალდივია (61. ბოსეჟური) - ა. სანჩესი, ე. ვარგასი (69. ფ. სილვა)

**გაძევება:** კარმონა (66. ჩილე)



ხოსე პეკერმანი და მისი შეგირდები მუნდიალზე მოხვედრას აღნიშნავენ

**ვენესუელა–პარაგვაი 1:1**

გოლები: 0:1 ე. ბენიტესი (28), 1:1 სეიხასი (82)

**ვენესუელა (4-4-2):** დანი ერნანდესი - ა. გონსალესი (77. სეიხასი), ვისკარონდო, ამორებიეტა, როსალესი - რ. ოტერო (64. არისტეგიეტა), ოროსკო, ლუსენა, არანგო - მიკუ, ი. მარტინესი (71. ა. პენია)

**პარაგვაი (4-3-3):** ვილიარი - ბონეტი, პ. და სილვა, გ. გომესი, ხ. ალონსო - ვ. კასერესი, ვ. აიალა, მინიო (86. ხორხე როხასი) - ე. ბენიტესი (57. ო. რომერო), სანტა კრუსი, ო. კარდოსო (66. ფ. ოვიედო)

**არგენტინა–პერუ 3:1**

გოლები: 0:1 კ. პისარო (21), 1:1 ლავეცი (23), 2:1 ლავეცი (35), 3:1 პალასიო (47)

**არგენტინა (4-2-3-1):** ს. რომერო - საბალეტა, გარაი, ფ. ფერნანდესი, როხო - ბანეგა, ბილია - ლავეცი (87. მაქსი როდრიგესი), დი მარია (90. სომოსა), პალასიო (80. ლამელა) - აგუერო

**პერუ (4-4-2):** პენი - აპარისიო, დუარტე, გამბეტა, ე. გომესი (46. ბენავენტე) - პ. ურტადო, ბალიონი, ლ. რამირესი (84. ი. რეინა), ხ. ვარგასი - ა. კარილიო (69. ვილჩესი), კ. პისარო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 15 | 9 | 5 | 1 | 33-12 | 32 |
| 2. კოლუმბია | 15 | 8 | 3 | 4 | 25-12 | 27 |
| 3. ეკვადორი | 15 | 7 | 4 | 4 | 19-14 | 25 |
| 4. ჩილე | 15 | 8 | 1 | 6 | 27-24 | 25 |
| 5. ურუგვაი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-23 | 22 |
| 6. ვენესუელა | 16 | 5 | 5 | 6 | 14-20 | 20 |
| 7. პერუ | 15 | 4 | 2 | 9 | 16-25 | 14 |
| 8. პარაგვაი | 15 | 3 | 3 | 9 | 16-29 | 12 |
| 9. ბოლივია | 15 | 2 | 5 | 8 | 16-29 | 11 |

**ბომბარდირები:** 10 - მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 9 - ფალკაო (კოლუმბია), იგუაინი (არგენტინა); 6 - ფ. კაისედო (ეკვადორი), ტეო გუტიერესი (კოლუმბია)

**ბოლო ტური**

16 ოქტომბერი: ურუგვაი-არგენტინა, ჩილე-ეკვადორი, პარაგვაი-კოლუმბია, პერუ-ბოლივია

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სამხრეთ ამერიკის ზონაში კიდევ ერთი ტურია გასამართავი, მაგრამ თითქმის ყველაფერი უკვე გარკვეულია. არგენტინამ და კოლუმბიამ საგზურები მოიპოვეს, ეკვადორი და ჩილე კი 99,9 პროცენტით მესამე-მეოთხე ადგილებს დაიკავებენ, რაც ნიშნავს იმას, რომ ურუგვაი მუნდიალის საგზურის მოპოვებას კვლავ პლეი ოფში ეცდება...

## ყველაფერი გარკვეულია

პირველი სამი მატჩი ერთდროულად გაიმართა და შეხვედრები ისეთი შედეგებით დასრულდა, რომ ბოლო ტურს ინტრიგა თითქმის აღარ შერჩა. ვენესუელამ, მეხუთე ადგილზე გასვლის მინიმალური შანსიც ვერ გამოიყენა და აუტსაიდერ პარაგვაის დაუზავდა. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ამერიკის ერთადერთი ნაკრები, რომელსაც მუნდიალის ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშია, სწორედ ვენესუელა გახლავთ. **უგო ჩავესის** სამშობლოს წარმომადგენლებს ლოდინი მომავალ, 2018 წლის ჩემპიონატამდე მოუწევთ.

უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართა კიტოში, სადაც ორი კონკურენტის ქიდილში გამარჯვება ეკვადორს დარჩა და მესამე ადგილზე გადავიდა. მასპინძლებმა **ჯეფერსონ მონტეროს** ერთადერთი გოლის წყალობით მოიგეს. ეკვადორმა ურუგვაის ისტორიაში სულ მეოთხედ მოუგო და ამ მარცხის გამო, მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი იორდანიასთან სათამაშოდ უნდა მოემზადოს. „სელესტეს" მე-4 ადგილის დაკავების თეორიული შანსი კი შერჩენილი აქვს, მაგრამ რეალურად, ეს შანსი მიზერულზე მიზერულია. საქმე ისაა, რომ ბოლო ტურში, **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** გუნდის კონკურენტები - ეკვადორი და ჩილე, ერთმანეთს ხვდებიან. ფრე ორივე გუნდს მუნდიალის საგზურს მოუტანს და წარმოუდგენელია, რომ რომელიმე გუნდმა თავი გამოიდოს და მატჩის მოგება სცადოს.

უკვე პლეი ოფზე ფიქრობს თავად ტაბარესიც, რომელიც ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ შეხვდა: *„ბედნიერი, რა თქმა უნდა, არ ვარ, მაგრამ კმაყოფილი ვარ იმით, რომ მუნდიალზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი მაინც გვაქვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე პლეი ოფის გზით მოხვედრა სამარცხვინო ნამდვილად არაა. შეგახსენებთ, რომ წინა მუნდიალზე სწორედ ასე მოვხვდით და საბოლოოდ, მეოთხე ადგილიც დავიკავეთ".*

## სასწაული ბარანკილიაში

ბარანკილიაში ნამდვილი სპექტაკლი გაიმართა. პირველი ტაიმის შემდეგ, კოლუმბია ჩილესთან 0:3-ს აგებდა, მაგრამ **ხოსე პეკერმანის** მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა შედეგი გამოიღო და მეორე 45 წუთში მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. მოგების შემთხვევაში ჩილე ჩემპიონატზე გამგზავრების უფლებას მიიღებდა, მაგრამ **ხორხე სამპაოლის** შეგირდებისთვის ფრეც ნორმალური შედეგი გამოდგა. კოლუმბიამ კი ოთხეულში მოხვედრა გაინაღდა და ეს ნაკრები, 1998 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ითამაშებს.

**რადამელ ფალკაომ** ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და ნაკრებში საკუთარი მონაგარი 19-მდე გაზარდა. „ელ ტიგრემ" **ფრედი რინკონი** ჩამოიტოვა და ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მეორე ადგილზე მყოფ **ფაუსტინო ასპრილიას** მიუახლოვდა. ასპრილიას ანგარიშზე 20 გოლია, პირველზე კი 25 ბურთით **არნოლდო აგარანია**. სხვათა შორის, მასპინძელთა მხრიდან პირველი გოლის ავტორი **ტეოფილო გუტიერესი** ამ სიის ათეულში შევიდა - ტეომ ნაკრებში თავისი მე-11 გოლი გაიტანა (6 ამ შესარჩევში) და **კარლოს ვალდერამას** წამოეწია.

ფალკაოს მსგავსად, ეროვნულ გუნდში თავისი მე-19 გოლი გაიტანა **კლაუდიო პისარომ**, თუმცა ვეტერანის გარჯა არგენტინის დასამარცხებლად საკმარისი არ გამოდგა. **ლეო მესის, გონსალო იგუაინის** და **ხავიერ მასკერანოს** გარეშე მოთამაშე „ალბისელესტემ", გადახალისებული შემადგენლობით წარმდგარ სტუმრებს უპრობლემოდ მოუგო. ესეკილ ლავეციმ, ვისაც აქამდე ეროვნულ გუნდში სულ ორი გოლი ჰქონდა გატანილი, დუბლი შეასრულა, კიდევ ერთი ბურთი კი **როდრიგო პალასიოს** ანგარიშზეა.

**ალეხანდრო საბელიამ** არ ათამაშა **მაური იკარდი**, რაც რბილად რომ ვთქვათ, უცნაური იყო. ვნახოთ, შესაძლოა არგენტინელთა დამრიგებელმა „ინტერის" ახალგაზრდა ფორვარდი მომდევნო შეხვედრაში, ურუგვაის წინააღმდეგ გამოიყვანოს.

შესარჩევი ეტაპის ბოლო ტური 15 ოქტომბერს (ჩვენი დროით უკვე 16 იქნება) გაიმართება. ყველაზე საინტერესო მატჩი, რა თქმა უნდა, სამხრეთამერიკული ფეხბურთის კლასიკა - ურუგვაი-არგენტინა იქნება. სატურნირო ინტრიგა კიდევ მხოლოდ ერთ შეხვედრას, ჩილე-ეკვადორს აქვს შერჩენილი, მაგრამ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ყველანაირი ლოგიკით, ეს მატჩი ფრედ უნდა დასრულდეს.

**ტატო ბაციკაძე**

● ტრაგედია

# კოლუმბიაში მუნდიალზე გასვლის ზეიმს 5 ადამიანი შეეწირა

მე-14 გუნდი, რომელმაც მუნდიალის საგზური გაინაღდა, კოლუმბიის ნაკრებია, თუმცა კოლუმბიელებს ზეიმი ტრაგედიად ექცათ. კოლუმბიის ნაკრებმა ჩილეს ნაკრებთან 3:3 ითამაშა და ამით ბრაზილიის საგზური მოიპოვა. მატჩის დასრულებისთანავე მთელ ქვეყანაში ზეიმი დაიწყო, რომელიც მალე არეულობაში გადაიზარდა. 3 ადამიანი ცეცხლსასროლი იარაღით არის მოკლული, ორი კი მანქანებმა გაიტანეს „ზეიმის" დროს.

*„მთელი ქვეყნის მასშტაბით სამართალდამცავებმა 2 ათასი ჩხუბი დააფიქსირეს"*, - განაცხადეს კოლუმბიის პოლიციაში. ზეიმის დროს სულ 750 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, 106 მძღოლი კი ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დააკავეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი. IX ტური



# მექსიკა გადარჩა... ჯერჯერობით

**ჰონდურასი–კოსტა რიკა 1:0**

გოლი: 1:0 ბენგტსონი (65)

**აშშ–იამაიკა 2:0**

გოლები: 1:0 ზუსი (77), 2:0 ალტიდორი (81)

**მექსიკა–პანამა 2:1**

გოლები: 1:0 პერალტა (40), 1:1 ტეხადა (81), 2:1 რ. ხიმენესი (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 9 | 6 | 1 | 2 | 12-6 | 19 |
| 2. კოსტა რიკა | 9 | 4 | 3 | 2 | 11-6 | 15 |
| 3. ჰონდურასი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 14 |
| 4. მექსიკა | 9 | 2 | 5 | 2 | 6-7 | 11 |
| 5. პანამა | 9 | 1 | 5 | 3 | 8-11 | 8 |
| 6. იამაიკა | 9 | 0 | 4 | 5 | 3-11 | 4 |

**ბოლო ტური**

16 ოქტომბერი: **იამაიკა-ჰონდურასი, პანამა-აშშ, კოსტა რიკა-მექსიკა**

კონკაკაფის ზონაში ურთულესი და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა მექსიკის ნაკრებმა. „აცტეკებმა", მეხიკოში, „აცტეკას" სტადიონზე პანამას უმასპინძლეს და **რაულ ხიმენესის** საოცარი სილამაზის „მაკრატელათი" მოუგეს. ეს მატჩი ფრედ რომ დასრულებულიყო, ვიქტორ **მანუელ ვულეტიჩის** შეგირდები მეოთხე ადგილზე გასვლის შანსსაც გაიუარესებდნენ.

მექსიკელთათვის სამწუხაროდ, მოიგო ჰონდურასმაც და მუნდიალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. ბოლო ტურში, ჰონდურასი უკანასკნელ ადგილზე მყოფ იამაიკას სტუმრობს და მესამე ადგილის დასაკავებლად ფრეც ჰყოფნის. ძნელი წარმოსადგენია, ჰონდურასმა ასეთი შანსი ხელიდან გაუშვას.

ბოლო ტურში მექსიკა კოსტა რიკას ეთამაშება და მეოთხე ადგილის მოსაპოვებლად მასაც მინიმუმ ქულა სჭირდება. თუ მექსიკამ დაკავებული პოზიცია შეინარჩუნა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას პლეი ოფში ეცდება, სადაც ახალ ზელანდიას უნდა დაუპირისპირდეს.

**ტატო ბაციკაძე**

● მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. აფრიკა. პლეი ოფის I მატჩები

# სისემ სენეგალს შანსი დაუტოვა

**ბურკინა ფასო–ალჟირი 3:2**

**გოლები:** 1:0 პიტროიპა (45), 1:1 ფეგული (50), 2:1 დ. კონე (65), 2:2 მეჯანი (69), 3:2 ბანსე (86-პენ)

**კოტ დივუარი–სენეგალი 3:1**

**გოლები:** 1:0 დროგბა (5-პენ), 2:0 ლ. სანე (14-საკ. კარში), 3:0 კალუ (49), 3:1 პ. სისე (90)

**ეთიოპია–ნიგერია 1:2**

**გოლები:** 1:0 ასაფა (56), 1:1 ემენიკე (67), 1:2 ემენიკე (90-პენ)

**ტუნისი-კამერუნი 0:0**

**განა-ეგვიპტე 15 ოქტომბერი**

აფრიკაში გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. პლეი ოფის ხუთი წყვილიდან ოთხმა უკვე ითამაშა, კონტინენტის ორი ყველაზე ტიტულოვანი ნაკრების დაპირისპირება კი ხვალ შედგება.

ბურკინა ფასომ ალჟირს უმასპინძლა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო. სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება ორჯერ მოახერხეს, მაგრამ 86-ე წუთზე **არისტიდ ბანსეს** გოლს ველარ უპასუხეს და მინიმალური სხვაობით წააგეს. ამ წყვილში ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება, რომელიც 19 ნოემბერს ალჟირში გაიმართება.

**პაპის დემბა სისემ** კოტ დივუარის ნაკრების კარში გოლი ბოლო წუთზე გაიტანა და სენეგალს მცირე შანსი შეუნარჩუნა. **ალენ ჟირესის** შეგირდებმა მატჩი საშინლად დაიწყეს და უკვე მე-14 წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით ჩამორჩნენ - ჯერ **დიდიე დროგბამ** გამოიყენა 11-მეტრიანი, შემდეგ კი საკუთარ კარში „ბორდოს" მცველმა **ლუდოვიკ სანემ** გაიტანა. მეორე ნახევრის დებიუტში თავი **სალომონ კალუმაც** გამოიჩინა - 3:0. თითქოს, შეხვედრა ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „ნიუკასლის" ფორვარდმა **ბუბაქარ ბარის** კარი 95-ე წუთზე დალაშქრა და ამ წყვილს მცირე ინტრიგა შეუნარჩუნა.

**ტატო ბაციკაძე**



მუნდიალი 2014. შესარჩევი ციკლი. სტატისტიკა და საინტერესო ამბები

# რობინ რეკორდსმენი

## 32-დან 14 ცნობილია, დარჩა 53 თამაში

**მუნდიალის** შესარჩევი ციკლი დასასრულს უახლოვდება - ევროპაში, პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩებილა დარჩა და შემდეგ დაიწყება პლეი ოფი, უკვე პლეი ოფის სტადიაა აფრიკაში, სრულდება ყველაფერი ამერიკის კონტინენტზეც. მიუხედავად ამისა, ჯერ ბრაზილიაში მონაწილე გუნდების ნახევარიც კი არ გარკვეულა.

### 14 საგზურის ქრონიკა

2014 წლის მუნდიალის საგზურების 43% გაცემულია. 14 საგზურის ქრონიკა კი ასე გამოიყურება: მასპინძელ ბრაზილიას ჯერ 4 ივნისს იაპონია შეუამხანაგდა, შემდეგ სხვა აზიური ნაკრებები - 18 ივნისს საგზურებს ავსტრალია (აზიის ზონაშია), ირანი და სამხრეთ კორეა დაეუფლნენ. ამის მერე 10 სექტემბრამდე პაუზა იყო, ათში კი მუნდიალზე თამაშის უფლება კიდევ 5-მა გუნდმა მოიპოვა: ჰოლანდიამ, იტალიამ, აშშ-მ, კოსტა რიკამ და არგენტინამ. 11 ოქტომბერს საგზური გერმანიის, შვეიცარიის, ბელგიისა და კოლუმბიის ნაკრებებმა მოიპოვეს.

### ვან პერსის რეკორდი

ჰოლანდიის ნაკრებმა 8:1 გაანადგურა უნგრეთის გუნდი. ამ შეხვედრაში ჰეთთრიკი შეასრულა **რობინ ვან პერსიმ**, რომელიც ჰოლანდიის ისტორიაში საუკეთესო მეგოლე გახდა - ახლა მას 79 მატჩში 41 გოლი აქვს გატანილი, ერთით მეტი, ვიდრე **პატრიკ კლუივერტს.**

**ლუის ვან გაალი** (ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი): *„ეს მისთვის დიდი მიღწევაა. პატრიკს თავად ყველაზე მეტად უხაროდა რობინის მიღწევა."*

### იცით, თუ არა რომ...

*** მუნდიალის 31 საგზურისთვის ბრძოლა 202-მა ნაკრებმა დაიწყო (მათ შორის, საქართველომ).**

* ყველაზე მეტი ნაკრები უეფას ზონაშია - 53, შემდეგ მოდის აფრიკა - 52, აზია - 43, კონკაკაფი - 35, ოკეანეთი - 11 და სამხრეთ ამერიკა - 9.



რობინ ვან პერსიმ პატრიკ კლუივერტის რეკორდი დაამხო, შემდეგ კი მას გადაეხვია

*** აზიის საკვალიფიკაციო ტურნირი დიდი ხანია დასრულებულია, თუმცა აზიიდან კიდევ ერთ გუნდს შეუძლია მუნდიალზე მოხვედრა - იორდანია ელის კონმებოლის ზონაში მე-5 ადგილზე გასულ გუნდს.**

* მუნდიალის 767 საკვალიფიკაციო მატჩი უკვე გავლილია, დარჩა 53.

*** სულ გავიდა 2 187 გოლი.**

* ყველაზე მეტი გოლი გაიტანა ახალი კალედონიის ნაკრებმა - 36. შემდეგ მოდის არგენტინის ნაკრები - 33, ჰოლანდია და ანტიგუა - 32-32.

### ევროპა

*** 9-დან 5 ჯგუფში გამარჯვებულის და შესაბამისად, მუნდიალის საგზურის ბედი გარკვეულია. სხვათა შორის, ისე დაემთხვა, რომ გარკვეულია პირველი ხუთი ჯგუფის პირველადგილოსნის ბედი.**

* ევროპაში 13 საგზურიდან 5-ის მფლობელი გარკვეულია, დარჩენილი 8 საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს 19 ნაკრები. აქედან, რუსეთის შანსს 99%-იანი ეთქმის, ხოლო სომხეთისას - მხოლოდ თეორიული.

*** C ჯგუფი ერთადერთია, სადაც ყველაფერი გაირკვა: გერმანიამ მუნდიალის საგზური მოიპოვა, შვედეთმა კი პლეი ოფის საგზური გაინაღდა. გამორიცხულია, რომ ამ ჯგუფის მეორეადგილოსანი (ბოსნია) ყველაზე უარესი გამოდგეს 9 ჯგუფში და შესაბამისად პლეი ოფში ვერ გავიდეს.**

* პირველ-მეორე (ბელგია, ხორვატია) ადგილოსანთა ვინაობა გარკვეულია A ჯგუფშიც, ოღონდ ხორვატიის ნაკრებს პლეი ოფი ჯერ არ გაუნაღდებია.

*** დღევანდელი მდგომარეობით, უცუდესი მეორეადგილოსანი ბულგარეთია (7 ქ).**

* სულ მცირე პლეი ოფის საგზური განაღდებული აქვთ რუსეთს, ბოსნიას, საბერძნეთს, ინგლისს, ესპანეთსა და საფრანგეთს. შვედეთზე უკვე ვთქვით - ეს გუნდი უკვე პლეი ოფშია.

*** საშუალო დასწრება ყველაზე მაღალი ჩვენს ჯგუფშია - 38 985. G ჯგუფში ეს მაჩვენებელი მართლაც კატასტროფულია - საშუალოდ 9 150 ადამიანი დადის თითოეულ მატჩზე.**

*** საქართველოს ნაკრებზე მეტი გოლი გაიტანა 35-მა ფეხბურთელმა!**

*** ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს: ჰოლანდიამ (32), გერმანია (31), ინგლისმა (29) და ბოსნიამ (29).**

* ყველაზე ცოტა გოლი გაიტანა: ანდორამ (საერთოდ არ გაუტანია), სან მარინომ (1) და საქართველომ (3).

*** ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა: ბელგიამ (3) და ესპანეთმა (3).**

* ყველაზე მეტი გოლი გაუშვა: სან მარინომ (46), ანდორამ (28) და ფარერის კუნძულებმა (26).

*** ყველაზე მეტი გოლი პენალტით გაიტანა უნგრეთის ნაკრებმა (4).**

* ყველაზე მეტი მოგება აქვს: ჰოლანდიას (8), გერმანიას (8) და ბელგიას (8).

*** ტურნირზე არ მოუგიათ: ლიხტენშტაინს, ფარერის კუნძულებს, სან მარინოს და ანდორას.**

*** საქართველოს ნაკრებმა სულ 1 მატჩი მოიგო.**

*** ყველაზე მეტი მატჩი ფრედ დაასრულა აზერბაიჯანმა - 5.**

* ყველაზე მეტი მატჩი წააგო: სან მარინომ (9) და ანდორამ (9).

*** ტურნირზე არ წაუგია: ჰოლანდიას, გერმანიას, ინგლისი, ბელგიას, იტალიას, შვეიცარიას და ესპანეთს.**

**ბომბარდირები:** 11 - რობინ ვან პერსი (ჰოლანდია), დიონ მაკოული (ბელიზი); 10 - ლიონელ მესი (არგენტინა), ბლას პერესი (პანამა), ლუის სუარესი (ურუგვაი), ედინ ჯეკო (ბოსნია), პიტერ ბირსი (ანტიგუა); 9 - გონსალო იგუაინი (არგენტინა), რადამელ ფალკაო (კოლუმბია); 8 - ჯერი ბენგსტონი (ჰონდურასი), კლინტ დემპსი (აშშ), შინჯი ოკაზაკი (იაპონია), ჟორჟ გოპ-ფენეპეი (ახალი კალედონია).

**ასისტენტები** (მხოლოდ ევროპა): 7 - თომას მიულერი (გერმანია); 6 - ჟოაო მოუტინიო (პორტუგალია); 5 - ჯერმაინ ლენსი (ჰოლანდია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისის ნაკრები

# სიახლე ლომების ბანაკში

უკვე დიდი ხანია, ინგლისის ნაკრებს ისე კარგად არ უთამაშია, როგორც ეს ჩერნოგორიასთან. „სამ ლომს" 90 წუთის განმავლობაში საკუთარი უპირატესობა წუთითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა ტემპს მოუმატეს და მეტოქე, საბოლოო ჯამში, ნაცარტუტად აქციეს. საუკეთესოები იყვნენ **უეინ რუნი** და **ანდროს ტაუნსენდი**. ამ უკანასკნელმა პირველად ითამაშა ეროვნული გუნდის სასტარტოში და პირველი გოლი გაიტანა. ამას გარდა, „ტოტენჰემის" ნახევარმცველმა ძალიან დიდი „შავი სამუშაო" გასწია. მან საკუთარ გუნდს ნახევარდაცვაში კოლოსალური უპირატესობა მოაპოვებინა. 22 წლის შუახაზელი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. **როი ჰოჯსონი** შეგირდის თამაშით კმაყოფილი დარჩა: *„ანდროსმა დიდი როლი ითამაშა ჩვენს გამარჯვებაში. ის კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე ნაკრებში დებიუტი და თანაც ასეთი ეფექტური, ძალიან ბევრს ნიშნავს. ყოველივეს გამო ის დიდ პატივისცემას იმსახურებს. ტაუნსენდი თავის საქმეს აკეთებდა მშვიდად და ემოციების გარეშე. ზუსტად ისე, როგორც ამას „ქუინზ პარკს" და „ტოტენჰემში" მიგვაჩვია".*

თამაშის დასრულების შემდეგ შესანიშნავ ხასიათზე იყო უეინ რუნი. მისი თქმით, ინგლისს სრული უფლება აქვს, მომავალს ოპტიმისტურად ელოდოს. *„მიუხედავად საწინააღმდეგოს მტკიცებისა, ინგლისს ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეების მთელი ჯგუფი ჰყავს. უბრალოდ ყური დაუგდეთ, ვის გვარებსაც ჩამოგითვლით - ჯონსი, სმოლინგი, ტაუნსენდი, უილშირი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სტერლინგი, უოლკოტი, უელბეკი, სტარიჯი. უნიჭოს ვერც ერთ მათგანს ვერ უწოდებთ. პირადად მე ბედნიერი ვარ, რომ ინგლისს ამდენი კარგი ახალგაზრდა ეზრდება,"* - განაცხადა რუნიმ.



ანდროს ტაუნსენდი ჩერნოგორიასთან მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა

### სტერლინგი დამატებით სიაში

ჰოჯსონის გუნდს „უემბლიზე" ხვალ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის. ამჯერად პოლონეთთან, სადაც საბოლოოდ უნდა გაირკვეს, ინგლისი პირდაპირ დაიბევებს ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს, თუ შორი გზით მოუწევს მოვლა. ის, რომ მასპინძლებს შესანიშნავი შანსები აქვთ მიზნის მისაღწევად, საფეხბურთო ექსპერტებიც და ტოტალიზატორებიც თანხმდებიან. პოლონეთთან ინგლისს ორი ფეხბურთელი არ ეყოლება. **ტომ კლევერლიმ** ტრავმა მიიღო და სამკურნალოდ „მანჩესტერ იუნაიტედის" ბაზაზე დაბრუნდა, **კაილ უოლკერმა** კი, შეიძლება ითქვას, უაზრო „ყვითელი" მიიღო და დისკვალიფიცირებულია. უკანასკნელს დაცვის მარჯვენა ფლანგზე ალბათ **ფილ ჯონსი** შეცვლის, კლევერლის კი შეკრებაზე **რაჰემ სტერლინგი** ჩაანაცვლებს.

### გადამწყვეტი შერკინება

ინგლისს უკვე განიარაღებულ პოლონეთთან მოუწევს გამარჯვებისთვის ბრძოლა. პარასკევს კიევში მინიმალური ანგარიშით მარცხის შემდეგ **ვალდემარ ფორნალიკის** გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა. „უემბლიზე" ის მხოლოდ საკუთარი პრესტიჟის გადასარჩენად თუ ითამაშებს. ინგლისის კაპიტანი **სტივ ჯერარდი** თანაგუნდელებს სიფხიზლისკენ მოუწოდებს. მან იცის, რომ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. აი, რა თქვა ჯერარდმა „ლივერპულის" ვებგვერდთან ინტერვიუში: *„მიზანი მხოლოდ სანახევროდ არის მიღწეული. პოლონეთს კარგი გუნდი ჰყავს. დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩერნოგორიის მსგავსად ყველაფერს გააკეთებს, რათა მაქსიმალურად გაგვირთულოს ამოცანა. ამიტომაც ვამბობ, რომ სამშაბათს ისევე კარგად უნდა ვითამაშოთ, თუ უკეთ არა, როგორც წინა შეხვედრაში. კარგი იქნებოდა, მეტოქე იმედგაცრუებული და მოტივაცია დაკარგული გამოსულიყო ჩვენთან სათამაშოდ, მაგრამ ამის თქმის საფუძველი არ გაგვაჩნია. წარმოიდგინეთ, ითამაშო „უემბლიზე" და ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დატოვო, ამაზე მეტი მოტივაცია რაღა საჭიროა? ასე რომ, უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ მეტოქე სრულად კონცენტრირებული იქნება".*

მომავალ დაპირისპირებაზე ილაპარაკა „დეილი მირორთან" პოლონელთა ლიდერმა **რობერტ ლევანდოვსკიმაც:** *„შესაძლოა, ჰარტი შეცდომებს ხანდახან უშვებდეს კიდეც, მაგრამ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ის ძალიან ძლიერია თავის საქმეში. შარშანდელ ჩემპიონთა ლიგაში „სიტის"-"დორტმუნდის" მატჩისას მან წარმოუდგენელი მომენტები აილო. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო თამაში მეკარისა, რაც კი ოდესმე მინახავს. ის, რომ მაშინ მხოლოდ ქულა ავიღეთ, ჰარტის დამსახურებაა, რადგან მაშინ მან საკუთარი გუნდი 4-5 მომენტში იხსნა უეჭველი გოლისგან".*

**ლევან ბიბილაშვილი**

დანიშვნა




ხავიერ კლემენტე

## კლემენტე ლიბიის ნაკრებში დაინიშნა

ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ხავიერ კლემენტე**, რომელიც ბოლოს ხიხონის „სპორტინგში" მუშაობდა, ლიბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. 63 წლის ბასკმა სპეციალისტმა აფრიკის წარმომადგენელთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. როგორც ლიბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ანვარ ალ ტიშანიმ** პრეზენტაციაზე აღნიშნა, კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ მხარეები თანამშრომლობით კმაყოფილები იქნებიან, ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გახანგრძლივდება, კლემენტეს ანაზღაურების შესახებ დასმულ შეკითხვაზე კი ალ ტიშანიმ უპასუხა, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლოა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ახალი სახეები იუნაიტედში


რუუდ გულიტი

„მილანის", „ჩელსისა" და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **რუუდ გულიტი** მიიჩნევს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" იანვარში შემადგენლობის გაძლიერების გარეშე ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსიც კი ალარ დარჩება. მისი თქმით, „ეშმაკებს", მინიმუმ, სამი ახალი ფეხბურთელის ყიდვა სჭირდებათ. „მესმის, დევიდ მოიესმა ხელმძღვანელობისგან ტრანსფერებისთვის ფული რატომ მოითხოვა. „იუნაიტედმა" როგორმე უნდა შეძლოს და შიდა თუ ევროპულ ტურნირებზე კონკურენტუნარიანი დარჩეს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ კლუბი საამისოდ ფინანსებს გამონახავს, რადგან შემადგენლობის გაძლიერება სასიცოცხლოდ აუცილებელია. შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. ჩემი აზრით, არასტაბილური ასპარეზობაც სწორედ ამის ბრალია," - განუცხადა „მირორს" 51 წლის ჰოლანდიელმა.

გულიტი „ეშმაკებს" იმისკენ მიანიშნებდა, რომ „ოლდ ტრეფორდზე" ტოპკლასის მოთამაშეთა ნაკლებობაა. ფრანგული წყაროების მტკიცება, რომ „იუნაიტედი" სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ „მონპელიედან" **რემი კაბელას** ყიდვას აპირებს, ამ სცენარში არ ჯდება. არ ჯდება იმის მიუხედავად, რომ 23 წლის ცენტრალური ნახევარმცველი ფრანგულ ლიგა 1-ში მიმდინარე სეზონში არაჩვეულებრივად ასპარეზობს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ის უკანასკნელ ტურში „ლიონთან" (5:1), სადაც დუბლის გარდა 3 საგოლე გადაცემა გააკეთა.

## იანგი მიდის

„იუნაიტედის" 28 წლის განაპირა ნახევარმცველი **ეშლი იანგი** უკვე დიდი ხანია, ალარ ჰგავს საკუთარ თავს. 7 ტურში მან 4 თამაში ჩაატარა, აქედან 3 ძირითადში და მოედანზე გატარებულ 204 წუთში მხოლოდ 1 საგოლე გადაცემა მიითვალა. იმის გათვალისწინებით, რომ 18 წლის **ადნან იანუზაი** საუცხოო ფორმაშია, ინგლისის ნაკრების წევრს ძირითადში დაბრუნება ძალიან გაუჭირდება. **დევიდ მოიესი** აცხადებს, რომ მას სჯერა ფეხბურთელის, თუმცა იმისთვის, რომ იანგმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი შეინარჩუნოს, მზადაა, იანვარში ის იჯარით პრემიერლიგის რომელიმე კლუბში გაუშვას. ნახევარმცველის გადაბირების მსურველები უკვე გამოჩნდნენ. მაგალითად, „ვესტ ჰემი" და „ნიუკასლი". დრო იმისთვის, რომ გუნდისთვის საკუთარი საჭიროება დაამტკიცოს, იანგს იანვრამდე აქვს.

ლევან ბიბილაშვილი

ამბები

## გადავა დე ბრუინი ვოლფსბურგში?


კევინ დე ბრუინი

პარასკევს ბელგიის ნაკრებმა ხორვატია სტუმრად 2:1 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გაინაღდა. ბელგიელთა რიგებში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა **კევინ დე ბრუინმა**, რომელსაც ნაკრების თავკაცი **მარკ ვილმოტსი** ენდობა, ლონდონის „ჩელსიში" კი „სკამს ახეხინებენ". 22 წლის დე ბრუინს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და „ჩელსიდან" წასვლა უნდა.

ცნობილია, რომ „ვოლფსბურგს" მისი არენდით აყვანა სურს და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ „მგლებმა" კევინი იანვარში გადაიბირონ. ვოლფებს დე ბრუინი ბრაზილიელი **დიეგოს** შემცვლელად სჭირდებათ, რომელსაც წასვლაზე უჭირავს თვალი. დე ბრუინის იჯარით აყვანა ბრემენის „ვერდერსაც" სურს, სადაც კევინი ერთხელ უკვე იყო განათხოვრებული.

## ჰიდინკი ისევ ავსტრალიაში?

როგორც ცნობილია, ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჰოლგერ ოსიეკი** საფრანგეთთან და ბელგიასთან 0:6-ზე წაგებული მატჩების შემდეგ გაათავისუფლეს. უახლესი ცნობების მიხედვით, ავსტრალიელებს **გუუს ჰიდინკის** დანიშვნა სურთ, რაც ფედერაციის პრეზიდენტმა **დევიდ გალოპმა** ოფიციალურად დაადასტურა. „ჰიდინკთან მოლაპარაკებები დავიწყეთ და ამ მომენტში მეტს ვერაფერს გეტყვით," - აცხადებს გალოპი. ჰიდინკი, რომელიც ბოლოს მახაჩკალის „ანჟიში" მუშაობდა, ივლისის შემდეგ უმუშევარია. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა 2006 წლის მუნდიალზე ავსტრალიის ნაკრები მერვედფინალში გაიყვანა, სადაც მომავალ ჩემპიონ იტალიასთან დამარცხდა. ავსტრალიის ნაკრებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საგზური მოპოვებული აქვს.

## შაჩირი მიუნხენში ტრავმირებული დაბრუნდა

„ბაიერნისა" და შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირი** ალბანეთთან 2:1-ზე მოგებულ შეხვედრაში დაშავდა. „ბლიკის" ინფორმაციით, ტრავმა საკმაოდ სერიოზულია. „ტკივილი იმ მომენტშიც მაწუხებდა, როცა ანგარიში გავხსენი. შესვენებაზე მწვრთნელს ვუთხარი, რომ მოედანზე გასვლა მინდოდა და როგორც ხედავთ, სწორადაც მოვიქეცი, რადგან პირველი გოლი სწორედ მე გავიტანე," - აცხადებს შაჩირი, რომელიც მატჩის შემდეგ მიუნხენში დაბრუნდა. ამ დღეებში გაირკვევა, ზუსტად რამდენ ხანს დაჰყოფს შაჩირი ლაზარეთში.


ჯერდან შაჩირი ალბანეთთან დაშავდა

გოტფრიდ ლენცი

ამბები

## ჯონსონი და ალენი ბრუნდებიან


გლენ ჯონსონი (მარჯვნივ) და ჯო ალენი

„ლივერპულის" 29 წლის მარჯვენა მცველმა **გლენ ჯონსონმა** დაადასტურა, რომ სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზისას ტრავმა სრულად მოიშუშა და მომავალ უქმეებზე სათამაშოდ მზად იქნება. ჯონსონი 1 სექტემბერს „მანჩესტერ იუნაიტედთან", შეხვედრის 78-ე წუთზე დაშავდა. „6-კვირიანმა სარეაბილიტაციო პროცესმა შედეგი გამოიღო. ორშაბათს უკვე გუნდთან ერთად ვივარჯიშებ," - დაწერა ფეხბურთელმა საკუთარ „ტვიტერზე".

გეტყვით, რომ საერთო ჯგუფთან ვარჯიშს კიდევ უფრო ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უბრუნდება 23 წლის უელსელი **ჯო ალენიც**, ვინც მიმდინარე სეზონში მოედანზე მხოლოდ 8 წუთი გაატარა (24 აგვისტოს „ასტონ ვილასთან").

## ღამურები ლივერპულის წინააღმდეგ

„მირორის" ცნობით, ღამურების კოლონიამ, რომელიც „ენფილდის" ახლოს სახლობს, შესაძლოა, კლუბს რეკონსტრუქციის გეგმა გაურთულოს. მიზეზი ცხოველთა უფლებების დამცველების მიერ ქალაქის ადმინისტრაციაში შეტანილი განცხადებაა, სადაც ისინი „ღამურების უფლებების განუხრელ დაცვას" ითხოვენ. „ლივერპულმა" კონტრაქტორ ფირმას, რომელიც არენაზე დაწყებულ სამუშაოებს გაუძღვება, უკვე აცნობა, რომ ფაუნისთვის ზარალის თავიდან ასაცილებლად წინასწარი სამუშაოების ჩატარება მოუწევს. რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, „ენფილდზე" უშუალოდ მშენებლობის პროცესი წლის ბოლომდე უნდა დაიწყოს. გეგმის თანახმად კი ტევადობა 45 ათასიდან 60-მდე გაიზრდება.

## ჩხუბი ასოციაციის თასზე

ინგლისის ასოციაციის თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთმანეთს სამოყვარულო სტატუსის მქონე „ატერსტოუნ ტაუნი" და ჩრდილოეთი კონფერენციის „ბეროუ" შეხვდნენ. სტუმრებმა პირველივე ტაიმში 4:0 წაიყვანეს, რამაც ნასვამი მასპინძელი გულშემატკივრები ალაშფოთა. შესვენებისას ფანების ნაწილი მინდორზე გადაიჭრა და პირდაპირ მეტოქის მხარდამჭერთა სექტორისკენ აიღო გეზი. სტადიონის დაცვა საქმეში დროულად ჩაერთო. მალე პოლიციაც გამოცხადდა ადგილზე, თუმცა ჩხუბს მშვიდობიანად მაინც არ ჩაუვლია. სერიოზულად არის დაშავებული ერთ-ერთი ხანდაზმული სტუმარი. „ატერსტოუნის" წარმომადგენელმა კლუბის სახელით ბოდიში მოიხადა ინციდენტისთვის და პირობა დადო, რომ სამართალდამცავებთან ერთად მაქსიმუმს გააკეთებს, რათა ჩხუბის ორგანიზატორებმა კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი. აქვე გეტყვით, რომ მეორე ტაიმში გოლი ალარ გასულა.

## შეი გივენს იმედი აქვს

„ასტონ ვილას" 37 წლის ირლანდიელი გოლკიპერი **შეი გივენი** იმედოვნებს, რომ ხელმძღვანელობა იანვარში ახალ კლუბში გადასვლაში ხელს არ შეუშლის. ბირმინგემელთა დამრიგებელ **პოლ ლამბერტს** ვეტერანის სამსახური ალარ სჭირდება. ის ამას არც მალავს. „ვილას" ძირითადი გოლკიპერი **ბრედ გუზანია**, სათადარიგოთა შორის კი მუდმივად **ჯედ სტირი** ზის. კეთილი ნება თუ არა, გივენს „ვილა პარკზე" ყოფნა კიდევ დიდხანს მოუწევს. მას მოქმედი ხელშეკრულება 2016 წლის ივლისამდე აქვს გაფორმებული.

ლევან ბიბილაშვილი

ნიურნბერგი


მარსელ კოლერი

## ფრანკებს კოლერი მიხედავს?

### კრისტიან გროსმა ნიურნბერგი იუარა

ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, შვეიცარიელმა სპეციალისტმა **კრისტიან გროსმა** „ნიურნბერგის" ხელმძღვანელებს უარი შეუთვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრანკები" მთავარი მწვრთნელის ძებნას განაგრძობენ. 59 წლის გროსის უარის შემდეგ, ჩვენს გერმანელ კოლეგებს ამ თანამდებობაზე ფავორიტად 52 წლის **მარსელ კოლერი** მიაჩნიათ, რომელიც ახლა ავსტრიის ნაკრების თავკაცია, მაგრამ დიდი შანსია, რომ ეს პოსტი დატოვოს.

ავსტრიელი ჟურნალისტის კითხვაზე, შეუთანხმდა თუ არა კოლერი „ნიურნბერგს", მარსელმა ასეთი პასუხი გასცა: „ამაზე ვერაფერს გეტყვით, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა." ფაქტია, რომ კოლერს ავსტრიის ნაკრებში მომავალი ალარ აქვს - ახალი კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია და ალბათ ალარც გააფორმებს.

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები

# ბალოტელი ისევ საეჭვოა

## ინსინიე და ვერატი მზად არიან



ლორენცო ინსინიე და მარკო ვერატი სრული დატვირთვით ვარჯიშობენ

იტალიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრისთვის ემზადება, რომელიც ქალაქ ნეაპოლში გაიმართება. „სკუადრა აძურას" სომხეთის ნაკრები სტუმრობს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს თეორიული შანსი ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავოს. მართალია, ამისთვის საჭიროა, რომ დანიამ საკუთარ კედლებში მალტას ვერ მოუგოს და ბულგარეთი-ჩეხეთის ჯახი მაინცდამაინც ფრედ დასრულდეს, მაგრამ სომხები მაინც ბოლომდე აპირებენ ბრძოლას. თავის მხრივ, იტალიელებსაც აქვთ გარკვეული მოტივაცია - „აძურას" შესარჩევ ეტაპზე არც ერთი შეხვედრა არ წაუგია და ბუნებრივია, სტატისტიკის „გაფუჭება" არ სურთ. მეტსაც გეტყვით, იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე, არასდროს, არც ერთი მატჩი არ წაუგია. მოკლედ, ნეაპოლში საინტერესო მატჩი გველის და ღირს აპენინელთა ბანაკში შეხედვა.

დანიასთან მატჩი ტრავმის გამო სამმა ფეხბურთელმა გამოტოვა: **ლორენცო ინსინიემ, მარკო ვერატიმ** და **მარიო ბალოტელიმ.** თავიდან უფრო მსუბუქი ბალოტელის ტრავმა ჩანდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი ყოფილა - ვერატი და ინსინიე გამოჯანმრთელდნენ, ბალოტელის თამაში კი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა. ამ თემაზე მოკლე კომენტარი „სკუადრა აძურას" მთავარმა ექიმმა, პროფესორმა **კასტელაჩიმ** გააკეთა:

*„ლორენცო ინსინიე და მარკო ვერატი სრულ მზადყოფნაში არიან, მარიო ბალოტელის კი ჯერ კიდევ აწუხებს ფეხი. ვერ გეტყვით ითამაშებს თუ არა მარიო სომხეთის ნაკრებთან, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სატურნირო თვალსაზრისით მატჩი არაფერს წყვეტს, ეს ნაკლებსავარაუდოა. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ორშაბათს საღამოს გვეცოდინება".*

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# კაკა ბრუნდება

## მილანი უდინეზეს ტიფოზებით დაუხვდება

იტალიური სპორტული პრესა სანაკრებო ბატალიებზეა გადართული, მაგრამ აქა იქ, საინტერესო საკლუბო ცნობებიც ვრცელდება. ორი ასეთი ინფორმაცია „მილანს" და კერძოდ, სერია A-ს მომდევნო ტურში დაგეგმილ „მილანი"-„უდინეზეს" მატჩს ეხება.

გახსოვთ ალბათ ქომაგთა რასისტული შეძახილების გამო, „როსონერი" სადისციპლინო კომიტეტმა დასაჯა და გარდა ფინანსური სანქციისა, გუნდს მომდევნო საშინაო მატჩის ცარიელი ტრიბუნების ფონზე ჩატარება მოუსაჯა. ამ ამბავს იტალიაში დიდი რეზონანსი მოჰყვა - „მილანს" სერია A-ს სხვა გუნდების გულშემატკივრებმა აუბეს მხარი და დაიმუქრნენ: თუ ლომბარდიულ გრანდს სანქცია არ მოეხსნება, ყველა სტადიონზე რასიზმი იფეთქებს და დაე, მომდევნო ტურში უკლებლივ ყველა მატჩი ცარიელი ტრიბუნების ფონზე ჩატარდესო. მოკლედ, პროტესტმა შედეგი გამოიღო და სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვეტილება შეცვალა - „მილანი" „უდინეზეს" გულშემატკივრებით დახვდება. ამ თემაზე მოკლე კომენტარი კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** გააკეთა:

*„სადისციპლინო კომიტეტმა ზეწოლას ვერ გაუძლო და მიიღო ის გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიეღო. მადლობა ყველას, ვინც სოლიდარობა გამოგვიცხადა და ჩვენ ერთად მივაღწიეთ ამ შედეგს. აქ საქმე ერთ კონკრეტულ შეხვედრაში არაა, ბოლოს და ბოლო ჩავატარებდით „უდინეზესთან" მატჩს ცარიელი ტრიბუნების ფონზე, მაგრამ არ შეიძლება უსამართლობამ იზეიმოს. რამდენიმე ადამიანის გამო, 50 000 გულშემატკივარი არ უნდა დაისაჯოს".*

„მილანთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც „უდინეზესთან" შეხვედრაში შესაძლოა **რიკარდო კაკამ** ითამაშოს. ბრაზილიელი შემტევი გამოჯანმრთელდა, მალე სრული დატვირთვით ივარჯიშებს და შაბათის შეხვედრაში 15-20 წუთით თამაში შეეძლება. თუმცა, შესაძლოა „მილანის" მწვრთნელებმა არ გარისკონ და კაკა ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონასთან" პაექრობისთვის შემოინახონ. თავად კაკამ „გაძეტა დელო სპორტს" მოკლე კომენტარი მისცა და განაცხადა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს. შეგახსენებთ, რომ რიკიმ ტრავმა სეზონის სტარტზე მიიღო და თავისივე გადაწყვეტილებით, გამოჯანმრთელებამდე ხელფასს არ იღებდა.




კაკამ შესაძლოა „უდინეზესთან" ითამაშოს

**ლაშა წიკლაური**

ვეტერანები



# ბაბუების შესანიშნავი შვიდეული

ფრანჩესკო ტოტი საუკეთესო ვეტერანებს შორის ყველაზე უმცროსია

თანამედროვე ფეხბურთში ფიზიკურ მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რა გასაკვირია, რომ მწვრთნელები აქცენტს ხშირად ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებენ. თუმცა, არაერთი ვეტერანის გახსენება შეიძლება, რომლებიც თავიანთ გუნდებში მოწინავე პოზიციაზე არიან და შვილის ტოლა თანაგუნდელებს არა თუ არაფერში ჩამოუვარდებიან, ჯობნიან კიდეც. მაშ ასე, „ბაბუების" შესანიშნავი შვიდეული.

### როჟერიო სენი

გუნდი: სან პაულო (ბრაზილია)
ამპლუა: მეკარე
ასაკი: 40 წელი

მეკარე-ბომბარდირი, რომელიც „სან პაულოში" 17 წლის ასაკში ჩაირიცხა და დღემდე ამ გუნდის ღირსებას იცავს. მართალია, მიმდინარე სეზონში „სან პაულო" ვერ ბრწყინავს, მაგრამ ამაში სენი ყველაზე ნაკლებად არის დამნაშავე. როჟერიო კვლავაც ძირითად შემადგენლობაშია და ამ სეზონში უკვე გაიტანა ერთი გოლი საჯარიმო დარტყმით.

### ზე რობერტო

გუნდი: გრემიო (ბრაზილია)
ამპლუა: ნახევარმცველი
ასაკი: 39 წელი

ფეხბურთის ევროპელი გულშემატკივრისთვის ზე რობერტოს ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. ბრაზილიელი ნახევარმცველი კვლავაც მოქმედი ფეხბურთელია და „გრემიოს" ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ. ზე შეუცვლელია შუა ხაზში და „გრემიოს" ბოლო დროინდელ წარმატებებში ლომის წილიც მიუძღვის. ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი მიმდინარე ჩემპიონატში ლიდერთა შორის გახლავთ.

### ალესანდრო დელ პიერო

გუნდი: სიდნეი (ავსტრალია)
ამპლუა: თავდამსხმელი
ასაკი: 38 წელი

ლეგენდარული იტალიელი ფორვარდი გასულ სეზონში გუნდის ბომბარდირი გახდა, მთლიანად ავსტრალიის ჩემპიონატში კი საუკეთესო მეგოლეთა შორის მოხვდა. ახალი სეზონიც შესანიშნავად დაიწყო და პირველივე შეხვედრებში გამოიჩინა თავი. „იუვენტუსში" ბოლო დრომდე ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეჭვი გვაქვს, დღესაც რომ ტურინულ გრანდში ირიცხებოდეს, არავისზე ნაკლები არ იქნებოდა.

### რაიან გიგზი

გუნდი: მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ამპლუა: ნახევარმცველი
ასაკი: 39 წელი

მართალია, მიმდინარე სეზონში რაიან გიგზი ვერ ბრწყინავს, მაგრამ საუკეთესო ბაბუების რიცხვში მას ნამდვილად გარანტირებული აქვს ადგილი. უელსელმა ვეტერანმა თვით ალექს ფერგიუსონი მოინელა და პრემიერლიგაში სარეკორდო გოლის გასატანად ემზადება. ნოემბერში რაიანი 40 წლის გახდება, მიმდინარე სეზონში კი გუნდის მწვრთნელის სტატუსითაც სარგებლობს.

### ჟუნინიო პერნამბუკანო

გუნდი: ვასკო და გამა (ბრაზილია)
ამპლუა: ნახევარმცველი
ასაკი: 38 წლის

მართალია, მიმდინარე სეზონში „ვასკო და გამა" წარუმატებლად ასპარეზობს და გასავარდნ ზონაშია, მაგრამ 38 წლის ჟუნინიო პერნამბუკანო თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებს. მისი საქმე კი ფორვარდების პასებით მომარაგება და რაც მთავარია, საჯარიმო დარტყმით გოლების გატანაა. ჟუნინიოს ჯარიმები უკვე მსოფლიო ფეხბურთის საკუთრებაა, თუმცა ვალმოხდილ ბრაზილიელ დირიჟორს არაფრით სურს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება.

### ხავიერ ძანეტი

გუნდი: ინტერი (იტალია)
ამპლუა: მცველი
ასაკი: 40 წლის

მძიმე ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ სარეაბილიტაციო კურსს წარმატებით გადის და გვპირდება, რომ მოედანს აუცილებლად დაუბრუნდება. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოხდება ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე, როდესაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მოედანს 40 წლის არგენტინელი დაუბრუნდება. „ინტერის" ცოცხალი ლეგენდა უდავოდ იმსახურებს შვიდეულში ყოფნას.

### ფრანჩესკო ტოტი

გუნდი: რომა (იტალია)
ამპლუა: თავდამსხმელი
ასაკი: 37 წელი

შესანიშნავ შვიდეულში ყველაზე უმცროსი ფრანჩესკო ტოტია, რომელიც მხოლოდ 37 წლისაა და იმავე ძანეტიმდე მთელი სამი წელი და შესაბამისად, სამი სეზონი უკლია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტოტი დღემდე ლიდერობს „რომას" და ამ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელია. აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ფრანჩესკო იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნდება და მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს, მოვლენათა ასეთი განვითარების შესაძლებლობას კი თვით „სკუადრა აძურას" თავკაცი, **ჩეზარე პრანდელი** ადასტურებს.

**ლაშა წიკლაური**



ალესანდრო დელ პიერო ავსტრალიის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა

ვარსკვლავი



დავიდ სილვა „ეტიჰადიდან" წასვლას არ გეგმავს

# მადლობა, მე ვრჩები

ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ „მანჩესტერ სიტის" 27 წლის შემტევი ნახევარმცველი **დავიდ სილვა** „ქალაქელთა" რიგებს ჩემპიონთა ლიგის II ტურში „ბაიერნთან" დაუბრუნდა. ერთ-ერთ მიზეზად, თუ რატომ ვერ მოახერხა ინგლისის ვიცეჩემპიონმა გუნდური მექანიზმის გამართვა, მიმომხილველთა ნაწილი ესპანელის იძულებით შვებულებას უკავშირებს., ჩვენი აზრით, ეს სიტუაციის მეტისმეტად გამარტივებას უფრო ჰგავს, რადგან ბოლო წლების „სიტი" ერთ ფეხბურთელზე დამოკიდებული არასოდეს ყოფილა.

სილვას ესპანეთში დაბრუნებაზე ლაპარაკი დიდი ხანია მიდის. ჟურნალ „სპორტს უიტნესის" მტკიცებით, „რეალი" მზად არის, ფეხბურთელში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს. თუმცა დავიდი მსგავს სცენარს გამორიცხავს. მან კომენტარი რადიო „კადენა სერის" ეთერში გააკეთა: *„მირჩევნია, მსგავს თემებზე კომენტარის კეთება საერთოდ არ მიწევდეს. გეტყვით, რომ მანჩესტერში ძალიან ბედნიერი ვარ. მსგავსი ისტორია ყოველ წელს მეორდება. შენ შესახებ ვრცელდება ხმები, შენ კი იძულებული ხდები, მათ ყურადღება არ მიაქციო. „სიტისთან" კონტრაქტი ცოტა ხნის წინ განვაახლე. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ თავს ამ კლუბში კომფორტულად ვგრძნობ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. იოახიმ ლიოვი

# ასე გეგმავს იოგი მსოფლიოს ჩემპიონობას

## ცივსისხლიანობა გვაკლია ■ ჰუმელსმა კარგად იცის, რაშიც უნდა გამოსწორდეს ■ მომდევნო მატჩებში შეიძლება ვაიდენფელერი გამოვიძახო



**გერმანიის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავიდოდა, ამაში ეჭვი არავის შეჰპარვია, მაგრამ მაინც: ირლანდიასთან გამარჯვებით ბუნდესგუნდმა ეს მისია ოფიციალურად დაასრულა და ახლა გაცილებით დიდი მისიისთვის უნდა მოემზადოს - საფეხბურთო გერმანია და ფანობა ბუნდესგუნდს მსოფლიოს ჩემპიონობას სთხოვს. კვირას, „ბილდში" გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იოახიმ ლიოვის საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც 53 წლის იოგი სწორედ მომავალ მუნდიალზე და ბუნდესგუნდის ავ-კარგზე საუბრობს.

**- ჰერ ლიოვ, ირლანდიის დამარცხებით (3:0), გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ოფიციალურად გაიფორმა და როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფეხბურთელებმა მთელი ღამე იზეიმეს. თქვენ რომელ საათზე დაიძინეთ?**

- ჰო, ასეა და ზეიმის საფუძველი ნამდვილად ჰქონდათ და არაფერი დავუშალე. მე როდის დავწექი, ზუსტად არ მახსოვს. მგონი, დაახლოებით 2 საათი იყო.

**- ასე ადრე?**

- თამაშის შემდეგ დაძინება ისედაც მიჭირს ხოლმე. შუაღამისას რამდენჯერმე მეღვიძება და ფიქრები არ მაძინებს ხოლმე. გერმანიის ნაკრების თამაშის შემდეგ ტკბილად დაძინებას მხოლოდ დილით ვახერხებ ხოლმე. არ მიყვარს, როცა მეორე დღეს გამოუძინებელი ვარ და ამიტომაც დავწექი საკმაოდ ადრე. თუმცა ღამის 2 საათი ადრე ნამდვილად არაა...

**- შუაღამისას როცა გეღვიძებათ, რაზე ფიქრობთ ხოლმე?**

- ირლანდიასთან თამაშის შემდეგაც რამდენჯერმე გამეღვიძა. კიოლნში ყოველთვის შესანიშნავი საფეხბურთო განწყობაა და გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო. ემოციურად იმანაც დამტვირთა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გავინაღდეთ. ღამე კი იმაზე ვფიქრობდი, თუ რა კარგი განცდაა, როცა მომდევნო მატჩს ყოველგვარი წნეხის გარეშე ხვდები. ყველამ ვიცით, რომ შვედეთში იოლი მატჩი არ გველის და კარგია, რომ მუნდიალზე თამაში უკვე გარანტირებული გვაქვს.

**- ბრაზილიური ალკოჰოლური სასმელი კაიპირნია არ მიირთვით?**

- არა... მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლამ ყველანი ძალიან გაგვახარა, მაგრამ ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, რომ კაიპირნია დამელია. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება სავალდებულო იყო, ეგ სასმელი კი გაისად უნდა მივირთვათ.

**- ირლანდიასთან მატჩის შემდეგ შეგირდები ორი დღით დაასვენეთ...**

- ჰო, ეს სპონტანური გადაწყვეტილება იყო. ერთი მხრივ, წარმატებული საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ბიჭებმა დასვენება ნამდვილად დაიმსახურეს, მეორე მხრივ კი კონცენტრაცია შვედეთთან მატჩისთვისაც გვჭირდება. ფაქტია, რომ ბიჭებს განტვირთვა სჭირდებოდათ. ფეხბურთელებს ვუთხარი, გენდობით და იმედი მაქვს, დისციპლინას არ დაარღვევთ და ორშაბათს ვარჯიშზე ყველანი კარგ ფორმაში იქნებით-მეთქი. ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც იქნება.

**- შვედეთთან პირველ შეხვედრაში ისეთი შედეგი დაფიქსირდა, რომელიც მუნდიალის არა მარტო ამ საკვალიფიკაციო ეტაპიდან გვემახსოვრება, არამედ ფაქტობრივად არასდროს დაგვავიწყდება. გულახდილად გვითხარით, იმ 4:4-ის შემდეგ ხომ არ შეგეშინდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება გაგიჭირდებოდათ?**

- დასამალი არაფერია: ძალიან დიდხანს ვწუხდი და ვფიქრობდი იმაზე, თუ რა დაგვემართა შვედებთან. 4:0-ს ვიგებდით და მატჩი 4:4 დამთავრდა - გერმანიის ნაკრებს ასეთი რამ ხომ არასდროს დამართნია. ორი აზრი არ არსებობს: ეს ჩვენი მხრიდან ამ ციკლის ყველაზე ცუდი თამაში იყო, მაგრამ ეჭვი მართლა არასდროს შემპარვია იმაში, რომ შეიძლებოდა მუნდიალის საგზური ვერ მოგვეპოვებინა. გერმანიის ნაკრები იმდენად ძლიერი გუნდია, რომ ასეთი რამ გამორიცხული იყო. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ნაკრები 4:0-ს ძალიან დიდხანს აღარ გაანიავებს...

> „ჩემი და გვარდიოლას საფეხბურთო ფილოსოფიები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება"

**- სად ხედავთ ბუნდესგუნდის სისუსტეებს და რა მხრივ გაქვთ სამუშაო?**

- ჩვენთვის ორი თემაა წინა პლანზე. პირველ რიგში, დაცვა უნდა გაძლიერდეს. არ იფიქროთ, რომ როცა ამას ვამბობ, მხოლოდ მცველებს ვგულისხმობ - ეს არა მარტო უკანახაზელებს, არამედ მთელ გუნდს და ყველა რგოლის წარმომადგენელს ეხება, რადგან როცა მეტოქე გვიტევს, დაცვითი ფუნქციებით თავდამსხმელები და შემტევი ნახევარმცველებიც არიან დაკავებული. ყველა ფეხბურთელი ყველა მატჩში ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, მეტოქე მის ნახევარზეც წნეხის ქვეშ უნდა მოვაქციოთ.

**- რაც შეეხება მეორე თემას?**

- სამუშაო შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაშიც ბევრი გვაქვს. ბოლო გახსნა, ბოლო პასი და მეტოქის საჯარიმოში ხვრელების ძებნა - აი, ეს არის მეორე მთავარი თემა, რაზეც მსოფლიოს ჩემპიონატამდე უნდა ვიმუშაოთ. ჩვენ უნდა შევძლოთ და ისიც უნდა მოვახერხოთ, რომ ერთი შანსიც გვეყოს გოლის გასატანად - მეტოქის კართან ცივსისხლიანობა ჯერ კიდევ გვაკლია.

**- ხოსეპ გვარდიოლას ხელში „ბაიერნი" სულ სხვანაირად, პეპისეულად ათამაშდა. გერმანიის ნაკრები ძირითადად „ბაიერნის" ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული. გვარდიოლას ფენომენი ბუნდესგუნდზე გავლენას მოახდენს?**

- ჩემი და პეპის საფეხბურთო ფილოსოფიები ერთმანეთისგან ძლიერ როდი განსხვავდება. მისი სისტემაც ბურთის ფლობაზეა დამყარებული და ჩემიც, მასაც შეტევა უყვარს და მეც, დაცვაზე ზრუნვა მასაც შეტევით ესმის და მეც. სხვათა შორის, ამ მხრივ იდენტურია დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთიც. იურგენ კლოპის, პეპ გვარდიოლას და ჩემი ფილოსოფიები ერთმანეთს ჰგავს.

**- მატს ჰუმელსის სათადარიგოთა სკამზე დასმა არ გაგიჭირდათ?**

- მინდა ვთქვა, რომ მატსთან ძალიან კარგი, ძველებურად ჯანსაღი ურთიერთობა მაქვს. ამ დღეებში მას რამდენჯერმე ვესაუბრე და ვუთხარი, ეს შენს კარიერაში პირველი ისეთი პერიოდია, როცა საქმეები მთლად კარგად არ მიგდის და სწორედ ახლა უნდა გამაგრდე-მეთქი. ჩემთვის მისი სკამზე დასმა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მან ზუსტად იცის, რაში უნდა გამოსწორდეს და რაზე უნდა იმუშაოს. ჰუმელსი პერ მერტეზაკერისგან და ჟერომ ბოატენგისგან მხოლოდ ნიუანსებით განსხვავდება. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან სამივე უმაღლესი დონის მცველია, ასეთ დონეზე კი განსხვავება ყოველთვის მხოლოდ ნიუანსებშია. მატსი ბრწყინვალე ცენტრალური მცველია და კარგია, რომ თვითკრიტიკულიცაა.

**- თუმცა ამ ბოლო დროს შეცდომებს აღარ უშვებს...**

- ჰუმელსი სასტარტო შემადგენლობიდან იმიტომ კი არ ამოვაგდე, რომ შეცდომები დაუშვა, არამედ იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში მერტეზაკერისა და ბოატენგის ტანდემზე შევაჩერე არჩევანი. ჰუმელსი ისეთი ცენტრალური მცველია, რომელსაც შეტევაში ჩართვა ძალიან უყვარს და ამას უმეტესად შესანიშნავად ახერხებს, მაგრამ ხანდახან მწვრთნელს უსაფრთხოების მეტი გარანტია სჭირდება...

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ახალ კონტრაქტს როდის გააფორმებთ?**

- პრეზიდენტ ვოლფგანგ ნირსბახს და გენერალურ მდივან ჰელმუტ ზანდროკს ახლო მომავალში კიდევ ერთხელ შევხვდები. შესაძლოა, ეს 24 ოქტომბრამდეც კი მოხდეს.

**- ნოემბერში ორი საინტერესო ამხანაგური მატჩი გაქვთ იტალიასთან და ინგლისთან. ამ შეხვედრებში დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე რომან ვაიდენფელერს ხომ არ გამოიძახებთ?**

- მოვიფიქრებ... იტალიასთან და ინგლისთან ტესტ-მატჩებში მართლაც მინდა, რომ 2-3 ფეხბურთელს შანსი მივცე. ვაიდენფელერს დიდი ხანია ვაკვირდებით, რადგან დიდი ხანია, უმაღლეს დონეზე თამაშობს. შესაბამისად, ამ მატჩებისთვის მასზეც ვიფიქრებ.

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი



# არენაში დაიწყეს, გლდანში დაასრულეს

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები სასპორტო კომპლექს „არენაში“ გაიმართა. კვლავ იყოჩაღეს ლიდერებმა: ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა - ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა უპრობლემოდ მოუგო ქუთაისელებს (31:19), რომლებსაც ტრავმირებული ლიდერები - **გიორგი კვერნაძე** და **ალექსანდრე ბოყოჩაძე** აკლდათ. არც ბათუმს დაუხარჯავს დიდი ძალები „იმედის“ დასამარცხებლად - 43:21. დაძაბული გამოდგა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა საქართველოს ნაკრებისა და „პეგასის“ შეხვედრა, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 26:26.

**პეგასი-ჭაბუკთა ნაკრები 26:26**

**პეგასი:** ცინცაძე - ა. ცხვარაშვილი (7), დიხამინჯია (6), ბაძალუა (4), კოხრეიძე (4), ქუთათელაძე (2), ზარნაძე (2), ტ. კალანდაძე (1), სახვაძე, დემეტრაშვილი, - დ. ნარსია (მწვრთნელი გელაშვილი)

**ჭაბუკები:** ა. ხანდოლიშვილი, ბათიაშვილი - კბილაშვილი (6), არსენაშვილი (6), ბაინაზაშვილი (5), ბულბულაშვილი (4), ჰუსეინოვი (2), ფერაძე (1), განერელია (1), ზ. იობაშვილი (1), გოგავა, ნაზლაიძე, მაისურაძე, ბიბილეიშვილი (აბესაძე)

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**ბათუმი-იმედი 43:31**

**ბათუმი:** სამყურაშვილი - გამზარდია (12), უ. მაისურაძე (8), ყაველაშვილი (8), ხუნჯუა (4), ჯორბენაძე (3), ქარდავა (2), ჭანტურია (2), ნივნივაძე (1), გოგიჩაიშვილი (1), ქავთარაძე (1), ი. ნარსია (1), ვინოგრადსკი, ნიტაიშვილი, ჭელიძე (წითელი ბარათი), ნიტაიშვილი (ჭანტურია)

**იმერეთი:** მლებრიშვილი, ლორია - გიორგაძე (6), გ. ხანდოლიშვილი (6), გ. იობაშვილი (5), ალანია (4), ბეჟანიშვილი (4), რუსტამოვი (2), მძელური (2), გოთოშია (1), აბაშიძე (1), თაბაგარი, ჩიკვილაძე, ნიკლაური, ი. კალანდაძე, ჩაკვეტაძე (შარანგია)

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**სამტრედია-თელავი 30:21**

**სამტრედია:** ხონელიძე - წითელიშვილი (8), ჯ. ნიკურაძე (5), თევზაძე (4), გ. ნიკურაძე (4), ხვიჩია (4), გაგლოშვილი (3), ელგანდაშვილი (1), ზურაბიანი (1) (ხელისუფალი)

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, წვერიკმაზაშვილი - გიორგელაშვილი (7), გ. სვიმონიშვილი (4), ანდრიაშვილი (3), მლებრიშვილი (2), ნ. სვიმონიშვილი (2), იაგორაშვილი (2), ბეჟაშვილი (1), დიდებაშვილი, ი. სამიტაშვილი, ბიწკინაშვილი, დიდებაშვილი (ანდრიაშვილი)

**მსაჯები:** ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**სტუ-ქუთაისი 31:19**

**სტუ:** ტორონჯაძე, ცერცვაძე, ხიდეშელი - ამირანაშვილი (5), გოგალაძე (4), გრიშიკაშვილი (4), სურმავა (3), მსხვილიძე (3), სტურუა (3), არსენიშვილი (3), სიმონია (2), გოგოლაძე (2), აბრამიშვილი (1), გვაზავა (1), ორჯონიკიძე, ( კეკელიძე)

**ქუთაისი:** შიშინაშვილი, გულეიშვილი - უ. კობახიძე (8), ბახტურიძე (5), ჩიხლაძე (2), ჯუღელი (2), ჟვანია (1), მათნაძე (1), ლომიძე, ახალაძე, ი. კვერნაძე (თავხელიძე)

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე

გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა, ოღონდ გლდანის ხელბურთის დარბაზში. პრინციპული ორთაბრძოლა ჰქონდათ შარშანდელ ჩემპიონ სტუ-სა და ვიცე-ჩემპიონ „ბათუმს“. პირველ ტაიმში, როცა ანგარიში იყო 6:6, მატჩის არბიტრმა ინა ჭკუასელმა ბათუმელი ნარსია 2 წუთით გააძევა. ზღვისპირელების სათადარიგოთა სკამიდან **ყაველაშვილმა** მსაჯი შეურაცხყო, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა. პაექრობა განახლდა და საფინალო სასტვენამდე დაძაბული თამაში არ განელებულა. საბოლოოდ სტუ-მ ორი ბურთით გაიმარჯვა - 36:34 და ერთპიროვნულად დაწინაურდა.

**სტუ-ბათუმი 36:34**

**სტუ:** ტორონჯაძე - გვაზავა (9), მსხვილიძე (7), სიმონია (7), გოგალაძე (5), ამირანაშვილი (4), გრიშიკაშვილი (2), სურმავა (2), აბრამიშვილი (მწვრთნელი კეკელიძე)

**ბათუმი:** სამყურაშვილი - ნივნივაძე (9), ხუნჯუა (7), ნარსია (7), მაისურაძე (5), ქარდავა (3), გამზარდია (2), ყაველაშვილი 1 (წითელი ბარათი), ვინოგრადსკი, ნიტაიშვილი, გოგიჩაიშვილი (ჭანტურია)

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**სამტრედია-პეგასი 37:30**

**სამტრედია:** ხონელიძე - თევზაძე (16), წითელიშვილი (14), გ. ნიკურაძე (3), გაგლოშვილი (2), ხვიჩია (1), ავალიანი (1), ჯ. ნიკურაძე, ელგანდაშვილი, (ხელისუფალი)

**პეგასი:** ცინცაძე - ა. ცხვარაშვილი (9), დემეტრაშვილი (6), ბაძალუა (5), კოხრეიძე (5), ზარნაძე (3), დიხამინჯია (2), ქუთათელაძე, ლობჟანიძე (გელაშვილი)

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**ქუთაისი-იმედი 26:32**

**ქუთაისი:** გულეიშვილი, შიშინაშვილი - გ. კვერნაძე (7), ჟვანია (5), ბახტურიძე (4), მამასახლისი (4), ჯუღელი (3), მათნაძე (3), კობახიძე, ჩიხლაძე, ლომიძე (თავხელიძე)

**იმერეთი:** მლებრიშვილი, ლორია - გ. იობაშვილი (8), ბეჟანიშვილი (6), მძელური (4), ალანია (4), გოთოშია (3), გიორგაძე (2), თაბაგარი (2), ჩაკვეტაძე (1), რუსტამოვი (1), ჩიკვილაძე (1), აბაშიძე, გ. ხანდოლიშვილი (შარანგია)

**მსაჯები:** ზურაბ ქოქოსაძე, გია ბროლაძე

**ჭაბუკთა ნაკრები - თელავი 33:33**

**ჭაბუკთა ნაკრები:** ა. ხანდოლიშვილი, ზურაბიშვილი, ვათიაშვილი - კბილაშვილი (10), ჰუსეინოვი (7), ბულბულაშვილი (5), ბაინაზაშვილი (4), ნაზლაიძე (2), განერელია (2), არსენაშვილი (2), დანელიშვილი (1), ფერაძე, ზ. იობაშვილი, გოგავა, ბიბილეიშვილი (აბესაძე)

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, წვერიკმაზაშვილი - გიორგელაშვილი (13), გ. სვიმონიშვილი (8), მლებრიშვილი (6), ანდრიაშვილი (4), ელიზბარაშვილი (1), ბიწკინაშვილი (1), ნ. სვიმონიშვილი, დიდებაშვილი იაგორაშვილი, ბეჟაშვილი, ცისკარიშვილი (ანდრიაშვილი)

**მსაჯები:** ზურაბ ქოქოსაძე, გია ბროლაძე

**პირველი ტურის შედეგი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 4 | 4 | 0 | 0 | 129-105 | 8 |
| ბათუმი | 4 | 3 | 0 | 1 | 151-122 | 6 |
| სამტრედია | 4 | 3 | 0 | 1 | 135-116 | 6 |
| იმედი | 4 | 2 | 0 | 2 | 122-133 | 4 |
| ქუთაისი | 4 | 1 | 1 | 2 | 112-126 | 3 |
| ჭაბუკები | 4 | 0 | 2 | 2 | 107-115 | 2 |
| პეგასი | 4 | 0 | 2 | 2 | 124-141 | 2 |
| თელავი | 4 | 0 | 1 | 3 | 104-126 | 1 |

**ბომბარდირები:** ლექსო წითელიშვილი, ირაკლი თევზაძე (სამტრედია)-35, გიორგი კვერნაძე (ქუთაისი)-34, ირაკლი კბილაშვილი (ნაკრები)-32, გიორგი იობაშვილი (იმედი)-31, ალექსანდრე გიორგელაშვილი (თელავი)-30,

ეროვნულ ჩემპიონატში ერთთვიანი შესვენებაა. 14-16 ნოემბერს თბილისში აღმოსავლეთი ქვეჯგუფის გუნდები (სტუ, „პეგასი“, „იმედი“, თელავი) წრიული სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო დასავლეთი ქვეჯგუფის (ბათუმი, სამტრედია, ქუთაისი, ჭაბუკთა ნაკრები) მატჩები 19-21 ნოემბერს სენაკში გაიმართება.

15 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები სერბი სპეციალისტის - ჯორჯე რასიჩის ხელმძღვანელობით 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის დაიწყებს მზადებას. 20 ოქტომბერს ნაკრებს ლეგიონერები დაემატებიან. 25 ოქტომბერს ჩვენები კიევს ეწვევიან უკრაინელებთან ორი საკონტროლო მატჩის გასამართავად. 30 ოქტომბერს კი, ქართველ ხელბურთელებს ლიტველებთან სტუმრად პირველი შესარჩევი შეხვედრა ელით.

ვაჟა დანელია

ძიუდო. მინსკის ტურნირი

# ოქრო სამი იპონისა და ერთი ვაზარის საფასურად

**ნოდარ მეტრეველი** (+100) მინსკის ტურნირის ჩემპიონია. ჩვენებურმა წუხელ ფინალში ფრანგი მატიო ბატე დააიპონა და 100 სარეიტინგო ქულაც მოიპოვა.

მინსკში ამ უქმეებზე ევროპის ღია თასის გათამაშება გაიმართა როგორც ვაჟებში, ასევე - ქალებში. მსოფლიოს ჩავლილი ჩემპიონატის ფონზე ის არც ისე ძლიერი შეჯიბრება გამოდგა. მით უმეტეს, რომ კალენდარშიც არახელსაყრელ დროსაა გამოჩრილი – მსოფლიოს პირველობის შემდეგ გუნდებს რელაქსაციის პერიოდი უდგათ და მომავალი სეზონისთვის ემზადებიან. ახლა წამყვან ფალავანთა ყურადღება ძიგორო კანოს მემორიალისკენაა მიპყრობილი, რომელიც ერთგვარ საჯილდაო ქვად, ძალის საზომადაა აღიარებული და იქ გამოსვლა, მით უფრო – წარმატება დიდ საქმედ მიიჩნევა. ამ ფონზე ავტორიტეტი ისეთი რანგის შეჯიბრებებსაც კი ეკარგებათ, როგორიც ტაშკენტსა და ალმატიში წინა უქმეებზე გამართული „დიდი პრიზებია“ (ძლიერებს არც იქ უჭიდავიათ), არათუ ევროპის თასს. კაცმა რომ თქვას, მსოფლიოდან კანომდე გასამართი ტურნირები ვარსკვლავების გამოცდაზე მეტად სათადარიგოთათვის შანსის მისაცემადაა გამიზნული.

მინსკში ამჯერად მსოფლიოს 31 ქვეყნის 210 ძიუდოისტი ჩავიდა. აქედან მხოლოდ ვაჟთა წილად (ჩვენ ქალებში მონაწილე არ გვყოლია) 28 ნაკრების 131 წარმომადგენელი მოდიოდა. კიდევ ვიმეორებთ – მათ შორის იქნებ არ იყვნენ პირველხარისხოვანი ვარსკვლავები, თუმცა მეტრეველს თავისას ნუ დავუკარგავთ, რადგან შანსი ბოლომდე და სრულად გამოიყენა – 4 შეხვედრიდან 3 იპონით მოიგო, ერთიც – ვაზარით. ქულებით წარმატებას პირველ წრეში ბელგიელ **ბენჟამინ არმენისთან** მიაღწია, მერე კი თითქოს დამატებითი სუნთქვა გაეხსნა და სულ წმინდად იმარჯვა. მეოთხედფინალში ჰოლანდიელ **პასკალ შერენბერგს** მოუგო, ნახევარფინალში კი მასპინძელი **ალექსანდრ ვახავიაკი** დააიპონა.

» მე-11 გვერდზე

წყალბურთი

# მთავარი პრიზი უკონკურენტოდ

**ხუთი მასპინძელთა და ერთი გერმანული გუნდი მონაწილეობდა 1996-2000 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც საწყლოსნო კომპლექსმა „ოლიმპიკმა“ უმასპინძლა.**


გამარჯვებული გუნდი

ოთხი ტურის შემდეგ, როგორც გაუწყეთ, ოთხი თვის წინათ ჩამოყალიბებული საქართველოს ნაკრები (**გიორგი კუჭუხიძე, ნიკა ლეთოდიანი, გიორგი ლავთაძე, ნიკა ცანკაშვილი, ირაკლი მარგველაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე** (კაპიტანი), **გიორგი თეთრაძე, ნუგზარ სებისკვერაძე, გიორგი მესხი, მიხეილ გვენცაძე, რამინ ჩოგოვაძე, გიორგი წულუკიანი, დავით ცხაკაია, დავით ჯულაშვილი, სანდრო ადეიშვილი, დავით ივანიშვილი, მწვრთნელები - ირაკლი კიკალიშვილი, ოთარ ქოიავა**) ლიდერობდა, რომელიც 13-15 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული და 2-3 წლით უფროსების გუნდებს უწევდნენ ღირსეულ მეტოქეობას. მეტიც, კიკალიშვილ-ქოიავას შეგირდებმა ქულის დაუკარგავად განვლეს ტურნირი და პირველი ადგილი დაიკავეს. ბოლო ტურში მათ ქუთაისის გუნდს მოუგეს 12:5. ამ უკანასკნელმა ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. შეეძლოთ, უკეთესადაც ეასპარეზათ, მაგრამ რიონისპირელთა ოთხი საუკეთესო მოთამაშე (კუჭუხიძე, ჩოგოვაძე, გვენცაძე და ცხაკაია) ჭაბუკთა ნაკრების სპორტულ ღირსებას იცავდა.

ბოლო ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ივერია“-„ლიგამუსი“ 7:14, „ჰანოვერი“-„არენა“ 12:4.

მეორე ადგილი „ლიგამუსს“ ხვდა, მესამე-„ჰანოვერს“.

- 1998-1999 წლებში დაბადებული წყალბურთელებისთვის 2015 წელს ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი გაიმართება, გვინდა, რომ იმ შეჯიბრებისთვის კონკურენტუნარიანი გუნდი გვყავდეს, - გვითხრა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ირაკლი კიკალიშვილმა. - პირველ საერთაშორისო ტურნირში ორიოდე თვის წინათ სტამბოლში ვიასპარეზეთ. ეტყობა, უცხოელებს მოეწონათ ჩვენი ბიჭების თამაში. ოთხი ქვეყნიდან (უკრაინა, თურქეთი, ჩერნოგორია, ჩეხეთი) უკვე მივიღეთ მოწვევა. ამ ტურნირამდე თბილისში საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად ჩამოვიდა ჰანოვერის 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა გუნდი, რომელსაც შვიდი მოთამაშე გერმანიის სხვადასხვა ასაკის ნაკრებში ჰყავს. ისინი ჩვენს ბიჭებზე გამოცდილები არიან და მათთან ერთობლივმა წვრთნამ და ტურნირში მონაწილეობამ ბევრი რამ შეგვძინა. გამგზავრების წინ ჰანოვერელებმა გაისად გერმანიაში მიგვიწვიეს. 2014 წლის მაისში „ოლიმპიკის“ აუზში ჩვენც ჩავატარებთ საერთაშორისო ტურნირს. კარგი თაობა მოდის და ყველაფერს გავაკეთებთ, ქართულ წყალბურთს ღირსეული ცვლა მოვუმზადოთ.

**საბოლოო ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაკრები | 5 | 5 | 0 | 0 | 55:36 | 15 |
| 2. ლიგამუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 75:40 | 12 |
| 3. ჰანოვერი | 5 | 3 | 0 | 2 | 67:36 | 9 |
| 4. ივერია | 5 | 2 | 0 | 3 | 42:49 | 6 |
| 5. ქუთაისი | 5 | 1 | 0 | 4 | 32:76 | 3 |
| 6. არენა | 5 | 0 | 0 | 5 | 27:61 | 0 |

ვაჟა დანელია

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ალი: ახალი სარბიელის ახალი მისამართი

**ხაშურის** რაიონის სოფელი ალი განთქმულია ქართული ჭიდაობის სიყვარულით. აქ ბევრი სახელოვანი მოჭიდავე აღზრდილა, რომელთა მიბაძვით ბავშვებიც მუდამ დიდი ენთუზიაზმით ებმებიან ნახერხმოყრილ არენაზე გამართულ ასპარეზობებში. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ სოფელს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ახალი ღია საჭიდაო სარბიელი აუგო, 12 ოქტომბერს საზეიმო გახსნაზე კი **იური იმერლიშვილის** სახელობის რიგით მეათე შეჯიბრება გაიმართა. მეზობელ სოფელ ბრილში დაბადებული იური იმერლიშვილი ალელების საყვარელი ფალავანი იყო. მას ლეგენდარული ქართველი მწვრთნელის, **გურამ პაპიტაშვილის** სკოლა აქვს გავლილი, რომლის ხელმძღვანელობითაც საქართველოს მრავალგზის და სსრკ უნივერსიადის ხუთგზის ჩემპიონი გახდა. ათეული წელია ქართული ჭიდაობის ფედერაციაში მოღვაწეობს, ამჟამად კი ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანია. ნიშანდობლივია, რომ სწორედ იური იმერლიშვილია ქართული ჭიდაობაში ამჟამად მოქმედი წესების ავტორი.

სოფელ ალის ახალი არენა შეჯიბრების დაწყებამდე ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმა**, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** და ხაშურის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვალერი გელაშ-**

» მე-11 გვერდზე




მარცხნიდან მეორე - ნოდარ მეტრეველი

« მე-10 გვერდიდან

ფრანგი ბატე **ტედი რინერის** ტიტულებში დაიჩრდილა, თორემ ისე არცთუ ურიგო ფალავანია – მსოფლიოს პირველობების სამგზის მესამე პრიზიორია, 2004 წელს კი ევროპის ლია პირველობაც მოიგო, როცა ფინალში **გიორგი ყიზილაშვილი** დაგვიმარცხა. ერთი სიტყვით, მეტრეველთან შედარებით უფრო მაღალ დონეზეც უჭიდავია და ბევრად გამოცდილიცაა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ფინალში ფრანგს შანსი არ ჰქონდა – ერთ მომენტში ჩვენებურიც ილბლიანად გადარჩა, მაგრამ მეტრეველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრა თავისი კარნახით წარმართა და მალევე დაეუფლა ინიციატივას. პირველი წუთი ახალი მიწურული იყო, როცა ჩვენებურმა მტკიცედ ჩაბლუჯა მეტოქე და ჯერ თითქოს ბრუნი დააპირა, მერე იმ ჯაჯგურში ვითომ მოგვერდს აპირებდა. იმ დროს ისე ჩანდა, რომ ერთი პატარა ბიძგი ფრანგს გვერდზე გადააგდებდა, რაც მეტრეველმა ვერ შეძლო, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ბატე არც ხელიდან გაუშვა და ამოსმულით ზურგს უკან იპონზე გადაისროლა. ილეთი მართლაც ლამაზი და ეფექტური გამოვიდა.

მეტრეველი ბელარუსში წასასვლელად ფედერაციამ დააფინანსა, თუმცა იქ საკუთარი ხარჯით კიდევ ერთი ქართველი ასპარეზობდა – ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილის** უმცროსი ძმა **ბექა შავდათუაშვილი** (66). სამწუხაროდ, ის პირველივე წრეში დამარცხდა უკრაინელ **ოლეგ გლუშენკოსთან.** ტურნირში კიდევ ერთი ქართველი ჭიდაობდა – **ბესარიონ ბარკალაია** ყაზახეთიდან (+100), თუმცა მეორე წრეს ვერ გასცდა.

**ირაკლი თავაძე**

## ● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

« მე-10 გვერდიდან

**ვილმა** გასხნეს. სარბიელზე საასპარეზოდ ოთხ წონით კატეგორიაში (60, 70, 80, აბსოლუტური) გამოვიდნენ შიდა ქართლის და იმერეთის რეგიონებისა და თბილისელი მოჭიდავეები. ასპარეზობამ ხაშურის რაიონის სპორტსმენთა დომინირებით ჩაიარა. ოთხიდან სამი გამარჯვებული ამ რაიონიდანაა, აქედან ორნი **ზვიად** და **გიორგი ნოზაძეები** კი სულაც ალელები არიან. ორივე მათგანს წლეულს სხვადასხვა სოფლებში გამართულ ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებზე მრავალჯერ აქვთ პირველი ადგილი მოპოვებული. მშობლიურ სოფელში კი უფრო მეტი მონდომებით იბრძოლეს. მათთან ერთად კვარცხლბეკზე მეტწილად შიდაქართლელი მოჭიდავეები ავიდნენ, ერთი მედალი საჩხერელ სპორტსმენსაც ერგო. 80 კგ-ში კი მეორე ადგილზე მონაწილის დისკვალიფიკაციის გამო არავინ გასულა.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. დიმიტრი მულაძე (ხაშური), 2. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 3. გურამ არაბაშვილი (გორი);
**70 კგ.** 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. ანზორ ხმიადაშვილი (გორი);
**80 კგ.** 1. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), 2. არ გათამაშდა, 3. გიორგი ჭილლაძე (საჩხერე);
**აბსოლუტური.** 1. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 2. გიგა გელაშვილი (გორი), 3. ზვიად კაპანაძე (ქარელი).

სამეულებმა ფედერაციისგან ფულადი ჯილდოები მიიღეს. აქვე ცნობილი გახდა, რომ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა ადგილობრივ მწვრთნელს **მალხაზ ნოზაძეს.** იური იმერლიშვილმა კი მის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი „ყველაზე ლამაზი ჭიდობისათვის," აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულ **გიორგი ნოზაძეს** გადასცა. „მეამაყება, რომ ამ სოფელში, სადაც ნახერხმოყრილ არენაზე პირველად ვიჭიდავე, ჩემი სახელობის ტურნირი უკვე ათი წელია ტარდება. დღევანდელმა შეჯიბრებამაც დამარწმუნა, რომ ალში კვლავაც ძალიან უყვართ ჭიდაობა და ისევ გამოირჩევიან აქაური ფალავნები. ლამაზი ჭიდაობისათვის დაწესებული სპეციალური პრიზიც ხომ აქაურ გიორგი ნოზაძეს ერგო. ის ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონია სამბოში, ქართული ჭიდაობა ძალიან უყვარს, კარგადაც ასპარეზობს და ამიტომ ჩვენს ეროვნულ საჭიდაო სახეობაშიც არ აკლია აღიარება", - გვითხრა შეჯიბრების შემდეგ იური იმერლიშვილმა.

ტურნირი ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადგომით ჩაატარა.

**ვასილ ბალახაძე**
ალიდან
ფოტო: www.qartlisport,ge



იური იმერლიშვილი, გიორგი ნოზაძე და გელა ბერუაშვილი

## ● თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ დავით მოძმანაშვილთან

# მოძმანაშვილი: გამარჯვებამ რწმენა შემმატა

**დოსიე**



**დავით მოძმანაშვილი**

**დაიბადა:** 11.09.1986წ. თბილისი ოლიმპიადის II პრიზიორი (2012), მსოფლიოსა (2011) და ევროპის (2012) III პრიზიორი; საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული.

**ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი დავით მოძმანაშვილი წინა უქმეებზე ფრიად ძლევამოსილად გამოვიდა იაკუტსკში ჩატარებულ დმიტრი კორკინის მემორიალში, სადაც ქომაგი კიდევ ერთხელ მოხიბლა ძლიერი ჭიდაობით. მან იქ ხუთი შეხვედრა ისე მოიგო, მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა. იმ ერთის გარდა, ყველა ორთაბრძოლაში ქულათა დიდი უპირატესობით იმარჯვა. ეს ტურნირი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქართული ფინალითაც გამოდგა, სადაც მოძმანაშვილმა თორნიკე ხიდეშელს 8:0 მოუგო. ამის შემდეგ ჩემპიონი იაკუტიელთა ნაციონალურ ჭიდაობა ხაპსაგაიშიც გამოვიდა და იქაც გაიმარჯვა. თბილისში დაბრუნებულ მოძმანაშვილს ამ შეჯიბრებისა და საქართველოს ჩემპიონატის შესახებ დავეკითხეთ.**

- კარგად ვიჭიდავე, რადგან ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა დავკარგე და ისე გავიმარჯვე. გასაგებია, რომ კმაყოფილი ვარ. მზადების პერიოდში გამარჯვებაზე კი არა, უფრო იმაზე ვფიქრობდი, რაც შეიძლება მეტი შეხვედრა ჩამეტარებინა და შორს წავსულიყავი, შესაძლებლობები ბოლომდე გამომევლინა. ერთი წელიწადი ჩავარდნა მქონდა და მაინტერესებდა, რა შემიძლია. ამიტომ ეს შეჯიბრება გამოცდა იყო. დასახული გეგმა შევასრულე – ბოლომდეც ვიჭიდავე და მეტოქეებიც არ იყვნენ ცუდები. შეიძლება არც ძალიან ძლიერები ყოფილან, მაგრამ არც სუსტები, უფრო საშუალო დონე ეთქმოდათ. მაგალითად, ირანელებს ორი საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე ჰყავდათ, რუსებშიც ასევე ორი გამოირჩეოდა სიძლიერით და წონის ფავორიტებიც უფრო ისინი იყვნენ. თუმცა სპარინგისთვის საშუალო დონის მეტოქე იქნებ უკეთესიც იყოს – მასთან უფრო შეასრულებ დასახულ გეგმას. თან, მოგებით საკუთარი თავის რწმენაც გემატება. ცხადია, თავდაჯერება მეც მომემატა – დავინახე, რომ ტრავმებით გამოწვეული პრობლემები მოგვარდა და კვლავ შემიძლია მაღალ დონეზე ჭიდაობა. იმედი რომ გადამეწურა, საამისო არაფერი ყოფილა, პირიქით. ჩემპიონობა ხომ სტიმულს გაძლევს და მომდევნო ტურნირზე უფრო შემართული ხარ. ამ გამარჯვებამ დადებითი მუხტი ამიმაღლა.

**- მასპინძელ უვარ ტიმოფეევთან რატომ გაგიჭირდათ ისე, რომ პირველი პერიოდი 0:1 დათმეთ – მართლა ძლიერი იყო თუ არ შეაფასეთ?**

- როცა შედარებით სუსტი თავისზე ძლიერს ხვდება, იცის, დასაკარგი არაფერი აქვს და თავს შეაკლავს, რომ ან მოიგოს, ანდაც მცირე ანგარიშით წააგოს. მისი ამოცანაც ეს იყო – არ წაეგო დიდი ანგარიშით. თან ეშმაკობასაც მიმართა და გაქონილიც იყო, ხელის მოკიდება ჭირდა. ამიტომ თავიდან ცოტა გამიჭირდა იმის მიუხედავად, რომ მაღალი დონის სპორტსმენი არაა, მაგრამ მეორე პერიოდში დაილალა და 3:0 მოვუგე.

**- ქართულ ფინალს როგორ შეხვდა ის გადაჭედილი და ჭიდაობის ყადრის მცოდნე დარბაზი?**

- ცხადია, ისეთი მხურვალე ქომაგობა არ ყოფილა, მაგრამ ბოლოს ტაში კი დაგვიკრეს. ჩვენც ჩვეულებრივად გავედით და ვიჭიდავეთ.

**- ხიდეშელმაც კარგად იჭიდავა. ელოდით თანაგუნდელები, მწვრთნელები მისგან ამდენს?**

- თორნიკემ მართლაც გამოიჩინა თავი – მოუგო ამერიკელს, მეორე ირანელს. წაუვიდა ჭიდაობა და კარგადაც გამოვიდა –მოსაგები ყველა მოიგო.

**- ამ ტურნირზე ყველაზე ტიტულოვანი იყავით, რასაც იქაურები ინტერნეტში ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ადგილზე თუ გრძნობდით ამას?**

- კი, მართლაც ყველაზე ტიტულოვანი მონაწილე ვიყავი. ირანელებს კი ჰყავდათ მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, მაგრამ მათ არ უჭიდავიათ, თუმცა ადგილზე ჩემდამი რამე განსაკუთრებული ყურადღება არ ყოფილა. გამოსვლისას აცხადებდნენ ჩემს ტიტულებს და ეგ იყო, თუმცა ხალხს კი უხაროდა.

**- ხაპსაგაიში გამოსვლაზე რას იტყვით? არა მგონია, იქ გაგჭირვებოდათ.**

- ეს იქაურთა ტრადიციული ჭიდაობაა, რომელიც სუმოს წააგავს – ლეიბს სამი წერტილით არ უნდა შეეხო და წრიდან არ უნდა გაგიყვანოს მეტოქემ. ქართული ჭიდაობა მასთან შედარებით გაცილებით უფრო რთულია და ილეთებით მრავალფეროვანი. იქაც ხუთი შეხვედრა მოვიგე ისე, რომ არ გამჭირვებია. ზოგს გაუჭირდა ალლოს ალება, ჭიდაობა, მაგრამ მე არ გამჭირვებია.




კორკინის მემორიალი. მარცხნიდან: თორნიკე ხიდეშელი, დავით მოძმანაშვილი. წინ, ცენტრში (თეთრში) მწვრთნელი გოჩა კირკიტაძე

**- იქაურ მედიასთან საუბარში კმაყოფილება გამოთქვით ტურნირის მისი დონის, ორგანიზების, მაყურებელთა თაობაზე. მართლა ასე კარგი შეჯიბრება იყო?**

- მართლაც უმაღლესი დონის შეჯიბრება იყო – ორგანიზება, დელეგაციების დახვედრა, სპორტსმენების მიღება-დაბინავება უმაღლეს დონეზე იყო მოგვარებული. არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. 21 გუნდი მონაწილეობდა, რაც მის სიძლიერეს განსაზღვრავს. მაყურებელი და დარბაზის ატმოსფერო ცალკე საკითხია – ისეთი ქომაგები იყვნენ მოსულები, რომლებსაც ესმოდათ ჭიდაობა, ნამდვილი ფანები. რუსეთის რეგიონების გუნდებს საკუთარი ქომაგები ახლდნენ, დაღესტნიდან და ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებიდანაც კი იყვნენ ჩასულები. ისე ქომაგობდნენ საკუთარ ფალავნებს, ლამის დარბაზს ანგრევდნენ. ამ ფონზე პოლიტიკური დაძაბულობის არავითარი კვალი არ შეინიშნებოდა, რაც ჩვენს სახეობაში ისედაც არ იგრძნობა. იმავე რუსებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**- თქვენი გამოსვლით თუ ხართ კმაყოფილი? შედეგი გასაგებია, მაგრამ ამ ტურნირისთვის დასახული გეგმა რამდენად ამოწურეთ?**

საერთოდ, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე შეხვედრაში გამიჭირდა. დაძაბული პაექრობები კი იყო, მაგრამ არ გამჭირვებია, იოლად მოვუგე. იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი ჭიდაობა ყველამ იცის და თავს იცავენ, მაგრამ ამჯერად ყველაფერი გამომივიდა.

**- საინტერესოა, ნახევარფინალში ირანელ ავილი გხომთან საჭიდაოდ რა განწყობით გადიოდით? მანამდე იმანაც ხომ დამაჯერებლად იასპარეზა?**

- კი, ჩემსავით ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, ქულა არ დაუკარგავს და რომ იტყვიან, გადაურბინა მეტოქეებს. ვიცოდი, რომ ძალიან ძლიერიც არ იყო, მაგრამ შეუფასებლობაც არ იქნებოდა. მასთან საჭიდაოდ სათანადოდ განვეწყე, რადგან ამ მოგებას დიდი ფასი ედებოდა – ის ყველაზე ძლიერი იყო მეტოქეთა შორის და საკუთარ თავს მასთან უფრო გამოვავლენდი. სხვებთან ჭიდაობისას ასეთი მიდგომა არ მქონია.

**- ხაპსაგაიში ნაციონალური საბრძოლო სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის სურვილიც კი გამოგითქვამთ.**

- ეს უფრო იქაური ჟურნალისტების დამატებულია, თორემ მასე არ მითქვამს. მე ვუპასუხე, თუ არაფერი შეჯიბრება არ მექნება, შეიძლება, ვიჭიდაო-მეთქი. სულ ეს იყო.

**- ალბათ, ამ გამარჯვებამ საქართველოს ჩემპიონატის წინ, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია, კარგ განწყობაზე დაგაყენათ. თან ტრავმებიც ბოლომდე მოგიშუშებიათ.**

- ქვეყნის პირველობა ყოველთვის საინტერესოა. ახლა მით უფრო, რადგან მძიმე წონაში სამი ისეთი ფალავანი ვართ, რომლებსაც არათუ შინ, გარეთაც შეუძლიათ ჩემპიონობა. ასეთი კონკურენცია გულშემატკივარისთვის საინტერესოა.

ადრე ტრავმები მაწუხებდა – ჯერ ფეხის ტრავმა იყო, მერე - ხელის კუნთი გამიწყდა, თუმცა ახლა ორივე მოვიშუშე. არ მინდა, ადრინდელი წაგებები ტრავმებს დავაბრალო – ფაქტია, ვერ ვიყავი მომზადებული და წავაგე. ისიცაა, რომ სულ ჩემპიონი ვერ იქნები. მით უფრო, რომ ძალიან კარგი ახალგაზრდა თაობა მოდის და კონკურენცია იზრდება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# მთავარი პრიზიც, 50 ქულაც



ანა ტატიშვილი

ამერიკულ მაკონში გუშინ დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომელშიც წარმატებით იასპარეზა თბილისელმა **ანა ტატიშვილმა**. იგი მე-4 ნომრად იყო განთესილი. შაბათს ნახევარფინალში ჩვენებურმა ორ სეტში სძლია ნორვეგიელ **ულრიკე ელკერს** - 6:4, 6:3. მეორე ნახევარფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **აილა ტომლიანოვიჩმა** (ხორვატია) იოლად აჯობა **მედისონ ბრენჯლის** (აშშ) - 6:1, 6:2. გუშინ ტატიშვილი-ტომლიანოვიჩის შეხვედრა ასე დამთავრდა - 6:2, 1:6, 7:5.

ქართველმა ჩოგბურთელმა, რომელიც ისევ ამერიკაში რჩება და ამ კვირიდან ROCK HILL ROCKS OPEN-ში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ჩაებმება, მაკონის ტურნირის მოგებისთვის მთავარი პრიზი და 50 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

■ ■ ■

ყაზახეთში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოდის თბილისელი **ალექსანდრე მეტრეველი**. გუშინ მან მასპინძელ **ბოგდან ვალიევს** მოუგო - 6:0, 6:0 და მე-2 წრეში **სარდორ პულატოვის** (უზბეკეთი) მძლეველ (6:4, 6:4) **ალექსეი ნესტეროვს** (ყაზახეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# წილი ნაყარია




ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში დღეს დაიწყება მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს რვა წარმომადგენელი იასპარეზებს. გუშინ წილისყრამ ჩვენებურთა მეტოქეები დაასახელა. 14 ოქტომბერს 52 კგ წონით კატეგორიაში რინგზე გავა თბილისელი **სევერიან ჭილაძე** - იგი პუერტორიკოელ ანბტონი მარკანოს დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში მეორე წრეში ხერარდო პერესს (დოიმინიკი) შეხვდება. დღესვე აიღებს სტარტს 91 კილოში დედაქალაქელი **ლევან გულედანი,** რომელიც იახონ ყურბანოვს (ტაჯიკეთი) გაუწევს მეტოქეობას. გამარჯვებული 18 ოქტომბერს კლემენტი რუსოსთან (იტალია) გაარკვევს ურთიერთობას.

ხვალ მარტო ფოთელი **გიორგი გოგატიშვილი** (60 კგ) გავა რინგზე. მისი მეტოქეა დანიელიტო დე ლა როსა (პუერტო-რიკო). 16 ოქტომბერს ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ზაალ კვაჭატაძე** (თბილისი, 69 კგ) თარინდუ გედარას (შრი-ლანკა) შეხვდება, ხოლო **იაგო კიზირია** (ფოთი, 81 კგ) გერმანელ სერგ მიხელს გამოცდის. 17 ოქტომბერს **ავთანდილ ჭუბაბრია** (ფოთი, 56 კგ) იაჰინ პარინელოსთან (იტალია) იბრძოლებს მეორე წრეში გასასვლელად. 19 ოქტომბერს ორ ქართველ ევროპის ბრინჯაოს პრიზიორს ვიხილავთ ალმათის რინგზე: **ჯაბა ხოსიტაშვილი** (თბილისი, 75) ჰოსან აბდინსა (ეგვიპტე) და ეჰბისით ხანხოხრუეას (ტაილანდი) შორის უძლიერესს შეხვდება, ხოლო **მიხეილ ბახტიძე** (ქუთაისი, +91) იან სუძილოვსკის (ბელარუსი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ლიდერებს 1,5 ქულით ჩამორჩება



მიხეილ კეკელიძე

არლინგტონში (აშშ) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 40.00 დოლარი) ოსტატთა სექციაში ქართველმა დიდოსტატმა **მიხეილ კეკელიძემ** გასულ უქმეებზე სამი პარტია ითამაშა, საიდანაც ერთი მოიგი ვიბერტ შინთან (აშშ), ხოლო ალექსანდრ ლენდერმანსა (აშშ) და კეონიდ გერჟოის (კანადა) დანებდა. 6 ტურის შემდეგ ჩვენებურს 3,5 ქულით მე-9 ადგილი უკავია. ასპარეზობის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე 5-5 ქულით ალექსანდრ შაბალოვი და ბრაიან სმიტი მეწინავეობენ. ალექსანდრ სტრიპუნსკი (სამივე - აშშ) და ლეონიდ გერჟოი ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

**ვაჟა დანელია**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ბოსკე, 3. „რეალი", 5. ელინი, 6. „ნაიკი", 8. კლეი, 9. „ჯენოა", 11. იპონი, 13. ფრე, 14. რინგი, 15. ასლან, 16. კობი, 18. ათენი, 20. ეტაპი, 21. ძიუდო, 23. ილიე, 25. ლეიბი.

**შვეულად:** 1. „ბარსელონა", 2. სპარინგი, 4. ილიადი, 7. „კიევო", 8. კრესპო, 10. „ამირანი", 12. „ჰერტა", 13. ფანკლუბი, 17. ყაიმი, 19. ემანუილ, 22. ოუენი, 24. ალა, 26. ბუ.

● კალათბურთი. ქართველები ესპანეთში





# სარაგოსელმა ქართველებმა ბასკეთში იფეთქეს

## შერმადინმა რვა გაისროლა, რვავე მიზანში...

ესპანეთის ჩემპიონატი შაბათს ქართული ტრიუმფით გაიხსნა. საქართველოს ნაკრების წევრებმა, **გიორგი შერმადინმა** და **ვიქტორ სანიკიძემ** "სარაგოსას" მაისურით ბასკეთში "ბილბაოსთან" ითამაშეს და 86:77 გაიმარჯვეს.

გემახსოვრებათ, ჩვენთან ინტერვიუში ვიქტორ სანიკიძემ რომ თქვა – სარაგოსელები წინა ხაზში გამოცდილი კალათბურთელების სიუხვეს არ განიცდიან და ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ჩემი და გიორგი შერმადინის გარჯაზეო. ჰოდა, სწორედ ქართველთა დამაჯერებელი თამაში გახდა ბევრისთვის მოულოდნელი ბილბაოური გამარჯვების მიზეზი. ამას რომ ვამბობთ, ესპანური გამოცემები გვაქვს წაკითხული, სადაც არაერთგან შეხვდებით ქართულ გვარს. ნათქვამია – სანიკიძე-შერმადინის დუეტმა დიდი წვლილი შეიტანა ბილბაოელთა დამარცხებაშიო.

ორ გაზეთში მატჩის მიმოხილვის სათაურში გიორგია ნახსენები: გიგანტმა შერმადინმა **ალექს მუმბრუს** (18 ქულა) ნაშრომი წყალში ჩაყარაო. მეორეგან წერია: შერმადინის ლიდერობით "სარაგოსამ" "ბილბაოს" შანსი არ დაუტოვაო. მოკლედ, კიდევ არაერთი სასიამოვნო ფრაზის გადმოქართულება შეიძლება, მაგრამ მკითხველი ალბათ კონკრეტულს ელის – რა გააკეთა ასეთი შერმადინმა?

მან 24 წუთში 8-დან 8 ორქულიანი, 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 20 ქულას 7 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 29-მდე ავიდა და ამ მაჩვენებლით საუკეთესო იქნებოდა, მეტოქე ალექს მუმბრუს მქ 30 რომ არ ჰქონოდა.

ვიქტორ სანიკიძემ 29 წუთი ითამაშა, 11 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი), 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ასევე 11 ქულა ჩააგდო სარაგოსელმა **მაიკლ როლმა,** ხომ **ჯოზეფ ჯონსმა** 17 ქულას მოუყარა თავი. ამ ოთხი კალათბურთელის გარდა 10 ქულას ვერავინ ასცდა.

"სარაგოსამ" მეტოქეს ფარქვეშ ვერც აჯობა და არც არაფერი დაუთმო, სამაგიეროდ პერიმეტრიდან ტყორცნებში ჰქონდა ორმაგი უპირატესობა: 10 სამქულიანი ჩააგდო, მაშინ როცა "ბილბაომ" 5 გამოიყენა.

არაგონელ ქართველებს უახლოესი შეხვედრა 15 ოქტომბერს ელით, ევროთასის მატჩში ბელგიურ "მონსს" დაუხვდებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ვითიბი ლიგა




# ცინცაძის 9 პასი

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** ვითიბი ლიგაზე პირველი მატჩი ჩაატარა. მისმა "დონეცკმა" სანკტ-პეტერბურგის "სპარტაკს" უმასპინძლა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა – 83:65.

შეგახსენებთ, რომ გიორგიმ პეტერბურგელებთან გასულ სეზონშიც ითამაშა და მაშინაც გამარჯვებული გამოვიდა – "ბუდიველნიკთან" ერთად ცინცაძემ ევროთასზე გასულ სეზონში "სპარტაკი" გზიდან ჩამოიტოვა და შეჯიბრების ნახევარფინალში ითამაშა.

თუ შარშან გიორგის ბონიელ-ამერიკელი **ზეკ რაითის** მეურვეობა მოუხდა, ამჯერად მისი უშუალო კონკურენტი უკრაინის ნაკრების ყოფილი გამთამაშებელი **სტივენ ბერტი** იყო. ცინცაძემ ორივეს აჯობა. მართალია, ბერტმა 19 ქულა ჩააგდო, მაგრამ გიორგი ცინცაძემ 28 წუთში 4 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა და 1 მოხსნა მოაგროვა. მართალია 4 ქულა 19-ზე (ბერტმა სწორედ ამდენი ჩააგდო) ნაკლებია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 9 შედეგიანი გადაცემის შედეგად დონეცკელები მინიმუმ 18 ქულას ჩააგდებდნენ.

ცინცაძის თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად **ბენ მაკოლი** გამოირჩა, რომელმაც 23 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქართველი ესპანეთში

# ბურჯანაძის სტარტი

საქართველოს ნაკრების 19 წლის ახალგაზრდა ფორვარდმა **ბექა ბურჯანაძემ** ესპანეთის ჩემპიონატში მიმდინარე სეზონის გახსნის მატჩში 13 წუთი ითამაშა.

მისმა "კახასოლმა" ბასკეთში "გიპუზკოასთან" დაძაბულ ბრძოლაში 71:76 დათმო. მატჩის ბედი მეოთხე პერიოდში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 18:13 მოიგეს.

ბექამ 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და 2 ქულას 1 მოხსნა მიამატა. კახასოლელთაგან საუკეთესო **უილიამსი** იყო, რომლის ანგარიშზე 16 ქულაა.

ესპანეთის ჩემპიონატის მომდევნო მატჩში "კახასოლი" მალაგის "უნიკახას" უმასპინძლებს. მატჩი 20 ოქტომბერს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი. VI ტური



მატჩის გმირი გიორგი ფრუიძე

# აიამ გაინავარდა

**აია-ყოჩები 45:10**

**აია** (15-9) ნელაძე, შაშიაშვილი, ფრუიძე, ს. კვერნაძე, აბრამიძე, სინაურიძე (ბაბუნაშვილი 75), როხვაძე; (1-8) რატიაშვილი, მატკავა (.სალდაძე 76), ულუმბელაშვილი (.ტ. ჩხიკვაძე 76), შალამბერიძე, ჩიტეიშვილი (ჯიმშიტაშვილი 79), ცირეკიძე (კიკვაძე 62), რევიშვილი (ძაგნიძე 45), ყურაშვილი (არჩვაძე 79);

**ნ ლ:** ფრუიძე, ყურაშვილი, ძნელაძე, მატკავა, აბრამიძე, სალდაძე;

**ნგ:** სინაურიძე (5), ბაბუნაშვილი; **ს:** სინაურიძე;

**ყოჩები:** (15-9) მახარაშვილი, გოგოლაშვილი, ხარშილაძე, გაბუნია (ქუშაშვილი 54), ჯაფარიძე (ხუციშვილი 40), სოხაძე, ბრეგაძე; (1-8) ცუცქირიძე (გოგიშვილი 31), ხიდეშელი (ცუცქირიძე 79), ჯინჭარაძე (შენგელია 32), გრძელიშვილი (გოგიძე 79), ნიკლაური (ტვილდიანი 60), გუგეშაშვილი, ტყეშელიაძე, ნ. ჩხიკვაძე (მალალურაძე 60);

**ლ:** ხიდაშელი; **ს,გ:** სოხაძე;

**სინბინი:** ნიკლაური;

**მსაჯი:** ნიკა ამაშუკელი

საკუთარ კედლებში „აია" ყოველთვის ძლიერად თამაშობს, მაგრამ სატურნირო ცხრილში თითქმის მეზობლად მყოფი „ყოჩების" ასე იოლად დამარცხება, მაინც მოულოდნელი იყო. **ბესიკ ხამაშურიძისა** და **კობა გიორგაძის** გაწვრთნილი გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და თამაშის ხარისხსაც მატჩიდან-მატჩამდე აუმჯობესებს. თანაც, თუ გასულ წელს ქუთაისელთა მთავარი სისუსტე ფიზიკური მომზადება იყო, წლეულს ამ კომპონენტში აშკარად მომატებული აქვთ, გამძლეობასა და ტემპს მატჩის ბოლომდე ინარჩუნებენ და მათ წარმატებულ თამაშს ესეც განაპირობებს.

„აიამ„ „ყოჩები" ყველა კომპონენტში დაჩაგრა, დერეფანში, შერკინებაში, ხელით თამაშში ქუთაისელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. შესანიშნავი თამაში ჩაატარა „აიას" მგეზავმა **გაგა სინაურიძემ**, რომელმაც საჯარიმო და ყველა გარდასახვა ზუსტად დაარტყა, თანაც უმეტესად ძალიან რთული პოზიციიდან.

ქუთაისურმა გუნდმა შეხვედრა აქტიურად დაიწყო და პირველივე შეტევა ლელოდ აქცია. მასპინძლებმა „ყოჩების" ხუთმეტრიან ხაზთან აუტი მოიგეს და ოთხფაზიანი შეტევა აკინძეს, ქუთაისელთა ახალგაზრდა შუამარბი **გიორგი ფრუიძე** მეტოქეს დაუსხლტა და ბურთი ძელებს შუა დაამიწა. სინაურიძეს ახლო მანძილიდან გარდასახვის გატანა არ გასჭირვებია - 7:0

ამის შემდეგ სტუმრებიც გააქტიურდნენ და თითქმის მოედნის ცენტრიდან საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. **თემურ სოხაძემ** სიშორის მიუხედავად ზუსტად დაარტყა და ანგარიში შეამცირა - 7:3 მასპინძლები მოვლენების ასეთ განვითარებას არ შეეგუენ და მწვავედ შეუტიეს, რამდენჯერმე ლელოსთან ახლოს იყვნენ, მაგრამ სტუმრები დიდი ოფლისღვრის ხარჯზე ახერხებდნენ მათ შეჩერებას. თუმცა, მეტოქის მრავალფაზიან შეტევებს დიდხანს მაინც ვერ გაუძლეს. საკუთარ ხუთმეტრიან ხაზთან სტუმრებმა აუტი არასწორად მოაწოდეს და დაჯარიმდნენ. ქუთათურებმა შერკინება მოითხოვეს, მეტოქეს მოლით მიაწვნენ და ჩათვლის მოედანში შეათრიეს. ლელო **ბექა ყურაშვილმა** გაიტანა, სინაურიძემ გარდასახვა გამოიყენა და პირველი ტაიმის ანგარიში დააფიქსირა - 14:3.

შეხვედრის მეორე ნახევარი კვლავ „აიას" უპირატესობით წარიმართა, ბოლნისელები მათ შეტევებს ვერ უმკლავდებოდნენ. ძალზედ აქტიურმა **გიორგი ფრუიძემ** სტუმრებს ხაზი გაუჭრა, ბურთიანად ბევრი ირბინა და ჩათვლის მოედანთან მისულმა **ზურაბ ძნელაძისკენ** გააკეთა გადაცემა, რომელსაც სტუმართა მეორეხაზელმა **გიორგი ნიკლაურმა** შეუშალა ხელი და შეტევის განზრახ ჩაშლისთვის მსაჯს ყვითელი ბარათიც გამოსტყუა. სინაურიძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაზარდა - 17:3. მომდევნო შეტევისას კვლავ შესანიშნავად ითამაშა ფრუიძემ, მან მეტოქის ხაზი გაჭრა, თითქმის მთელი მოედანი გადასერა და ჩათვლის ხაზთან მისულმა ისვე ძნელაძეს გადააწოდა, „ტურბომაც" შეტევა ლელოთი დააგვირგვინა - 24:3.

„ყოჩებმა" ერთი ლელოსა და გარდასახვის გაქვითვა მოახერხა. თავი **დავით ხიდეშელმა** გამოიჩინა, მაგრამ ამით მხოლოდ „აია" გამოაფხიზლა. იგრძნეს რა პრემიალური ქულის დაკარგვის საშიშროება, მასპინძლებმა შეტევები გააძლიერეს და ბოლო ათ წუთში მეტოქეს გადაურბინეს. თანაც, ქუთათურებმა ძალიან სანახაობრივი რაგბი აჩვენეს. მეტოქეს ლამაზი კომბინაციებით თავბრუ დაახვიეს და კიდევ სამი ლელო გაუტანეს. თავი **მერაბ მატკავამ, გიორგი აბრამიძემ** და **ჟორჟ სალდაძემ** გამოიჩინეს, ორი გარდასახვა სინაურიძემ გაიტანა, ერთი კი შეცვლაზე შესულმა **გიორგი ბაბუნაშვილმა** და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 45:10.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
*ავტორის ფოტო*

# ლელო მოგებათა სერიას განაგრძობს

**ჯიქები - ლელო 9:19**

**ჯიქები** (15-9) კიკნაძე, ბინაძე, ჯინჯიხაძე (ბერძული 56), კუპრეიშვილი, ჯიმუხაძე, გიორგაძე, ჭინჭარაული; (1-8) ბარბაქაძე (ხატიაშვილი 43), ოქრომელიძე (გაგნიძე 52), ოქრიაშვილი (ჯინჭარაძე 54), გოგოლიძე, გ. მჭედლიშვილი, შენგელია, მამრიკიშვილი (ა.ტრაპაიძე 53), სუხაშვილი;

**პს:** გიორგაძე

**სინბინი:** გოგოლიძე (68)

**ლელო** (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე (სარჯველაძე 71), კორკელია, ცერცვაძე, ზაალიშვილი, უ. მჭედლიშვილი, მინდიაშვილი; (1-8) სანიკიძე, ლომთაძე (ბელქანია 40), პატარაია, ხორბალაძე (ნიკოლაიშვილი 70), ქოიავა, მძინარიშვილი (სურგულაძე 45), კოლელიშვილი, ჭყოიძე;

**ლ:** ქოიავა; **პს,გ:** ყიასაშვილი (3)

**სინბინი:** სანიკიძე (68)

**მსაჯი:** გ. ჩიხლაძე

„შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა აღმოჩენამ „ჯიქებმა" უაღრესად საინტერესო მატჩში მოქმედ ჩემპიონ „ლელოს" უმასპინძლა. სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა თავდადებული ბრძოლა და დრამატული ბოლო წუთები იხილა, რამაც უფრო მეტი ხიბლი შესძინა მატჩს.

ამ გუნდების უკანასკნელი დაპირისპირება გასულ სეზონში შედგა, რომელშიც „ჯიქებმა" ექვსქულიანი სხვაობით იმარჯვეს, თუმცა საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით გამარჯვება „ლელოს" ჩაეთვალა. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდიდა დაძაბულობას.

**ლევან მაისაშვილის** გაწვრთნილ გუნდს მეექვსე ტურის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები გააჩნდა, სხვადასხვა სახის ტრავმების გამო არ გახლდნენ მწყობრში გუნდის ლიდერები: **ლაშა ხმალაძე, ლექსო გუგავა** და **გიორგი კაჭარავა.** მასპინძელთა დანაკლისი კი მხოლოდ გარემარბი **რამაზ ხარაზიშვილი** იყო.

მოლოდინისამებრ შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. პირველი ტაიმის განმავლობაში ორივე გუნდმა ლელოს გატანის არაერთი მშვენიერი შანსი გაუშვა. ბოლო მომენტში მორაგბეებს მაღალი ტექნიკური წუნი არ აძლევდათ ამის საშუალებას. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით, შეხვედრა „ლელოს" ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილისა** და „ჯიქების" მგეზავ **ნუგზარ გიორგაძის** პირად დუელად იქცა. ორივე მათგანმა სამ-სამი საჯარიმო დარტყმა გაიტანა და მატჩის პირველი ნახევარი ფრედ დასრულდა - 9:9.

მეორე ტაიმის სტარტზე „ლელომ" სათამაშო ტემპს უმატა და გაზარდა ზეწოლა მეტოქეზე, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. 51-ე წუთზე ყიასაშვილმა კიდევ ერთი ზუსტი დარტყმით სამ ქულამდე გაზარდა საკუთარი გუნდის უპირატესობა - 12:9. მასპინძლებს მალევე მიეცათ ანგარიშის გათანაბრების მშვენიერი შესაძლებლობა, თუმცა გიორგაძის შორი მანძილიდან დარტყმულმა ბურთმა კარამდე არ მიაღწია.

„ჯიქებმა" არჩეული ტაქტიკა შეცვალეს და აქცენტი ლელოს გატანაზე გადაიტანეს, მაგრამ სტუმრები თავს წარმატებით იცავდნენ. მატჩის საფინალო სასტვენის მოახლოვებასთან ერთად ორივე გუნდს ნერვიულობა დაეტყო, რამაც კიდევ უფრო მეტად დაძაბა შეხვედრა. 68-ე წუთზე გულშემატკივარმა მასშტაბური მუშტი-კრივი იხილა. მოჩხუბართა გაშველება სამიოდე წუთის შემდეგღა მოხერხდა, უჩვეულოდ მოწყალე გახლდათ მსაჯი, რომელმაც ორივე გუნდის მხრიდან თითო-თითო მორაგბე დასაჯა სინბინით, „ლელოდან" შერკინების ბურჯი **გიორგი სანიკიძე**, ხოლო „ჯიქებიდან" მეორეხაზელი **ვლადიმერ გოგოლიძე.**

მასპინძლებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ და თავგანწირვით შეუტიეს. თუმცა შეხვედრის ბოლო წუთზე კონტრშეტევა გაეპარათ. შეცვლაზე შესულმა **რეზო ბელქანიამ** მეტოქის ხაზი გაჭრა და 30 მეტრი ირბინა. „ჯიქებმა" მისი შეჩერება მხოლოდ წესის დარღვევით მოახერხეს. „ლელომ" ხელსაყრელი პოზიციიდან უარი თქვა კარში დარტყმაზე და აუტში გადაიტანა ბურთი. მოქმედმა ჩემპიონებმა ადვილად მოიგეს დერეფანი და ხუთფაზიანი შეტევა აკინძეს, რომელიც მეორეხაზელი **სანდრო ქოიავას** ლელოთი დასრულდა. ყიასაშვილმა იოლად გარდასახა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 19:9. „ლელოს" ზედიზედ მოგებულ მატჩთა სერია ხუთამდე გაიზარდა.

**გიორგი ბარბაქაძე**
*ავტორის ფოტო*



ლელოს სალელოვე შეტევა

# ანტირეკორდი, ხუთი გაცუდებული საჯარიმო

**ლოკომოტივი-აკადემია 38:14**

**ლოკომოტივი** (15-9) ნიკლაური, ბინაძე (შიოშვილი 62), დ. ჭურღულია (კობერიძე 59), კავთიძე (ვასაძე 67), ჭამუტაშვილი, ჭინჭარაული, ზაბახიძე. (1-8) ელოშვილი (გასვიანი 49), გენებაშვილი, ზარიძე, ხოლუაშვილი, გეგია, ახვლედიანი (ხარძიანი 65), ბერიშვილი, კიკვიძე (ფოფხაძე 58).

**ნლ:** ბინაძე (2). ჭამუტაშვილი, ფოფხაძე, ჭინჭარაული, გენებაშვილი. **4გ:** ნიკლაური.

**სინბინი:** გენებაშვილი

**აკადემია** (15-9) ჩაბრიძე, ჭუაძე, ადეიშვილი (ჩინჩალაძე 42), მელაძე, კალანდარიშვილი, ქოპილაშვილი (მათიაშვილი 63), ჯ. ლამბაშიძე. (1-8) ფეიქრიშვილი (მაზმიშვილი 63), ნვერავა, გ. ლამბაშიძე, (ლ. გეგია 65), ნებულიშვილი, ბერიკაშვილი (მაღლაკელიძე 49), ნიბლაძე, ლუარსაბიშვილი, გოგოლაძე.

**2ლ:** მაზმიშვილი, მათიაშვილი. **2გ:** მელაძე.

**მსაჯი:** თორნიკე გვირჯიშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა" მიმდინარე გათამაშებაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ისევ ლიდერებს შორის შეინარჩუნა ადგილი. რკინიგზელებმა ამჯერად ერთ-ერთი აუტსაიდერი, თბილისის „აკადემია" დაამარცხეს - 38:14.

მატჩს არ ესწრებოდა „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი **თემურ ბენდიაშვილი,** რადგან თამაშის წინა დღეს მოულოდნელად მეუღლე გარდაეცვალა. დამრიგებლის გარეშე დარჩენილი რკინიგზელები სულაც არ დაბნეულან და აქტივში კიდევ ერთი მოგება მიითვალეს.

თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა „ლოკომოტივმა" კარგად ორგანიზებული, გააზრებული იერიშის წამოწყება შეძლო. მე-4 წუთზე მორკინლების დარტყმებით შექმნილი უპირატესობა უკანახაზელებმა კარგად გამოიყენეს და გარემარბმა **გიორგი ბინაძემ** ჩათვლის მოედანში შეაღწია. ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** ვერ გარდასახა - 5:0.

„აკადემიას" მძიმე სატურნირო მდგომარეობა აქვს და, ცხადია, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. შესაბამისად, აკადემიელებმა ყოველი ღონე იხმარეს მატჩში უპირატესობის მოსაპოვებლად. მეტიც, მათ ეს მოახერხეს და ანგარიშში დაწინაურებაც შეეძლოთ. თუმცა მათმა დამრტყმელმა, შუამარბმა **ილია მელაძემ** ანტირეკორდი დაამყარა. მან ერთი ტაიმის განმავლობაში ხუთი საჯარიმო ვერ გაიტანა.

ცხადია, გულხელდაკრეფილნი არც ლოკომოტიველები ისხდნენ. მათ მალე შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა და 31-ე წუთზე მეორე ლელო გაიტანეს. რკინიგზელთა მორკინალებმა შეტევა მარჯვენა ფრთაზე განავითარეს. მერე სწრაფად ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაათამაშეს, სადაც „ლოკომოტივის" უკანახაზელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ლელო გარემარბმა **დავით ჭამუტაშვილმა** მიითვალა. ნიკლაურმა ისევ ვერ გარდასახა - 10:0. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივს" უპირატესობა წამითაც არ დაუთმია და საწყის 20 წუთში კიდევ ორი ლელო გაიტანა. თავი ისევ ბინაძემ და შეცვლაზე შესულმა **ლაშა ფოფხაძემ** გამოიჩინეს. ნიკლაურმა ამჯერად ორივე ლელო გარდასახა - 24:0.

საინტერესო გამოდგა მატჩის ბოლო ათი წუთი. „აკადემიამ" რამდენიმე სახიფათო შეტევის ირგანიზება და ორი ლელოს გატანა შეძლო. რაზეც რკინიგზელებმა ასევე ორი ლელოთი უპასუხეს, მეტოქე 38:14 დაამარცხეს და ერთი პრემიალური ქულაც მიითვალეს.

**ბათუმი-ხარები 12:7**

**ბათუმი:** 2ლ - მჭედლიძე, ევგენიძე. გ - კალანდაძე.

**სინბინი** - ხოჭოლავა, აშვეთია.

**ხარები:** ლ - ლამბარაშვილი. გ - წიკლაური (უმც)

**სინბინი** - წიკლაური, წიკლაური (უმც)

**არმაზი-არმია 26:23**

**არმაზი:** 3ლ - სოსელია, ჩხაიძე, კიკნაძე. 3ს,გ - კიკნაძე.

**სინბინი** - ჩხაიძე, თაგაური.

**არმია:** 2ლ - კალმახელიძე, კაკოვინი, 3ს,2გ - კობახიძე.

**სინბინი** - ნუცუბიძე.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 6 | 5 | 0 | 1 | +73 | 24 |
| 2. ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | +79 | 23 |
| 3. არმაზი | 6 | 4 | 0 | 2 | +18 | 18 |
| 4. ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | +21 | 18 |
| 5. ყოჩები | 6 | 3 | 1 | 2 | -2 | 15 |
| 6. არმია | 5 | 2 | 1 | 2 | +24 | 12 |
| 7. ჯიქები | 6 | 1 | 2 | 3 | -12 | 10 |
| 8. აკადემია | 5 | 1 | 0 | 4 | -76 | 5 |
| 9. ბათუმი | 5 | 1 | 0 | 4 | -54 | 5 |
| 10. ხარები | 5 | 0 | 0 | 5 | -71 | 2 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. იაპონიის გრანპრი



სებასტიან ფეტელი

# ფეტელის მეხუთე, მეცხრე და 35-ე

გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა** ვერ შეძლო იაპონიის გრანპრიზე ჩემპიონობის გაფორმება, თუმცა კიდევ უფრო მიუახლოვდა კარიერაში მეოთხე ტიტულს.

შაბათს, კვალიფიკაცია **მარკ უებერმა** მოიგო - ეს მისთვის პირველი პოული იყო სეზონში. მისი მეწყვილის ფეტელის მანქანაზე KERS-ის სისტემა გამოვიდა მწყობრიდან, მაგრამ მან მაინც მოიპოვა მეორე პოზიცია. მეორე რიგიდან ილებდნენ სტარტს **ლუის ჰემილტონი** და **რომენ გროსჟანი**, მესამედან - **ფელიპე მასა** და **ნიკო როსბერგი**.

სტარტზე მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, როგორ დაიწყებდა რბოლას უებერი, რომელიც პირველ მეტრებს ყოველთვის ცუდად გადის. ავსტრალიელს ცუდი სტარტი არ გამოუვიდა, რადგან ფეტელი უკან დატოვა, მაგრამ მეოთხე პოზიციაზე მყოფ გროსჟანს ჰქონდა ფანტასტიკური დასაწყისი: მან მაშინვე მარჯვნივ გადაინაცვლა და გაუსწრო პირველ სამეულს, რითაც ლიდერობა მოიპოვა. ჰემილტონსაც კარგი სტარტი გამოუვიდა, თითქოს ფეტელსაც გაუსწრო, მაგრამ უკანა საბურავით გერმანელის ბოლიდის წინა ანტიფრთას შეეხო და ბოქსებში შესვლა მოუწია. საბურავის მწყობრიდან გამოსვლის გარდა, „მერსედესი" დაზიანდა და რამდენიმე წრის შემდეგ, ბრიტანელმა რბოლა დაასრულა. მანამდე კიდევ ორი პილოტი გამოეთიშა ბრძოლას - სტარტზე პელოტონის ბოლოში შეჯახება მოხდა, რადგან ტრასა ვერ გაიყვეს **შარლ პიკმა** და **ჟიულ ბიანკიმ**.

პირველი წრის შემდეგ, პირველ პოზიციაზე იყო გროსჟანი, შემდეგ მოდიოდა „რედ ბულის" წყვილი, მათ მოჰყვებოდნენ როსბერგი, **მასა, ალონსო** და **ჰიულკენბერგი**. პირველ ათეულს ასრულებდნენ **პერესი, გუტიერესი** და **ბატონი. რაიკონენი** მე-11 პოზიციაზე იყო.

ყველა ელოდა, რომ უებერი და ფეტელი თავიდანვე კვალში ჩაუდგებოდნენ გროსჟანს და აქტიურად შეუტევდნენ, მაგრამ „ლოტუსის" პილოტი საკმაოდ კომფორტულ ჰანდიკაპს ინარჩუნებდა. ბევრი რამ პიტსტოპების პირველ სერიას უნდა გაერკვია.

პილოტებმა საბურავების გამოცვლა მეათე წრიდან დაიწყეს. სერპიოზული ნარუმატებლობა შეემთხვათ „ფერარის" მექანიკოსებს, რის გამოც ჰიულკენბერგმა ალონსოსა და მასას გაუსწრო და ერთბაშად ორი პოზიცია მოიგო. ასევე კარგი ამბავი იყო „ზაუბერის" პილოტისთვის ის, რომ როსბერგი პიტლეინზე კინაღამ პერესს დაეჯახა, რის გამოც ბოქსებში საჯარიმო შესვლით დაისაჯა.

საშინელი რბოლა გამოუვიდა „მაკლარენს": უკანა მარჯვენა საბურავის შეცვლასთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში არ იყო და მექანიკოსებმა ბევრი დრო დააკარგვინეს ბატონსა და პერესს. ამას დაემატა ისიც, რომ ფინიშთან ახლოს პერესმა დაკარგა ადგილი ქულათა ზონაში, როცა როსბერგთან პოზიციის დაცვისას უკანა საბურავი გაუსკდა.

როცა მეორე პიტსტოპების დრო მოახლოვდა, ბევრმა დაასკვნა, რომ ბოქსებში ორი გაჩერებაც საკმარისი იქნებოდა. გამონაკლისი გახდა ბატონი, **ვერნი** და... უებერი. „რედ ბულში" განიხილეს გროსჟანზე უშედეგო შეტევები და თავიანთი პილოტებისთვის სხვადასხვა ტაქტიკა აირჩიეს: ფეტელი მაქსიმალურად გვიან შევიდა მეორე პიტსტოპზე, უებერი კი პირიქით, გროსჟანზე ადრე შევიდა ბოქსებში და სამი პიტსტოპის ტაქტიკა აირჩია.

ფეტელმა ახალი საბურავების მიღების შემდეგ ძალიან სწრაფად მოძრაობა დაიწყო და მალე მიუახლოვდა გროსჟანს. სხვაობა სიჩქარეში ძალიან სერიოზული იყო და რომენს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან გამკვლავების არანაირი შანსი არ ჰქონდა.

საინტერესო იყო, რას შესთავაზებდა თავის კონკურენტებს უებერი. თავისი მესამე პიტსტოპის შემდეგ, მარკი ლიდერს რვა წამით ჩამორჩებოდა და თავიდან ისევ ტემპს აჩვენებდა, რომ ყველა მოსალოდნელი სერიოზული ბრძოლისთვის მოემზადა. მაგრამ ჯერ ავსტრალიელს გროსჟანისთვის უნდა გაესწრო, ამასთან დაკავშირებით კი სერიოზული პრობლემები წარმოიშვა: სავარაუდოდ, DRS-ის სისტემასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, მარკმა ძალიან ბევრი დრო დაკარგა და გროსჟანს მხოლოდ ფინიშამდე ორი წრით ადრე გაუსწრო. ამ მომენტისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ფეტელი გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდა. უებერი მეორე ადგილზე გავიდა, გროსჟანი - მესამეზე.

ჰიულკენბერგმა ვერ შეძლო ზედიზედ მეორე რბოლაში მეოთხე ადგილზე გასვლა: ფინიშთან ახლოს, „ზაუბერის" ბოლიდზე საბურავები ძალიან გაცვდა და საბოლოოდ, გერმანელს ჯერ ალონსომ გაუსწრო, შემდეგ კი რაიკონენმა. ნიკო მეექვსეზე გავიდა, მის უკან კი აღმოჩნდა ესტებან გუტიერესი, რომელმაც კარიერაში პირველი ქულები მოიპოვა.

ფეტელმა მოიგო ზედიზედ მეხუთე, სეზონში მეცხრე და კარიერაში 35-ე რბოლა, თუმცა ტიტულისთვის ბრძოლა ფორმალურად გრძელდება. ახლა, გერმანელსა და ალონსოს შორის ქულათა სხვაობა 90-ს შეადგენს და ველოდებით ორი კვირის შემდეგ, ინდოეთის გრანპრის.

**იაპონიის გრან-პრი. XV ეტაპი**

**სუძუკა (53 წრე, 307.471 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:26.49,301 (2 პიტსტოპი) |
| 2(13). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +7,129 (3) |
| 3(3). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | +9,910 (2) |
| 4(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +45,605 (2) |
| 5(9). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +47,325 (2) |
| 6(7). ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) | +51,615 (2) |
| 7(8). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +1.11,630 (2) |
| 8(4). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +1.12,023 (4) |
| 9(11). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.20,821 (3) |
| 10(6). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1.29,263 (3) |
| 11(15). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.38,572 (2) |
| 12(16). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 1 წრე (3) |
| 13(12). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | 1 წრე (3) |
| 14(14). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 15(10). სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) | 1 წრე (3) |
| 16(18). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე (2) |
| 17(17). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | 1 წრე (2) |
| 18(19). შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) | 1 წრე (3) |
| 19(21). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 20(2). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | 45 წრე |
| 21(20). გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) | 53 წრე |
| 22(22). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | 53 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 297 (9 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 207 (2); 3. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 177 (1); 4. **ლუის ჰემილტონი** (მერსედესი, ბრიტანეთი) - 161 (1); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 148; 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 126 (2); 7. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 90; 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 87; 9. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 60; 10. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ზაუბერი, გერმანია) - 39; 11. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 36; 12. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 26; 13. **სერხიო პერესი** (მაკლარენი, მექსიკა) - 23; 14. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 18; 15. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 13; 16. **ესტებან გუტიერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 6; 16. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 445; 2. **ფერარი** - 297; 3. **მერსედესი** - 287; 4. **ლოტუსი** - 264; 5. **მაკლარენი** - 83; 6. **ფორს ინდია** - 62; 7. **ზაუბერი** - 45; 8. **ტორო როსო** - 31; 9. **უილიამსი** - 1.

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მარკესმა წააგო, მაგრამ...

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ ეტაპს მალაიზიამ უმასპინძლა. მართალია, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა **მარკ მარკესმა** ვერ შეძლო მორიგი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ გაზარდა უპირატესობა უახლოეს მდევარ **ხორხე ლორენსოსთან**.

შაბათს, პოული სწორედ მარკესმა მოიგო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, სტარტი ჩააგდო, რითაც ისარგებლეს ლორენსომ და **დანი პედროსამ**, რომლებიც მეორე რიგიდან იწყებდნენ ბრძოლას. პირველი წრე მრბოლელებმა ასეთი თანმიმდევრობით დაასრულეს: ლორენსო, პედროსა, მარკესი, **როსი, ბაუტისტა, კრატჩლოუ**...

პირველ წრეებზე „ჰონდას" პილოტები - პედროსა და მარკესი შორს არ უშვებდნენ ლორენსოს და საბოლოოდ, მეხუთე წრეზე პედროსამ შეძლო „იამაჰას" წევრის გასწრება და სათავეში ჩაუდგა პელოტონს. ერთი წრის შემდეგ კი ლორენსოსა და მარკესის ლამაზი ბრძოლა ვიხილეთ, რომელშიც ხორხემ შეინარჩუნა მეორე პოზიცია.

მაგრამ მათი დუელი ამით არ დასრულებულა. მეცხრე წრეზე მარკესმა უფრო კარგად მოამზადა შეტევა და მაინც გაუსწრო მთავარ კონკურენტს, რის შემდეგაც, პირველი სამეული საბოლოოდ ჩამოყალიბდა: პედროსა - მარკესი - ლორენსო. რბოლის მეორე ნახევარი ესპანურმა ტრიომ მშვიდად ჩაატარა და საკუთარი პოზიციების დაფიქსირებაზე გადაიტანა აქცენტი. მეოთხე მივიდა ფინიშთან როსი, მეხუთეზე იყო ბაუტისტა, რომელმაც ამ პოზიციისთვის ბრძოლა მოუგო კრატჩლოუს.

**მალაიზიის გრანპრი**

1. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 20 წრე; 2. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - +2,757; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - +6,669; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +10,351; 5. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +22,149; 6. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - +22,301; 7. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha) - +30,864; 8. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +45,111...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 298 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 255; 3. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 244; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 198; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 166; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - 136; 7. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - 135; 8. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 120...



დანი პედროსა

კრივი

# მცირე უპირატესობით

შაბათს საკრივო სამყაროში ერთი საინტერესო ბრძოლა გაიმართა: ნახევრადსაშუალო წონაში (66.7 კგ-მდე) WBO-ის ტიტულისთვის იბრძოდნენ ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი** (31-0-0, 12KO) და მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** (55-7-1, 40KO). ეს ის მოკრივეები არიან, რომლებმაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ლეგენდარული ფილიპინელის **მენი პაკიაოს** დამარცხება შეძლეს.

ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართა და მარკესმა ვერ შეძლო კარიერაში მეხუთე წონით კატეგორიაში ტიტულის მოპოვება. მან მსაჯების არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით წააგო: ორმა არბიტრმა უპირატესობა ბრედლის მიანიჭა (116:112, 115:113), ერთმა - მარკესს (115:113). საერთო ჯამში, ეს კანონზომიერი შედეგი იყო, რადგან ამერიკელი უფრო უკეთ გამოიყურებოდა.

ტიმოტიმ ფრთხილად დაიწყო ბრძოლა და ზვერავდა მექსიკელის მოქმედებას. ამერიკელის ასეთმა პასიურობამ მარკესს პირველი ორი რაუნდის მოგების საშუალება მისცა, რაც რამდენიმე ზუსტი კონტრშეტევის დამსახურება იყო. მაგრამ, მესამე რაუნდიდან ბრედლიმ ჯებების რაოდენობასა და დარტყმების სწრაფ სერიებს უმატა. საერთოდ, შეხვედრის შუაში ყველა რაუნდი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და რომელიმე მოკრივისთვის უპირატესობის მინიჭება ძალიან რთული იყო: ბრედლი ბევრ დარტყმას ასრულებდა, იმ დროს, როცა მარკესის დარტყმები უფრო ზუსტი და სოლიდური იყო.

40 წლის მექსიკელისთვის ყველაზე წარმატებული იყო მეცხრე რაუნდი, როცა მან ბევრი აქცენტირებული დარტყმა შეასრულა თავისა და კორპუსის არეში. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ტიმოტი ნოკდაუნთან ახლოს იყო.

თუმცა ბრედლის აქვს ერთი კარგი თვისება - სწრაფად აღდგენა ურთულესი დარტყმების მიღების შემდეგ. ამით ის უფრო მობილიზებული და კონცენტრირებული დაბრუნდა შემდეგ რაუნდში და ბრძოლა ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. შეხვედრის დასასრულს აქტიური კრივი ვიხილეთ, განსაკუთრებით მარკესის შესრულებით, მაგრამ მექსიკელმა მაინც ვერ დააგდო რინგზე მოწინააღმდეგე. პირიქით, ბრედლიმ კონტრშეტევისას ბრწყინვალე ჰუკით კინაღამ ნოკდაუნში გაგზავნა მოწინააღმდეგე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ტიმოტი ბრედლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი



ანჟელიკ კერბერი

# როჯერმა მწვრთნელი გაუშვა

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** უარი თქვა თავისი მწვრთნელის **პოლ ანაკონეს** სამსახურზე, რომელთანაც ბოლო სამწელიწადნახევარი იმუშავა. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ, ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა.

როგორც ფედერერმა ახსნა, მისი და ანაკონეს სამწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ჩოგბურთელის დაბრუნებას რეიტინგის პირველ საფეხურზე - და ეს გეგმა შესრულდა. ამიტომაც, მათ გადაწყვიტეს თავიანთ პროფესიულ ცხოვრებაში ახალ თავზე გადასვლა და ამისთვის დღეს საუკეთესო დროა, - აღიარა ჩოგბურთელმა.

*„პოლი ჩემს კარგ მეგობრად რჩება და მე სიამოვნებით გავაგრძელებ მასთან ურთიერთობას. მინდა მადლობა გადავუხადო მას იმისთვის, რომ დიდი დახმარება გაუწია ჩემს გუნდს“*, - დაამარტა ფედერერმა.

ანაკონე ავარჯიშებდა ისეთ ცნობილ ჩოგბურთელებს, როგორებიც იყვნენ **პიტ სამპრასი** და **ტიმ ჰენმანი**. ამასთან, ფედერერისთვის მიმდინარე სეზონი ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელია მის კარიერაში, რადგან რეიტინგის მეშვიდე საფეხურზე დაეშვა და მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



როჯერ ფედერერი

# სტამბოლი დაკომპლექტდა

WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის შემადგენლობა სრულად დაკომპლექტდა. სტამბოლის ჩემპიონატის ბოლო მონაწილე გახდა გერმანელი **ანჟელიკ კერბერი**. მან ეს უფლება ლინცის ტურნირზე ფინალში გასვლით მოიპოვა. კერბერს გარანტირებული აქვს „ჩემპიონთა რბოლაში“ მეცხრე ადგილი, რაც თურქეთში გამგზავრების საშუალებას იძლევა, რადგან ამ რეიტინგის მესამე ნომერმა, რუსმა **მარია შარაპოვამ** ტრავმის გამო უარი თქვა თურქეთში გამგზავრებაზე.

უფრო ადრე, წლის შემაჯამებელ ტურნირზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს: **სერენა უილიამსმა** (აშშ), **ვიქტორია აზარენკამ** (ბელარუსი), **აგნიეშკა რადვანსკამ** (პოლონეთი), **ნა ლიმ** (ჩინეთი), **პეტრა კვიტოვამ** (ჩეხეთი), **სარა ერანიმ** (იტალია) და **ელენა იანკოვიჩმა** (სერბეთი).

ზედიზედ მეორედ წლის დასკვნით ტურნირზე ყველა მონაწილე სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენს. ასეთი რამ, შეჯიბრების 42-წლიან ისტორიაში მეორედ ხდება.

WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი 22-27 ოქტომბერს გაიმართება. 20 ოქტომბერს შედგება წილისყრა, რომლის მეშვეობით რვა ჩოგბურთელი ორ ჯგუფში განაწილდება.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**11 ოქტომბერი**

**ფილადელფია-ფინიქსი 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კლინკჰამერი-1 (მორისი-3, ტიმ კენედი-1), 1:1 ტელბოტი-1 (რინალდო-1, კუტურიე-2), 1:2 ეკმან-ლარსონი-2 (რიბეირო-2, ჰანჟალი-4).

**კაროლინა-ლოს ანჯელესი 1:2 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კინგი-1, 1:1 სკინერი-1 (სეკერა-3, გერბე-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯ. კარტერი (ლოს ანჯელესი).

**ფლორიდა-პიტსბურგი 6:3**

2:2, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ბ. ბოიესი-3 (ფლიშმანი-3), 1:1 მალკინი-1 (ბენეტი-2), 2:1 ვესტიგი-1 (გომესი-2, მატიასი-1), 2:2 კ. ადამსი-3 (გლასი-2, ვიტალე-2), 3:2 იუბერდო-2 (ვესტიგი-2, ფლიშმანი-4), 4:2 ბარკოვი-2, 4:3 დუპუი-1 (კროსბი-3), 5:3 ფლიშმანი-1 (ბარკოვი-2, ბ. ბოიესი-1), 6:3 ბ. ბოიესი-4 (ბარკოვი-3, ფლიშმანი-5).

**ჩიკაგო-აილენდერსი 3:2**

2:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ნორდსტრიომი-1 (ჰიალმარსონი-4), 2:0 ტეივზი-2 (კიტი-2, სიბრუკი-1), 2:1 ბეილი-2 (გრაბნერი-5), 2:2 ოკსოპო-1 (ტავარესი-3), 3:2 ჰანძუში-1 (კიტი-3, ბ. სმიტი-1).

**ვინიპეგი-დალასი 1:4**

0:3, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჩიასონი-3 (სეგინი-2, გონჩარი-1), 0:2 სეგინი-1 (პევერლი-1, ჯეიმი ბენი-2), 0:3 ჯეიმი ბენი-1 (დილონი-2, სეგინი-3), 0:4 სეგინი-2 (ჯეიმი ბენი-3, ჩიასონი-1), 1:4 ველერი-1 (ბაფლინი-6, ენსტრიომი-6).

**კალგარი-ნიუ ჯერსი 3:2**

0:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ენრიკე-1 (ბრუნერი-2, ენდი გრინი-1), 1:1 ვიდემანი-1 (ჯორდანო-4, ჰუდლერი-4), 1:2 ზუბრუსი-1 (ზეიჯაკი-2), 2:2 ჯორდანო-2 (ჰუდლერი-5, გლენკროსი-2), 3:2 მონეჰანი-4 (ბაერტში-2, ვიდემანი-2).

**12 ოქტომბერი**

**ტორონტო-ედმონტონი 6:5 (ო)**

2:2, 1:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 0:1 რ. სმიტი-2 (არკობელო-3), 1:1 კადრი-2 (რეიმონდი-3, ფანოფი-2), 2:1 ვან რიმსდიკი-4 (ფრენსონი-3, ფანოფი-3), 2:2 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-2 (შულცი-3, ბელოვი-1), 2:3 გორდონი-3 (პერონი-3, ტ. ჰოლი-3), 3:3 ლუპული-4 (კადრი-4, ბროლი-1), 3:4 ებერლე-1 (არკობელო-4, ტ. ჰოლი-4), 4:4 ვან რიმსდიკი-5 (ბოზაკი-2, კესელი-5), 4:5 რ. სმიტი-3 (ებერლე-3, არკობელო-5), 5:5 ლუპული-5 (გარდინერი-2), 6:5 ბოლანდი-3 (ფრენსონი-4, რეიმონდი-4).

**დეტროიტი-ფილადელფია 5:2**

1:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 ბერტუცი-1 (ალფრედსონი-2, კრონვალი-3), 2:0 კრონვალი-1 (ალფრედსონი-3, ზეტერბერგი-2), 2:1 გუსტაფსონი-1 (ბრეიდენ შენი-2, სიმონდსი-1), 3:1 დაციუკი-2 (კრონვალი-4, ალფრედსონი-4), 3:2 მაკგინი-1 (კ. ჟირუ-1, ვორაჩეკი-2), 4:2 ზეტერბერგი-3 (დაციუკი-2, ქუინსი-1), 5:2 ზეტერბერგი-4 (დაციუკი-3, ქლირი-1).

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 4:5**

1:0, 2:2, 1:3

**გოლები:** 1:0 ფილპულა-4 (კილორნი-4, პანიკი-1), 1:1 კროსბი-3 (ი. იოკინენი-1, კუნიტცი-2), 2:1 სტემკოსი-4 (სან ლუი-4, შედმანი-3), 2:2 ორპიკი-1 (დუპუი-3, კუნიტცი-3), 3:2 პურსელი-3 (სალო-3, სან ლუი-5), 3:3 კროსბი-4 (სკუდერი-1, ნისკანენი-4), 3:4 კროსბი-5 (ი. იოკინენი-2, მალკინი-3), 4:4 კილორნი-2 (პანიკი-2, ტ. ჯონსონი-1), 4:5 ნისკანენი-1 (მალკინი-4, კროსბი-4).

**ვაშინგტონი-კოლორადო 1:5**

0:2, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ტანგეი-1 (ლანდესკოგი-1), 0:2 დუშენი-3 (რ. ო'რაილი-2, ბენუა-2), 0:3 მაკინონი-1 (მჩასტნი-2, ლანდესკოგი-2), 0:4 ტანგეი-2 (მჩასტნი-3, ბენუა-3), 1:4 ფერი-1 (ჩიმერა-1, ჯ. უორდი-2), 1:5 მაკგინი-3 (პარენტო-2, მაკინონი-5).

**კოლამბუსი-ბოსტონი 1:3**

1:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ჯ. ჯონსონი-2 (ვიშნიევსკი-3, გაბორიკი-4), 1:1 კელი-2 (იგინლა-1, კრეიჩი-3), 1:2 ლ. ერიქსონი-1 (პ. ბერჟერონი-1, რაილი სმიტი-2), 1:3 ლუჩიჩი-2 (ხარა-1, ბოიჩაკი-2).

**ჩიკაგო-ბაფალო 2:1**

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ბ. სმიტი-1 (სიბრუკი-2, კიტი-4), 1:0 პ. კეინი-4 (შარპი-3, შოუ-1), 2:1 სტეფორდი-1 (პოჯსონი-4, პისიკი-1).

**სტ ლუისი-რეინჯერსი 5:3**

1:1, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 სტინი-4 (ოში-2, ბეკსი-2), 1:1 კელეჰანი-1 (ბრასარი-2, სტეპანი-4), 2:1 ბეკსი-3 (სტინი-2), 3:1 როი-2 (მატენკირკი-2, სტინი-3), 3:2 ბ. რიჩარდსი-4 (ბრასარი-3), 4:2 ბეკსი-4 (ოში-3, სტინი-4), 4:3 კელეჰანი-2 (ბ. რიჩარდსი-1, სტეპანი-5), 5:3 ტარასენკო-3 (მატენკირკი-3, როი-3).

**ნეშვილი-აილენდერსი 3:2**

0:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ს. ჯონსი-1 (ლეგუანდი-1, შ. უებერი-1), 1:1 ნილსენი-2 (ოკსოპო-2, ჰამონიკი-2), 1:2 ტავარესი-3 (ოკსოპო-3, სტრაიტი-1), 2:2 ჰორნკვისტი-1 (კ. უილსონი-1, ელისი-1), 3:2 ელისი-1 (კულენი-2, კ. სმიტი-2).

**მინესოტა-დალასი 5:1**

2:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ფონტენი-1 (კუკი-2), 2:0 კუკი-3, 3:0 დუმბა-1 (ჰიტლი-1, ბროდინი-2), 4:0 ნიდერაიტერი-1 (მ. კოივუ-3, სპარჯონი-1), 4:1 ჯორდი ბენი-1 (სეგინი-4, ჩიასონი-2), 5:1 პარიზე-4 (სპარჯონი-2, რ. სუტერი-3).

**ვანკუვერი-მონრეალი 1:4**

0:1, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 პასიორეტი-2 (ბუიონი-1, დიასი-2), 1:1 ჰ. სედინი-1 (დ. სედინი-5, გარისონი-4), 1:2 ელერი-5, 1:3 პლეკანეცი-1 (მარკოვი-2, საბენი-6), 1:4 გორჯესი-1 (დიასი-3, მოენი-2).

**სან ხოსე-ოტავა 3:2**

1:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰერტლი-7 (დ. ბოილი-1, ბერნსი-3), 1:1 ზ. სმიტი-1 (ფილიპსი-2, გრინინგი-1), 1:2 რაიანი-2 (სპეცა-1, ვირჩიოკი-3), 2:2 მარლო-4 (პაველსკი-6, ირვინი-3), 3:2 ბერნსი-3 (ჯ. ტორნტონი-5, ნიეტო-3).

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს თასი 2014**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ეთიოპია-ნიგერია | 1:2 |
| ტუნისი-კამერუნი | 0:0 |

**ევრო 2014**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| დანია-იტალია | 0:2 |
| ლიხტენშტაინი-ისრაელი | 0:9 |

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ხორვატია | 1:0 |
| ბოსნია-ჩერნოგორია | 0:0 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრედფორდი-ტრანმერი | 0:1 |
| ქოვენთრი-შეფილდი | 3:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბარნეტი-რედსჰემი | 1:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ჩიტადელა-პადოვა | 1:0 |
| ბარი-კროტონე | 1:2 |
| იუვე სტაბია-ჩეზენა | 0:2 |
| ლატინა-მოდენა | 0:0 |
| სიენა-აველინო | 3:0 |
| ვარეზე-ტრაპანი | 0:0 |
| ლანჩანო-ტერნანა | 1:1 |
| პალერმო-პესკარა | 1:0 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| კარრეზე-პავია | 0:0 |
| ენტელა-ალბინოლეფე | 1:0 |
| ფერალპიზალი-ვიჩენცა | 1:1 |
| ლუმეცანე-სან მარინო | 1:0 |
| პრო ვერჩელი-სავონა | 0:1 |
| პროპატრია-რეჯანა | 1:0 |
| ვენეცია-სუდტიროლი | 1:1 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ასკოლი-სალერნიტანა | 1:1 |
| გუბიო-ბენევენტო | 2:2 |
| ლაკილა-გროსეტო | 1:0 |
| ნოჩერინა-კატანძარო | 0:4 |
| პაგანეზე-ლეჩე | 0:1 |
| პერუჯა-პიზა | 0:1 |
| პონტედერა-პრატო | 2:2 |
| ვიარეჯო-ფროსინონე | 0:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა B-დეპორტივო | 0:1 |
| სპორტინგი-რეალ ხაენი | 1:1 |
| ერკულესი-ეიბარი | 0:0 |
| ტენერიფე-მალიორკა | 0:1 |
| სარაგოსა-პონფერადინა | 2:1 |
| ალკორკონი-ნუმანსია | 0:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი II-ნიურნბერგი II | 1:2 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| აინტრახტი (ნ)-მეპენი | 2:1 |
| გოსლარერი-აიხედი | 2:0 |
| ჰანოვერი II-ფლენსბურგი | 2:2 |
| ნოიმუნსტერი-რედენი | 1:1 |
| ვილჰელმშავენი-ვიქტორია | 3:0 |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-ცვიკაუ | 1:1 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სპარტა-ახილესი | გადაიდო |
| ტელსტარი-ჰელმონდი | 2:3 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აალსტი-სტ. ტრუიდენი | 1:1 |
| ვოლუვე-ბორინაჟი | 0:0 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კოვილია-ოლივეირენსე | 2:2 |
| ავეში-ბრაგა B | 1:1 |
| მარიტიმუ B-ტროფენსე | 1:0 |
| სანტა კლარა-ატლეტიკო | 2:1 |
| სპორტინგი B-მორეირენსე | 3:2 |
| მადეირა-შავეში | 2:0 |

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-გიმარაეში | 2:1 |
| არუკა-ბეირა მარი | 1:2 |

**შოტლანდია**

**Challenge Cup**

| | |
|---|---|
| რეითი-ანენი | 3:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰიორნინგი-ფრედერისია | 0:4 |
| აკადემისკი-ჰორსენსი | 3:3 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელვერუმი-ფოლო | 0:5 |
| ჰიოდლი-კრისტიანსუნდი | 1:1 |
| სტრიომენი-კონგსვინგერი | 2:0 |
| ბოდო გლიმტი-რანჰაიმი | 0:2 |
| ულ კისა-ჰამ კამი | 1:2 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-ლიმერიკი | 1:0 |
| სტ. პატსი-სლიგო | 2:0 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ეირბასი-ებერისტვიტი | 4:1 |
| პორტ ტელბოტი-ბალა | 0:2 |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მოსტი-სოკოლოვი | 0:0 |
| კარვინა-ტრშინეცი | 2:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ბალტიკა | 2:1 |
| უფა-ანგუშტი | 2:1 |
| ენისეი-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| სიბირი-სალუტი | 1:0 |
| დინამო (ს-პ)-როტორი | 0:0 |
| ხიმიკი-ნეფტეხიმიკი | 0:0 |
| შინიკი-ალანია | 1:0 |
| ნალჩიკი-არსენალი | 0:0 |
| მორდოვია-ტორპედო | 1:0 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-რასინგი | 1:0 |
| ველესი-ოლიმპო | 1:2 |
| ბოკა-როსარიო | გვ. დასრულდა |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. მინეირო-კრუზეირო | 1:0 |
| კრისიუმა-ვასკო და გამა | 3:2 |
| ინტერნასიონალი-ნაუტიკო | 4:1 |
| სან პაულუ-კორინთიანსი | 0:0 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ველინგტონი-ბრისბენი | 1:2 |
| ადელაიდა-პერტი | 3:1 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ვიურცბურგი | 89:78 |
| ბრაუნშვაიგი-ბრემერჰავენი | 77:73 |
| ჰაგენი-ვეხტა | 80:78 |
| ბაიერნი-ბაიროიტი | 103:70 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| რეტიმნო-იკაროსი | 82:77 |
| პანელეფსინიაკ.-პანიონიოსი | 72:74 |
| აპოლონი-ილისიაკოსი | 80:65 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| კ. ლაბორალი-გრან კანარია | 96:99 (ო) |
| უნიკახა-ესტუდიანტესი | 97:78 |
| მანრესა-ხუვენტუდი | 90:78 |
| ბარსელონა-ვალენსია | 76:75 |
| გიპუსკოა-კახასოლი | 76:71 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| აველინო-სკავოლინი | 77:80 |
| ბრინდიზი-მილანი | 88:80 |
| ვარეზე-რეჯო ემილია | 83:64 |
| კაზერტა-ვენეცია | 84:65 |
| კანტუ-პისტოია | 87:77 |
| მონტეგრანარო-რომა | 75:78 |
| მონტეპასკი-კრემონა | 97:82 |
| ბოლონია-სასარი | 98:88 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანტი-ანტიბი | 85:58 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ჰამბურგი | 26:28 |
| დროტი-ლოგრონიო | 35:35 |
| ფლენსბურგი-გორენიე | 35:31 |
| ვარდარი-პარიზი | 24:24 |
| ვისლა-კიელჩე | 27:30 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ლევი-ს. იულიაევი | 2:3 |
| ატლანტი-ამური | 2:1 (ო) |
| ლოკომოტივი-სიბირი | 1:2 (ო) |
| სევერსტალი-მეტალურგი (ნ) | 5:2 |
| სკა-ადმირალი | 1:3 |
| ცსკა-ნეფტეხიმიკი | 2:1 |
| დინამო (რ)-მეტალურგი (მ) | 3:2 (ო) |
| სლოვანი-ტრაქტორი | 6:5 |
| დინამო (მნ)-დონბასი | 2:4 |
| ზაგრები-სპარტაკი | 2:3 (ბ) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-ვილახი | 4:2 |
| გრაცი-ინსბრუკი | 6:2 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 0:3 |
| ოლიმპია-ბოლცანო | 2:3 |
| ლინცი-ვენა | 2:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-სტრაუბინგი | 2:4 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 4:1 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 5:1 |
| მიუნხენი-კიოლნი | 0:3 |
| შვენინგერი-აუგსბურგი | 8:0 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 4:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სტავანგერი | 3:1 |
| ლორენსკოგი-ფრისკ ასკერი | 5:4 |
| რუსენბორგი-სტორჰამარი | 3:4 |
| ტონსბერგი-ლილეჰამერი | 0:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სკალიცა-ბისტრიცა | 3:4 |
| ზვოლენი-მარტინი | 3:4 (ო) |
| კოშიცე-ჟილინა | 4:3 |
| პოპრადი-ნიტრა | 0:1 (ო) |
| პიეშტანი-ტრენჩინი | 1:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-სლავია | 4:2 |
| ლიბერეცი-კრალოვე | 6:7 (ო) |
| ტრშინეცი-პარდუბიცე | 3:0 |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 1:4 |
| პლზენი-ხომუტოვი | 3:2 |
| კლადნო-ბრნო | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-დელ პოტრო | 6:1; 3:6, 7:6 |

**WTA. ლინცი**

| | |
|---|---|
| ივანოვიჩი-კერბერი | 4:6, 6:7 |

**WTA. ოსაკა**

| | |
|---|---|
| სტოსური-ბუშარი | 3:6, 7:5, 6:2 |

ჩოგბურთი. შანხაის მასტერსი

# ჩინეთი ჯოკოვიჩისაა



ნოვაკ ჯოკოვიჩი

შესანიშნავ ფორმაში შევიდა სეზონის ბოლოს სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომელმაც ბოლო ორ კვირაში ორი ტიტული მოიგო, თუმცა ის მაინც რეიტინგის მეორე ნომრად რჩება.

შაბათს, შანხაის მასტერსზე ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. პირველები კორტზე **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ჟო-ვილფრიდ ცონგა** გავიდნენ. მართალია, ადრე ფრანგი ხშირად ამარცხებდა სერბს, მაგრამ ამ მატჩამდე ნოვაკის ჟოსთან მოგებათა სერია რვა მატჩს აღწევდა.

შეხვედრის დასაწყისში ცონგას ტემპი აკლდა და ფეხებით ცუდად მუშაობდა, რაც ძალიან მალე აისახა შესაბამის ანგარიშში - 3:0 ჯოკოვიჩის სასარგებლოდ, მაგრამ შემდეგ ფრანგმა თავის მოწოდებაზე ურთულესი გეიმი აიღო და იქვე დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა. თუმცა ჟოს წარმატებები ამით ამოიწურა და ზედიზედ სამი გეიმი დაუთმო ცონგას.

მეორე სეტში უფრო დაძაბული ბრძოლა გაიმართა. ფრანგის დარტყმები უფრო ხშირად აღწევდა მიზანს და დიდი ხანი რთული იყო რომელიმე ჩოგბურთელისთვის უპირატესობის მინიჭება. სეტის შუაში იყო მომენტი, როცა ჯოკოვიჩი დიდი ხანი ეკამათებოდა არბიტრს ორი მომენტისთვის, როცა მან ქულა ფრანგს მიანიჭა. არადა, მსაჯი ორივე ეპიზოდში მართალი იყო. ამის გამო, ნოვაკი გარკვეული ხანი გაბრაზებული ჩანდა, მაგრამ დროულად მოვიდა გონს და თავიდან აიცილა ტაი-ბრეიკის თამაში - 6:2, 7:5.

ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია მეორე ნახევარფინალში არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**. ჯერერთი, ამ მოგებით მან ATP-ის წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა, გარდა ამისა, 2009 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა **რაფაელ ნადალი**.

სასტარტო გეიმებში დელ პოტრომ უძლიერესი შეტევებით შტორმივით გადაუარა მეტოქეს. მართალია, ნადალს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ის სამხრეთამერიკელმა დამაჯერებლად მოიგერია, თავად კი ორი ბრეიკი გააკეთა. ხუან მარტინი 4:0 დაწინაურდა და სეტის გადარჩენის არანაირი შანსი არ დაუტოვა ესპანელს.

მეორე სეტში რაფამ მეტ-ნაკლებად ალღო აუღო მეტოქის თამაშს, თან დელ პოტრომ შეცდომებს უმატა. თუმცა მთავარი ამოცანა არგენტინელმა შეასრულა - ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და დაძაბულ ბრძოლაში თავად გააკეთა ბრეიკი - 2:1. ამის შემდეგ, ხუან მარტინის ყველა გეიმში ბრძოლა იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში უკეთ სწორედ არგენტინელი თამაშობდა და არა ესპანელი. ხოლო მატჩზე ჩაწოდებისას, დელ პოტრომ მეტოქეს მხოლოდ ერთი ქულა დაანება.

■ ■ ■

ასე რომ, დელ პოტრომ შეწყვიტა ნადალთან წარუმატებელი სერია, ფინალში კი კიდევ ერთი ნავსი უნდა გაეტეხა: იმ დროს, როცა ჯოკოვიჩი გუშინ მასტერსის მე-15 ტიტულის იბრძოდა, დელ პოტროს ამ სერიაში ჯერ გამარჯვება არ ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ ფინალი ისე დაიწყო, რომ დელ პოტროს ამ ნაკლის გამოსწორების არანაირი შანსი არ უნდა ჰქონოდა. ჯოკოვიჩმა 13 „ვინერსი" მიითვალა, ბადესთან ხუთივე გასვლა წარმატებით დაასრულა და რაც მთავარია, მეორე და მეოთხე გეიმებში ბრეიკები შეასრულა და 6:1 მოიგო. პირველ პარტია მხოლოდ 34 წუთი გაგრძელდა.

თუმცა მეორე სეტში დელ პოტრომ გაიხსენა ის თამაში, რომლითაც წინა დღეს ნადალი გაანადგურა. არგენტინელმა უკვე მეორე გეიმში გააკეთა ბრეიკი და კომფორტული უპირატესობა მოიპოვა. თუმცა ხუან მარტინს ერთი რთული მომენტის გადატანა მოუწია: 2:4-ზე ნოვაკმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს გეიმში დელ პოტრომ შეძლო ზედიზედ ხუთი ქულის აღება. საბოლოოდ, სეტი მან 44 წუთში მოიგო - 6:3. არგენტინელმა ამ პარტიაში პირველი მოწოდებით ქულების 83 პროცენტი აიღო.

მესამე სეტი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეხუთე გეიმში დელ პოტრომ ვერ გამოიყენა ერთი ბრეიკ-პოინტი, მეექვსე გეიმში კი თავად გადაარჩინა საკუთარი მოწოდება 15:40-დან. იგივე შანსი ჰქონდა სერბს 5:4-ზე, მაგრამ ორმაგი მატბოლი ვერ გამოიყენა და ყველაფერი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა.

მე-13 გეიმში ჯოკოვიჩი თავიდანვე დაწინაურდა (2:0, 4:2) და იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. სერბმა ჩინური მასტერსი მეოთხედ მოიგო და აქ მოგებათა სერია 20 მატჩამდე აიყვანა, სულ კი სეზონში მეშვიდე ტიტული მოიგო. თუმცა რეიტინგის პირველი საფეხურისთვის ბრძოლაში სერბისთვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, შანხაიში ტიტულის დაცვით მას ქულა არ დამატებია, ნადალმა კი ნახევარფინალში გასვლით თავისი მარაგი 360 ქულით შეავსო.

### 1/2 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7) 6:2, 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:2, 6:4.

### ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6) 6:1, 3:6, 7:6(3).

გია თვალაბეიშვილი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:50. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608